# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 15 ოქტომბერი 1998 №186 (721) ფასი 50 თეთრი


# საბერძნეთი 3:0 საქართველო
# ქართველებს დასცინიან




კობა ინასარიძე

ათენიდან


მთელი დღე გადაუღებლად წვიმდა. მატჩის დაწყებისთანავე კი მზემ გამოანათა. ბერძნები თამაშს მოუთმენთლად ელოდნენ, მაგრამ სტადიონზე 20 ათასი კაციც კი არ მოვიდა. ავდარმა ხალხი შეაშინა და თანაც ბევრმა, ეტყობა, საკალათბურთო ევროლიგის მატჩის ხილვა ირჩია. ამით ჩვენ რა ხეირი. წარმომიდგენია, 80-ათასიანი ოლიმპიური რომ გავსებულიყო, აქ რა მოხდებოდა.

ჩვენები გათახსირდნენ, მოკლედ და კონკრეტულად.

წერა მატჩის მიმდინარეობისას მიხდება. ქართველი ჟურნალისტები სტადიონის პრეს-ლოჟაში ვსხედვართ და გვრცხვენია, ზემოთ რიგებში აქაური ჟურნალისტები სიცილით იჭაჭებიან, ქართველები არც ვლაპარაკობთ. ეს საშინელებაა, ჩვენი გუნდი არარაობაა. ვაი ჩვენს თავს, როგორ უნდა ვთქვათ, ფეხბურთი ვიცითო...

ეს წუთია, მახლასი ტოგონიძესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ცარიელი კარიდან ბურთი კალაძემ გამოიტანა. ბერძენმა ჟურნალისტებმა ერთხელაც იხარხარეს.

ქართველების მხარდასაჭერად სტადიონზე აქ მცხოვრები ჩვენებურებიც მოვიდნენ. დაახლოებით 50 კაცამდე იქნებოდნენ ეროვნული დროშებით ხელდამშვენებულნი. პირველ ოც წუთს ქომაგობდნენ თანამემამულეთ, მაგრამ როცა მათი უსუსურობა დაინახეს, ისინიც გაყუჩდნენ.

მეორე ტაიმში ჩვენები საგრძნობლად გააქტიურდნენ, მაგრამ ტელევიზიით, ალბათ, ბევრმა ნახეთ ეს მატჩი და თავად განსაჯეთ. მე სიტყვებს ველარ ვზომავ, ემოცია კაცს ყველაფერს დააწერინებს.

შესვენებაზე პრეს-ბარში ქართველები შევიკრიბეთ. 0:3-ს სან მარინო აღარ აგებს პირველსავე ტაიმში... ნუთუ ყველაფერი დაიკარგა, ქართული აღარაფერი არსებობს? ალბათ, ასეა...

მცირერიცხოვანი ბერძენი ქომაგები კი განუწყვეტლივ მღერიან, დოლს აზმიანებენ, კარგ გუნებაზე არიან. სიცილით, იცოცხლეთ, ისევ იცინიან, მგონი, ჩვენც დაგვცინიან, ჟურნალისტებს, კიდევ იმ მომენტებს იხსენებენ, შესვენებამდე ჯამარაულმა, ყაველაშვილმა და არველაძემ რომ გააცუდეს და ჩვენ ადგილებიდან წამოვცვივდით.

ეს-ესაა მეოთხე მსაჯმა, ორ წუთს ვამატებთ თამაშსო, გვანიშნა. ნეტავ ახლავე დასტვინოს არბიტრმა. აღარ მინდა. არც გოლის გამტანნი ვართ.

და აჰა, როგორც იქნა, მატჩი დამთავრდა, დამთავრდა და მსაჯის სასტვენს „სირტაკის“ მელოდია მოჰყვა. ნემსაძემ კი ეს მაინც მოიფიქრა, აქაურ ქათრველებს მადლობის ნიშნად ტაში დაუკრა.

მორჩა, ოცნებები, მგონი, საბოლოოდ დაიმსხვრა. ახლა პრესკონფერენციაზე მიმეჩქარება, მერე კი თბილისში მოვფრინავთ. წასაქცევი მალე უნდა წაიქცეს. ან ერთი, ან რამდენიმე...

პრესკონფერენციაზე ანგელ იორდანესკუ და სერგო კუტივაძე გამოცხადნენ. გუცაევმა ბოდიში შემოგვითვალა.

სერგო კუტივაძე: ვულოცავ საბერძნეთს ბრწყინვალე გამარჯვებას. ვუსურვებ, ასევე გაეგრძელებინოს. მწვრთნელის ხელი ბერძნებს აშკარად ეტყობათ. ჩვენს ნაკრებში კი ძირეული ცვლილებების დრო დადგა. გუნდში ახალგაზრდა, პერსპექტიული ბიჭები გამოჩნდნენ, რომლებსაც ფეხბურთის თამაში უნდათ. სხვები კი, ეტყობა, კმაყოფილები არიან ცხოვრებითა და თამაშის დონით. შელია მართლაც ცუდ ფორმაში იყო, მაგრამ სხვა არავინ გვყავდა. ჩვენც შევცდით. სხვას იქნებ უარესადაც ეთამაშა. მატჩებს დებიუტშივე ვაგებთ, უკრაინა, ლატვია, ახლაც.

ანგელ იორდანესკუ: ჩემი ფეხბურთელებით კმაყოფილი ვარ და მადლობასაც ვუხდი. პირველ ტაიმში ბრწყინვალედ ვთამაშობდით, კარგად დავიწყეთ, ორი გოლი ფსიქოლოგიურად დაგვეხმარა. ბურთსაც ხშირად ვაკონტროლებდით. ორივე ფლანგი ჩვენი იყო, ზონებში დავსეირნობდით. მეორე ტაიმში კი ცოტა დავიბენით. მოკლედ, კმაყოფილი ვარ, პირველ ყოვლისა, სამი ქულით. გამარჯვების მჯეროდა, მაგრამ ასე იოლად თუ მოვიპოვებდით, ვერ წარმომედგინა. მით უმეტეს, ორი ფეხბურთელი გვაკლდა — ნიკოლაიდისი და კაცაპისი.

REUTERS ათენიდან



ბერძნები ხარობენ, ქართველებს კი საქმე სათავცემოდ გაგვხდომია

REUTERS ლუქსემბურგიდან



ლუქსემბურგი — ინგლისი.
...იან რაიტი ინგლისის ნაკრებს კი დაუბრუნდა, მაგრამ ლუქსემბურგს ვერ გაუტანა

I ჯგუფი

**უელსი 3:2 ბელარუსი**

1:0 რობინსონი (14), 1:1 გურენკო (20), 1:2 ბელკევიჩი (48), 2:2 კოულმენი (53), 3:2 საიმონსი (88)

**შვეიცარია 1:1 დანია**

1:0 შაპუიზა (57), 1:1 ტობიასენი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| უელსი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| დანია | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ბელარუსი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| შვეიცარია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

II ჯგუფი

**ნორვეგია 2:2 ალბანეთი**

0:1 ბუში (37), 0:2 ტარე (52), 1:2 რეკდალი (82პ), 2:2 ბერგი (87)

**საბერძნეთი 3:0 საქართველო**

1:0 მახლასი (13), 2:0 ლიბეროპულოსი (15), 3:0 უზუნიდისი (36)

**სლოვენია 1:0 ლატვია**

1:0 უდოვიჩი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლატვია | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| საბერძნეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| სლოვენია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ნორვეგია | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | 3 |
| ალბანეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

III ჯგუფი

**მოლდოვა 1:3 გერმანია**

1:0 გუზუნი (6), 1:1, 1:2 კირსტენი (19, 36), 1:3 ბირჰოფი (38)

**თურქეთი 1:3 ფინეთი**

0:1 პაატილაინენი (5), 0:2 იოჰანსონი (51), 1:2 თემიზკანოღლუ (73), 1:3 ლიტმანენი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| თურქეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| გერმანია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ჩრდ. ირლანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| მოლდოვა | 2 | 0 | 0 | 2 | 3:6 | 0 |

IV ჯგუფი

**უკრაინა 2:0 სომხეთი**

1:0 სკაჩენკო (32), 2:0 გუსინი (83)

**საფრანგეთი 2:0 ანდორა**

1:0 კანდელა (53), 2:0 ჯორკაეფი (61)

**ისლანდია 1:0 რუსეთი**

1:0 კოვტუნი (88ს.კ.)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 |
| საფრანგეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| ისლანდია | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| სომხეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| რუსეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 4:7 | 0 |
| ანდორა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

V ჯგუფი

**ლუქსემბურგი 0:3 ინგლისი**

0:1 ოუენი (19), 0:2 შირერი (40პ), 0:3 საუთგეიტი (90)

**ბულგარეთი 0:1 შვედეთი**

0:1 ლარსონი (62)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| შვედეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ინგლისი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| ბულგარეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | 1 |
| ლუქსემბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |

VI ჯგუფი

**სან მარინო 1:4 ავსტრია**

0:1 ვასტიჩი (58), 0:2 მაირლები (64), 0:3 პიდენი (68), 0:4 გლიდერი (76), 1:4 სელვა (80პ)

**ისრაელი 1:2 ესპანეთი**

1:0 ბაზანი (63), 1:1 იერო (65), 1:2 ეჩებერია (77)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | 3 | 2 | 1 | 0 | 8:2 | 7 |
| ისრაელი | 3 | 1 | 1 | 1 | 7:3 | 4 |
| ესპანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| კვიპროსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| სან მარინო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:9 | 0 |

VII ჯგუფი

**ლიხტენშტაინი 2:1 აზერბაიჯანი**

1:0 ფრიკი (47პ), 2:0 ტელსერი (49), 2:1 ყურბანოვი (59)

**უნგრეთი 1:1 რუმინეთი**

0:1 მოლდოვანი (51), 1:1 პრუტკა (83)

**სლოვაკეთი 0:3 პორტუგალია**

0:1, 0:2 ჟოაო პინტუ (17, 30), 0:3 შავიერი (70)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 9:1 | 7 |
| სლოვაკეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| პორტუგალია | 3 | 2 | 0 | 1 | 6:2 | 6 |
| უნგრეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| ლიხტენშტაინი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:12 | 3 |
| აზერბაიჯანი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:9 | 0 |

VIII ჯგუფი

**ირლანდია 5:0 მალტა**

1:0, 2:0 რობი კინი (16, 19), 3:0 როი კინი (53), 4:0 ქუინი (62), 5:0 ბრინი (81)

**ხორვატია 3:2 მაკედონია**

0:1 ჩირიჩი (2), 1:1 შუკერი (16), 2:1 ბობანი (45), 2:2 საინოვსკი (55), 3:2 ბობანი (70)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 7:0 | 6 |
| ხორვატია | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 6 |
| მაკედონია | 2 | 1 | 0 | 1 | 6:3 | 3 |
| მალტა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:13 | 0 |
| იუგოსლავია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |

IX ჯგუფი

**ლიტვა 4:2 ბოსნია**

0:1 კონჯიჩი (4), 1:1, 2:1 ივანაუსკასი (10, 67), 2:2 ბალიჩი (68), 3:2 ივანაუსკასი (75), 4:2 ბალტუშნიკასი (90)

**შოტლანდია 2:1 ფარერები**

1:0 ბარლი (22), 2:0 დოდსი (45), 2:1 პეტერსენი (86პ)

**ჩეხეთი 4:1 ესტონეთი**

1:0 ნედვედი (8), 2:0, 3:0 ბერგერი (21, 41), 4:0 მიტი (45ს.კ.), 4:1 არბიტერი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| შოტლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| ლიტვა | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| ესტონეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 9:8 | 4 |
| ბოსნია | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| ფარერები | 5 | 0 | 1 | 4 | 1:9 | 1 |

## კალათბურთი ევროლიგა მეოთხე ტური

B ჯგუფი

**ეფესი 80:57 ციბონა**

**პანათინაიკოსი 74:58 ტდკ**

D ჯგუფი

**სამარა 60:67 ოლიმპია**

**ტიმსისტემი 76:61 პაოკ**

# უსათაუროდ

ევროპის ჩემპიონატი. მეორე შესარჩევი ჯგუფი. მესამე ტური
14 ოქტომბერი. ათენი. ოლიმპიური. 15 000 მაყურებელი

## საბერძნეთი 3:0 საქართველო

1:0 მახლასი (13), 2:0 ლიბეროპულოსი (15), 3:0 უზუნიდისი (36)

**კონსტანტინე გოგიშვილი**

ნოდარ დუმბაძის „*HELLADOS*“ გამახსენდა

იქაც ბერძენი და ქართველი. იქაც ბრძოლა პირველობისთვის. იქაც გულისტკენა და გაცრუებული იმედები. „შენი დედა ვატირე, იანგული!“ და „ი მანა სუ ინე პროსტიკასა ინეკა, ჯემალ!“ და იქაც ბერძენი დარჩა გამარჯვებული, მოცილეს მკვდარი დედა არ შეაგინა და იმიტომ.

ბერძნების ვაჟკაცმა ნაკრებმაც დაინდო მეორე ტაიმში უსუსური ქართველები. პირველ ტაიმში კი... სირცხვილი, სირცხვილი და კიდევ სირცხვილი — ეს მოედანზე.

სამშობლო კი უფრო ღრმადაა, უფრო შიგნით — როგორც იანგული ალექსანდრიდი ამბობდა.

არ იზომება სამშობლოს სიდიდე ერთი სირცხვილით. არც საფეხბურთო საქართველოს სიდიდე იზომება საბერძნეთის ნაკრებთან 0:3 წაგებული ერთი მატჩით.

აი, ჩვენი ფეხბურთელების დონე და კლასი კი ერთხელაც დავინახეთ.

ისიც ჭეშმარიტებაა, თავმოყვარე ფეხბურთელი ასეთი შეხვედრის მერე ბევრ რამეს გადააფასებს და თავის ფეხბურთელობასაც ეჭვის თვალით შეხედავს.

ეეჰ, ჩამოვრჩით, უსაშველოდ ჩამოვრჩით.

მომენტებს არ აღვწერთ, თუ ვინმეს შეხვედრის პერიპეტიები აინტერესებს, სტენოგრამას შეავლოს თვალი. ყველაფერი იქ წერია და ყველაფერი იქ ჩანს. ჯამარაულისა და შოთა არველაძის კინკილა საგოლეებმა კი არავინ მოატყუოს. ანგელ იორდანესკუმ მორიგი გაკვეთილი ჩაუტარა კოლეგა გუცაევს, ისევე, როგორც კვიპროსში. ასევე ბერძნებმაც გვარიანი ალიყური აჭამეს ჩვენს უთავმოყვარეო გუნდს. გუნდს, რომელიც, აგერ უკვე რამდენი წელია, თავისივე აწეული ცხვირის ჩრდილიდან ვერ გამოსულა. ნაკრებს, რომელიც აგრე უკვე რამდენი ხანია, მინი-ფეხბურთის ჩარჩოებს ვერ გასცდა და ისევე, როგორც



ლიბეროპულოსმა გაიტანა და ბერძნებმა მოიგეს, ქინქლაძემ — ვერა და...

ექვსიოდე წლის წინ, ზოზინით აგორებს ბურთს გვერდზე და უკან, უკან, უკან...

უკან, როგორც ჩვენი ფეხბურთი მიდის უკან.

ასეთ ნაკრებს კი მარტო ბერძნები არა, სხვებიც ძალდაუტანებლად მოუგებენ. და თუ ღმერთი გვწამს, ძველებურად ნუ შევიწმენდთ ხელებს მწვრთნელზე. ამათი გადამკიდე ერერა და ფეოლაც გაუფასურდებოდნენ. ამათ ფეხბურთს მამაზეციერიც ვერ ასწავლის — სწორ, თანამედროვე ფეხბურთს. უკან ბურთის გორებასა და პრიმიტიულ ფაფხურში კი, იცოცხლეთ, ჩემპიონები გვყავანან.

გაგიგონიათ, ფეხბურთელს ჯარიმის დარტყმა ვერ ესწავლოს? გინახავთ, ასიდან ასივე კუთხური ერთნაირად მოეწოდებინოთ? და ასეთი უკლასო გუნდი თუ გინახავთ, ასეთი მარტივი და გამიფრული.

დაცვა?! დაცვას არ იკითხავთ?! ვერ გვყოლიან ჯილები, მურთაზ შელიას დაბრუნებისაც ტყუილად გვეიმედებოდა თურმე. ტოგონიძე კი... ერთი-ორჯერ ისიც შეცდა. ვერც გოლების დროს იხსნა

| |
|---|
| საბერძნეთი |
| 1. ატმაციდისი |
| 4. უზუნიდისი |
| 5. კალიცაკისი 2. დაბიზასი |
| 6. პურსუნიდისი |
| 7. ზაგორაკისი 3. მარკოსი 11. გეორგიატოსი |
| 8. ფრანცესკოსი |
| 10. ლიბეროპულოსი 9. მახლასი |
| 11. შ. არველაძე 6. ყაველაშვილი |
| 8. ჯამარაული 10. ქინქლაძე |
| 5. შეყილაძე |
| 3. კობიაშვილი 9. ქეცბაია |
| 4. შელია 2. კალაძე |
| 7. ნემსაძე |
| 1. ტოგონიძე |
| საქართველო |
| შეცვლა: ყაველაშვილი — 15. გახოკიძე (59), ლიბეროპულოსი — 17. იანაკოპულოსი (70), ფრანცესკოსი — 18. ცარტასი (77), მახლასი — 14. მავროგენიდისი (85) |
| გაფრთხილება: კალაძე (29), ქეცბაია (52), მარკოსი (82) |
| მთავარი მსაჯი: ა. უზუნოვი (ბულგარეთი) |

ნიკამ ჩვენი ნაკრები და საერთოდ, კაცი არ იდგა (დიახაც!) გუშინ ათენის ოლიმპიურ სტადიონზე ქართველთაგან, ვისზედაც თბილი სიტყვის სათქმელად მოგვიბრუნდება ენა. ან თავდასხმა რას ჰგავდა, ან შუა ხაზი სად იყო.

კიდევ კარგი, სტადიონის მეხუთედიც შეევსო შეურაცხად ბერძენ მაყურებელს, თორემ მათი ყიჟინით და ვაიუშველებლით ცეცხლშენთებული ფეხბურთელები, ვეჭვობთ 3:0 დაყაბულებულიყვნენ. ამაში მაინც გაგვიმართლა. უფრო სწორად, საქართველოს ნაკრებს გაუმართლა, თორემ ასეთი ფეხბურთელების პატრონებმა რა გამართლებაზე უნდა ვილაპარაკოთ.

შინ ეროვნული ჩემპიონატი ხომ სულს ლაფავს, გარეთაც ჭერი გვემხობა თავზე.

ერთმანეთში მოილაპარაკესო ქართველმა ფეხბურთელებმა. ნეტავ რაზე ან ვისზე?

აწი კი სალაპარაკოც აღარაფერია. ყველაფერი ნათქვამია და გასაგებიც.

ნიკა ტოგონიძევ, კახა კალაძევ, ლევან კობიაშვილო, მურთაზ შელიავ, გელა შეყილაძევ, მიხეილ ყაველაშვილო, გიორგი ნემსაძევ, გოჩა ჯამარაულო, თემურ ქეცბაიავ, გიორგი ქინქლაძევ, შოთა არველაძევ, გიორგი გახოკიძევ და სხვებო!

ცნობები თქვენი ფეხბურთელობის შესახებ რამდენადმე გაზვიადებულია.

და ამას დრო დაამტკიცებს. ისევე როგორც დრო წაშლის თქვენს ნაკვალევს ქართული ფეხბურთის ისტორიაში. არაფერი დაგიტოვებიათ და იმიტომ.

ის, რაც ადრე მოხდა, რაც ახლა ხდება და რასაც აწი მოახდენთ, არ არის საქართველოს სირცხვილი. ეს უფრო თქვენი სირცხვილია.

სამშობლო კი უფრო ღრმადაა, უფრო შიგნით.

**მატჩის ქრონიკა**

1 წუთი. მახლასის შორეული დარტყმა კარს საკმაოდ ასცდა.

3. მცველები უხეშად შეცდნენ — მახლასი ტოგონიძეს შეატოვეს, მაგრამ თავდამსხმელმა ნიკას თავზე ვერ გადაუგდო და რეალური მომენტი გააფუჭა.

7. კალიცაკისმა ჯარიმა სახიფათოდ ჩააწოდა, მაგრამ ბურთს კარისკენ მიმართულება ვერავინ შეუცვალა.

11. გეორგიატოსის ჩაწოდებულს ლიბეროპულოსმა დარტყმა მოაყოლა, ტოგონიძე ადგილზე დახვდა.

13. ტოგონიძე გამოსვლაზე უხეშად შეცდა, კალაძემაც ვერ ივარგა და მახლასმა მახვილი კუთხიდან ბურთი კარში შეაგორა — 1:0.

15. ფრანცესკოსმა საჯარიმოში უყურადღებოდ მიტოვებული ლიბეროპულოსი მოძებნა, რომელმაც ტექნიკურად ჩამოილო ბურთი და ტოგონიძე მეორედ გააწბილა.

17. მცველთა შეცდომის შემდეგ ჯამარაული ატმაციდისთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ ახლოდან კარს ააცილა და ურეალურესი მომენტი ქარს გაატანა.

19. ყაველაშვილმა საჯარიმოსთან მდგომ კობიაშვილს დაუგორა, მაგრამ კობიმაც ჯამარას მიბაძა.

20. ქინქლაძეს ჯამარაული ისევ ერთი-ერთზე გაჰყავდა, მაგრამ გოჩამ უმარტივეს სიტუაციაში ბურთი ვერ გააჩერა.

21. ფრანცესკოსის შორეული ჯარიმა ტოგონიძემ გაჭირვებით მოიგერია. ბედად, დამმატებელი არავინ აღმოჩნდა.

25. დაბიზასის გასროლილმა ძელს ჩაუქროლა.

30. მცველების მოგერიებულს ზაგორაკისმა 30-35 მეტრიდან დაუმატა და კარს ოდნავ გადააცილა.

36. ფრანცესკოსის ჩაწოდების შემდეგ უზუნიდისს ახლოდან თავით გოლის გატანაში ხელი ვერავინ შეუშალა — 3:0.

38. ლიბეროპულოსმა შელიასა და შეყილაძეს თავბრუ დაახვია და საჯარიმოში შეჭრილმა ძლიერად დაარტყა, ტოგონიძემ რის ვაი-ვაგლახით მოიგერია.

43. კობიაშვილის ჩაწოდების შემდეგ დაბიზასი შეცდა, მაგრამ ყაველამ კარგი მდგომარეობიდან ატმაციდისს ხელებში დაურტყა.

45. ყაველაშვილმა საჯარიმოში არველაძე შეამჩნია. შოთამ მცველი ლამაზი ფინტით ჩამოიშორა, მაგრამ ერთობ ხელსაყრელი მდგომარეობიდან ცუდად დაარტყა, მეკარემ ნახტომში კუთხურზე გადააგდო ბურთი.

50. ქეცბაიამ ჯარიმა ძლიერად დაარტყა. ატმაციდისს ბურთი ხელიდან გაუვარდა, მაგრამ შოთამ ვერ დაამატა, დაბიზასმა დაასწრო და ხიფათი განმუხტა.

54. არველაძემ მეკარეს თავზე გადაგდება მოუნდომა, მაგრამ კარსაც გადააცილა.

66. ფრანცესკოსის ლამაზად მოჭრილი ტოგონიძემ ხარიხას ქვემოდან კუთხურზე მოიგერია.

67. ლიბეროპულოსის დარტყმას კობიაშვილი კარის ხაზზე გადაეღობა.

72. ქართველთა სწრაფი კომბინაცია კობის ძლიერი დარტყმით დასრულდა, მეკარემ იმარჯვა.

74. ტოგონიძესთან პირისპირ გასულმა მახლასმა მეკარეს კი გადაუგდო ბურთი, მაგრამ კალაძემ მიუსწრო და კუთხურზე გაგზავნა.

80. იანაკოპულოსს მეოთხედ გატანაში ტოგონიძემ შეუშალა ხელი.

86. ქეცბაიამ ჯარიმიდან ააცილა.



უზუნიდისმა და კომპანიამ ჯამარაული არ გაახარეს

## EURO 2000
### ახალგაზრდული ჩემპიონატი

UEFA UNDER-21 Championship

**I ჯგუფი**

შვეიცარია 2:0 დანია

უელსი 0:0 ბელარუსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| დანია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| შვეიცარია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| უელსი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| ბელარუსი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |

**II ჯგუფი**

ნორვეგია 4:1 ალბანეთი

საბერძნეთი 3:2 საქართველო

სლოვენია 0:1 ლატვია

0:1 პელცისი (30)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 3 | 3 | 0 | 0 | 9:2 | 9 |
| საბერძნეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| ლატვია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| ალბანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| სლოვენია | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |

**III ჯგუფი**

მოლდოვა 0:2 გერმანია

თურქეთი 1:1 ფინეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ფინეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| გერმანია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ჩრდ. ირლანდია | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| მოლდოვა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

**IV ჯგუფი**

უკრაინა 8:0 სომხეთი

ისლანდია 1:2 რუსეთი

0:1 ლაკტიონოვი (9), 0:2 გუსევი (61), 1:2 სიგტორსონი (75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 2 | 2 | 0 | 0 | 9:0 | 6 |
| რუსეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| საფრანგეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| სომხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:9 | 3 |
| ისლანდია | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |

**V ჯგუფი**

ბულგარეთი 2:1 შვედეთი

ლუქსემბურგი 0:5 ინგლისი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:0 | 9 |
| პოლონეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 7:2 | 4 |
| ბულგარეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| შვედეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| ლუქსემბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:10 | 0 |

**VI ჯგუფი**

ისრაელი 0:4 ესპანეთი

ჰოლანდია 3:2 ავსტრია

0:1 ვიმერი (23), 1:1 ვან ვენეპოერი (34), 2:1 კამფუისი (40), 3:1 კნოპერი (80), 3:2 რაგლოვსკი (88პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:1 | 6 |
| ჰოლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| კვიპროსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ისრაელი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:7 | 3 |
| ავსტრია | 3 | 0 | 0 | 3 | 3:6 | 0 |

**VII ჯგუფი**

უნგრეთი 1:2 რუმინეთი

სლოვაკეთი 1:0 პორტუგალია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლოვაკეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| პორტუგალია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| რუმინეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| აზერბაიჯანი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| უნგრეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |

**VIII ჯგუფი**

ირლანდია 2:1 მალტა

ხორვატია 4:0 მაკედონია

1:0 ფილიპოვიჩი (59), 2:0 სოკოტა (66), 3:0 ლეკო (68), 4:0 სოკოტა (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| ირლანდია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| მაკედონია | 2 | 1 | 0 | 1 | 1:4 | 3 |
| იუგოსლავია | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| მალტა | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

**IX ჯგუფი**

ლიტვა 4:0 ბოსნია

ჩეხეთი 3:0 ესტონეთი

ბელგია 2:0 შოტლანდია

1:0, 2:0 მორაი (37, 43)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:0 | 7 |
| ბელგია | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ლიტვა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:1 | 4 |
| ბოსნია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:6 | 4 |
| შოტლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ესტონეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:8 | 0 |

# სანამ დიდები აგებენ

საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრებმა უნგრეთში ევროპის საკვალიფიკაციო ტურნირის ქვეჯგუფში იმარჯვა.

ბულგარელებთან მოგებული შეხვედრის შემდეგ გუშინ ჩვენმა ჭაბუკებმა ფრედ 0:0 დაამთავრეს მატჩი მასპინძელ თანატოლებთან. ვახტანგ კოპალეიშვილის ვარაუდი, შემდეგ ეტაპზე გასვლა არ უნდა გაგვიჭირდესო, გამართლდა. ჩვენს ჭაბუკებს მეტოქისთვის წარმატების შანსი არ მიუციათ, თავადაც არ გაუმწვავებიათ მდგომარეობა და სასურველი შედეგისთვის უპრობლემოდ მიუღწევიათ. ქართველებმა პირველობით შესარჩევი ციკლის მომდევნო ეტაპზე თამაშის უფლებაც მოიპოვეს. ჩვენს მომავალ მეტოქეს საკვალიფიკაციო ეტაპის მეთერთმეტე ჯგუფში ჩეხეთს, უკრაინასა და სომხეთს შორის გამარჯვებული გაარკვევს.

უნგრელებთან ქართველმა თვრამეტწლამდელებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ბათიაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, დევიძე, საჯაია, ხიზანიშვილი, დილმელაშვილი, ნოზაძე, გველესიანი, ბურდული (კორღალიძე), ჯაკობია, მიქაძე (გაგუა).

**ბაათა ძგანტალიანი**

# ტორპედო ბეწვის ხიდზე

ტორპედოელთა გაფიცვის შესახებ გუშინდელ „სარბიელში" გაცნობეთ. გორის „დილასთან" ქუთასელთა შეხვედრასაც კვლავინდებურად ჩაშლა ემუქრება.

გუშინ კვლავ შევეცადეთ, რაიმე შეგვეტყო ჩემპიონატის ლიდერის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟზე, მაგრამ საიმედო ინფორმაცია ვერც ამჯერად მოვიპოვეთ. თუმცა ლოგიკური დასკვნების გამოტანა მაინც შეიძლება, რადგან თითქმის ერთნაირ ვერსიებს ვაწყდებით „ტორპედოს" სავარაუდო სპონსორის თაობაზე.

ერთი, თითქოსდა გუნდის პატრონობას ქართული ფირმა აპირებდეს, უნდა გამოვრიცხოთ, რადგან ეს ფირმა ტრანსპორტის სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულია. ამ დეპარტამენტს კი თავისი კლუბი ჰყავს ჩემპიონატის პირველ ჯგუფში. აი, მეორე ვერსია კი უცხოური ფირმის შესახებ უფრო რეალურად გვეჩვენება, თუმცა, როგორც შევიტყვეთ, მისი წარმომადგენელი პარასკევს აპირებს ქუთაისში ჩასვლას.

უფრო რეალურად გვეჩვენებაო, რომ ვამბობთ, ამის უფლებას ერთი ფაქტი გვაძლევს — ეს ერთმანეთზე თანხვედრილი ინფორმაციები საქმეში გათვითცნობიერებული დაახლოებით ხუთი სხვადასხვა წყაროსგან მივიღეთ.

პარასკევს იქნებ მართლაც დაიწყოს „ტორპედოს" ბედის ბორბალმა წაღმა ტრიალი, მაგრამ შაბათს ხომ გორში მეათე ტურის შეხვედრაა.

საამმატჩოდ ქალაქის მერია ეძებს პარტნიორს, რომელიც ფეხბურთელებისთვის 100-100 ლარის დარიგებას მოახერხებს და მათ „დილას" წინააღმდეგ თამაშზე დაიყაბულებს. თუმცა შეძლებს ჯემალ ხერხაძე შემადგენლობის სრულად შეკრებას?

გუშინ კვლავ გამოჩნდნენ სალორიის ბაზაზე ქებაძე, თურმანიძე, შეყრილაძე, ჯანაშია და რამდენიმე ტორპედოელი. მათ ბურთის გაგორება სცადეს, მაგრამ რა ვარჯიშიც გამოვიდოდა, იოლი მისახვედრია.

„გურიასთან" შეხვედრის წინ ბიჭებს 80-80 ლარი დაურიგეს. მატჩის შემდეგ კი გუნდთან დაახლოებულმა პირმა 20-20 ლარით დაასაჩუქრა ფეხბურთელები.

ჩვენც ძნელად წარმოგვიდგენია, რომ ქუთაისში ფეხბურთი ასეთ დროს ჩაკვდეს. გვჯერა, „ტორპედო" გაივლის ბეწვის ხიდზე და მეათე ეროვნულის ინტრიგას კიდევ უფრო გაალვივებს, რადგან სხვაგვარად ქუთაისს არ ეკადრება, სხვაგვარად ჩვენი ფეხბურთიც ძალიან დაზარალდება.

**ხვიჩა სანიძიძე**

# სასამართლო ისევ გადაიდო

თბილისის „დინამოს" დირექტორატს მეტად მძიმე დღეები უდგას. სკანდალის რა მოგახსენოთ, მაგრამ ყოველივეს რომ დენთის სუნი უდის, უდავოა. სახუმარო საქმე ხომ არ არის, კლუბის პატივცემულ მესვეურთ რამდენიმე მილიონი დოლარის გაფლანგვა ედებათ ბრალად.

არადა, თავიდან ყველაფერი მშვენივრად დაიწყო. სახელმწიფომ ჩვენი ქვეყნის უპირველესი კლუბი გადასახადებისგან გაათავისუფლა, ამით „დინამოს" თავკაცებს დიდი საქმეც გაუკეთა და, როგორც ჩანს, ორმაგი კონტროლიც დაუწესა.

შედეგად, დღეისათვის „დინამოს" დირექტორატს სახელმწიფო პროკურატურის სახით სერიოზული მოსარჩლე ჰყავს. სასამართლო სხდომა გუშინ უნდა გამართულიყო, მაგრამ დიდუბის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილებით იგი გაურკვეველი ვადით უკვე მეორედ გადაიდო.

# გორდა მშიერი თამაშობს

საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდების გაჭირვებაზე არაერთგზის თქმულა. ჩვენი გასაცოდავებული პირველობის ფონზე ამაზე ალბათ კიდევ დიდხანს მოგვიწევს საუბარი. ტური ისე არ გავა, ამა თუ იმ გუნდს ფინანსური პრობლემა არ გამოუჩნდეს.

რუსთავის „გორდა" ამ ჩემპიონატის წინ დიდ გასაჭირში იყო. ფინანსური რესურსები გუნდს ბოლომდე ამოწურული ჰქონდა. არადა, სეზონის დაწყებას არაფერი აკლდა. მეტალურგებს მშველელად ქალაქის ხელმძღვანელობა გამოუჩნდა და ყოველთვიურად 5000 ლარის გადახდასაც დაჰპირდა. ამ იმედით დაიწყო გუნდმა ჩემპიონატი და, როგორც ჩანს, ენთუზიაზმით თამაში კიდევ კარგახანს მოუწევს. სეზონის დაწყებიდან დღემდე ფეხბურთელებს კუთვნილი გასამრჯელოდან ერთი თეთრიც არ მიუღიათ. გაუთავებელ დაპირებებს კი ბოლო არ უჩანს და „გორდაც" თითოეულ მატჩზე ხელფასის აღების იმედად გადის. ყოველივე გუნდის თამაშსაც ეტყობა და შედეგიც სახეზეა — რუსთაველებმა ჩემპიონატში გამართულ რვა შეხვედრაში ოდენ ერთხელ გაიმარჯვეს და ისიც მათსავით წყალწაღებულ „სიონთან".

ფეხბურთელები კი ავად თუ კარგად მაინც თამაშობენ. გუნდიდან წასვლაზე არც გვიფიქრია, კილასონიას ვერ ვუღალატებთო, ამბობენ. ვარლამ კილასონია თანადგომის ღირსი ნამდვილად არის. როგორც ჩანს, „გორდას" კაპიტანს თამაშის გარდა სხვა ფუნქციებიც შეუთავსებია, წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდი ტრანსპორტის ხარჯების გაღებას და მსაჯების ფულის გადახდას ნამდვილად ვერ შეძლებდა. ძნელი სათქმელია, სანამდე გასწვდება „გორდას" კილასონიას შესაძლებლობები. თუ ასე გაგრძელდა, ვინძლო, ექიმის მსგავსად რუსთაველებმა გუნდის პრეზიდენტის შტატიც გააუქმონ.

4 ოქტომბერს რუსთავმა ქალაქის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე იზეიმა. იმ დღის ბოლოს გამართულ საზეიმო შეხვედრაზე ქვეყნის პრეზიდენტმა ფეხბურთში გაწეული ღვაწლისთვის „გორდას" მთავარი მწვრთნელი იასონ ალადაშვილი ღირსების ორდენით დააჯილდოვა. შეხვედრაზე ქალაქის ხელმძღვანელობამ წარმატებები უსურვა რუსთაველთა თავკაცს და თანადგომაც აღუთქვა.

მანამდე კი, სანამ „გორდას" ვინმე მხარში ამოუდგება, ღირსებაშეულახავი რუსთაველები ფეხბურთს თამაშობენ, თამაშობენ რადგან უყვართ, სჯერათ და ეიმედებათ.

**ბაათა ძგანტალიანი**

# ვისია, ვისია კლუბი ოდიში?

ფეხბურთელებზე, მწვრთნელებსა და ტექნიკურ პერსონალზე გაუცემელი ხელფასები და პრემიები, გარდა ამისა 200 000 დოლარამდე სხვადასხვა სახის ვალი, რომლის გადახდაც არარეალურია და რას მოხმარდა, არავინ იცის, დაშლის პირას მდგარი გუნდი... აი, შედეგი, რასაც მიაღწია ზუგდიდის „ოდიშმა" ვახტანგ ნანავას პრეზიდენტობისას.

ყოველივე ამან გვიან, მაგრამ მაინც სერიოზულად დააფიქრა ქალაქის ხელმძღვანელობა, თუმც გამოსავლის პოვნა არც ისე ადვილი აღმოჩნდა.

როგორც შესაბამისი საბუთებიდან ირკვევა, ვახტანგ ნანავა შპს „საფეხბურთო კლუბ ოდიშის" ერთპიროვნული მესაკუთრეა და მისი ჩამოშორება კლუბის ხელმძღვანელობიდან არ ან ვერ ხერხდება. მით უმეტეს, რომ პრეზიდენტის ადგილსამყოფელი კარგა ხანია, არავინ უწყის. ის კი არა, თუ კლუბის ამჟამინდელ ხელმძღვანელობას დავუჯერებთ, უკვე რამდენიმე თვეა, მას ტელეფონითაც არ გასაუბრებიან.

კლუბის მესვეურნი სასამართლოს გზით აპირებენ ფონს გასვლას. მათ მიაჩნიათ, რომ ამხელა დავალიანებების გამო ნანავას არა აქვს არც მორალური და არც იურიდიული უფლება, კლუბის პრეზიდენტად იწოდებოდეს. და თუ მათ სასამართლოს მოგება შეძლეს, ამას შეიძლება გუნდის ზოგიერთი ხელმძღვანელიც შეეწიროს.

აქედან რა გამოვა, არავინ იცის, მაგრამ არის კიდევ მეორე, არანაკლებ მტკივნეული პრობლემა. ვთქვათ, კლუბი გათავისუფლდა ვახტანგ ნანავასაგან და ძველი ვალების გადახდაც მოხერხდა, შეძლებს კი ზუგდიდი გუნდის რჩენას? შეიძლება რამდენიმე კაცის მიერ გამოწვდილი ას-ასი ლარით ჩემპიონატში მონაწილეობის გაგრძელება? ნუ გავასწრებთ მოვლენებს. კლუბის ერთ-ერთი მაღალჩინოსანის თქმით, ორიოდ დღეში ყველაფერს ნათელი მოეფინება და მაშინ ვნახავთ, ვინ ვინ არის.

**თენგიზ ქოჩუა ზუგდიდიდან**

# კოლხეთის ცისკარი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ეროვნული ნაკრების ორმა საგარეო მატჩმა ლატვიასთან და საბერძნეთთან ეროვნული ჩემპიონატი ორი კვირით გადადო. მეათე ტური 17 ოქტომბერსაა დანიშნული.

„ცრვენა ზვეზდასგან" ევროპაში შერცხვენილმა ფოთის „კოლხეთმა" წლევანდელი სეზონი უჩვეულოდ უხეიროდ დაიწყო, თუმცა ბოლო ტურებში მდგომარეობა ასე თუ ისე გამოასწორა და მეტად საჭირო ქულებიც ჩაიწერა აქტივში. ახლა ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ჩვენს ეროვნულ პირველობას ყურადღება არ ექცევა, დონე დაბალია და ჩვენი გუნდებიც სავალალოდ გამოიყურებიან. რას ვიზამთ, რეალობას ვერსად გავექცევით. ეს ჩვენი ფეხბურთის დღევანდელი სახეა.

რა ვითარებაა დღეს „კოლხეთში"? კლუბის თავკაცმა სოსო ფილიამ ეს გვითხრა:

— დღეს გუნდში არსებულ მდგომარეობას დამაკმაყოფილებლად ვაფასებ. დავიმატეთ გელა გაბისონია, რომელიც ჩვენთან უკვე მეორე თვეა ვარჯიშობს. მისი განაცხადში შეუყვანლობის მიზეზი გელას ადრინდელ კლუბებთან „მერანთან" და „ოდიშთან" სატრანსფერო დავალიანება გახლდათ. დღესდღეობით პრობლემა გადაწყვეტილია და გაბისონია აწი ჩვენი გუნდისთვის გაირჯება, იმედი მაქვს ეს უკვე 17 ოქტომბერს მოხდება, როდესაც თსუ-სთან გასვლითი შეხვედრა გვექნება. გაბისონიასთან ჩვენი კონტრაქტი ორწლიანია. ფინანსური მდგომარეობა გუნდში ნორმალურია. ყველანაირი ხელფასი და პრემიალური გასტუმრებულია. კლუბის პრეზიდენტი „მერსედესის" მარკის ავტობუსის შეძენას დაგვპირდა და ეს საკითხიც ამ დღეებში მოგვარდება. გარდა ამისა შევიძინეთ გენერატორი, რომელიც უშუქობის პრობლემას მოგვიხსნის.

მცირე ტრავმა აწუხებს ჰამლეტ წივწივაძეს, თუმცა იგი ალბათ ორ-სამ დღეში მომჯობინდება. რაც შეეხება ჩვენს მეორე ფორვარდ ელდარ გვასალიას, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაფიქრებელია. იგი შარშანაც უჩიოდა წელის ტკივილს და ტრავმა წლეულსაც გაუმიზეზდა. გვასალია ახლა მკურნალობს და იმედი მაქვს, უახლოეს ხანში შემოგვიერთდება. პირველ წრეში ხუთეულში დამკვიდრებას ვისახავთ მიზნად, ოღონდ ლიდერებს ქულათა რაოდენობით ძალიან არ უნდა ჩამოვრჩეთ. მეორე წრის შესახებ საუბარი იქნებ ჯერნაადრევიც იყოს, მაგრამ მზადების პირველი ეტაპის გავლას იანვრიდან ბაკურიანში ვგეგმავთ, ხოლო შემდეგ ჩვენთვის ნაცნობ ბულგარულ ბურგასში გვსურს შეკრების გაგრძელება, სადაც საკმაოდ ძლიერი სპარინგ-პარტნიორები მოიყრიან თავს. სხვა მხრივ ცვლილება არ არის, ბიჭების განწყობა საბრძოლოა, ფსიქოლოგიური მდგომარეობაც ნორმალურია.

**გიორგი ვაშაკიძე**

# უშველიან [illegible] არჩვაძე და სოლოლა?

წლევანდელ სეზონში ბოლნისის „სიონის" გასაჭირზე სატურნირო ცხრილში მისი უკანასკნელი ადგილიც მეტყველებს. მას შემდეგ, რაც შარშანდელი სეზონის პლეი ოფის გმირმა, მეკარე ნუგზარ დალაქიშვილმა ერთი წლით მაინც დაუბევა გუნდს ადგილი უძლიერესთა მარაქაში, კლუბის მესვეურებს იმედი გაუჩნდათ, ეგებ ახლა მაინც ამოვისუნთქოთო. ბოლნისელებმა ამ ერთი წლის მანძილზე თავკაცი სამჯერ შეიცვალეს. ჯერ იყო და იმავე პლეი ოფის შემდეგ გუნდიდან წასული ანზორ გძელიძის ნაცვლად ბორის დუდაური მიიწვიეს და იმედის ნაპერწკალიც გაჩნდა. იმედი იმედად და კლუბის ხელმძღვანელებმა ისიც გაათავისუფლეს. მიზეზად არასახარბიელო სტარტი და უსახური თამაში დაასახელეს. მწვრთნელის ამ მიზეზით გათავისუფლება თითქოსდა ლოგიკურიცაა, მაგრამ ამას თან მეორე საბაბიც დაერთო, რომელზეც კიდეც გაუწყეთ. გუნდი ერთი ხანობა (სამი ტურის მანძილზე) უმწვრთნელოდ იყო. „სიონის" ხელმძღვანელებმა არც აციეს, არც აცხელეს და საშველად „ვიტ ჯორჯიას" მწვრთნელყოფილ სპარტაკ არჩვაძეს უხმეს. არჩვაძის დებიუტი ფოთში არასახარბიელო გამოდგა. მეტიც, კოლხებმა მის გუნდს შანსიც არ დაუტოვეს. ამის შემდეგ ბოლნისელებს ორჯერ სათასო შეხვედრამ უწიათ თბილისურ „აკადემიასთან" და ორჯერვე დაამარცხეს ისინი (3:1, 1:0). ზედიზედ ორჯერ ბოლნისურ კლუბს ამ სეზონში არ ემარჯვა, ნავსი გატყდა, მართალია თასზე, მაგრამ... იქნებ არჩვაძემ დაიხსნას გუნდი გაჭირვებისგან. ვნახოთ, ჯერჯერობით საქმე წინაა წაგდებული.

აქვე „სიონში" დღეს არსებულ მდგომარეობაზე სპარტაკ არჩვაძის ნაუბარს შემოგთავაზებთ. თავდაპირველად კი „ვიტ ჯორჯიადან" წასვლის მიზეზი ვკითხეთ:

— რა უნდა გითხრათ, სეზონი მშვენივრად დავიწყეთ და რატომღაც შემდეგ ჩავარდნა გვქონდა. ალბათ, ხელმძღვანელობამაც ამიტომ ჩათვალა მიზანშეწონილად ჩემი გუნდიდან გათავისუფლება. მეპატრონეები მოითხოვდნენ, ასევე გაგვეგრძელებეინა, როგორც დავიწყეთ, მაგრამ... „ვიტ ჯორჯია" კარგად მომზადებული იყო, თუმც მე იგი მომავლის გუნდადაც მესახებოდა. სწორედ დროებითი კრიზისი არ მაპატიეს. ჩემსავით გათავისუფლებული თენგიზ კუბლაშვილის გამო ვარ გულდაწყვეტილი. დღემდე ვერ გამიგია, როგორ და რატომ შეელია კლუბის ხელმძღვანელობა მას.

ახლა კი მინდა, ჩემი ცოდნა და გამოცდილება „სიონს" მოვახმარო. გუნდი დღეს გასაჭირშია, ბოლო ადგილზე ვართ. დისციპლინა ძალიან მოიკოჭლებს და შევეცდები, ყველაფერი მოვაწესრიგო. არსებობს გუნდის გადახალისების პერსპექტივა. ვეტერანები ახალგაზრდებმა სრულფასოვნად რომ შეცვალონ, ამისათვის ნიადაგი მოვამზადეთ. მოვიწვიეთ დღემდე უგუნდოდ მყოფნი დავით სოლოლაშვილი, კახა სიდამონიძე, დათო კველიშვილი, შევიგულე აგრეთვე ახალგაზრდა პერსპექტიული ფეხბურთელი ნიკო ჩალაძე „დინამო 2"-დან. სოლოლაშვილის საქმე, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია და დათო უკვე ჩვიდმეტშივე დაგვეხმარება ზუგდიდის „ოდიშთან" შეხვედრაში. მინდა კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი შევიმატოთ.

ჩვენმა უბერებელმა ჯონი ჯაგიდისმა ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება გადაწყვიტა. გვყავს კიდევ რამდენიმე ვეტერანიც, რომელთაც ასაკმა მართლია კვალი დაატყო, საქმეს კი გულიანად ეკიდებიან. გუნდის რგოლების დაბალანსება უახლოეს ხანში მოხდება. მეკარე ნორმალური გვყავს, ერთი-ორი კაციც რომ დაგვემატება, შეიძლება კარგი გუნდის გაკეთება. ფინანსური მდგომარეობა დღესდღეობით მოგვარებულია, ვალებიც გასტუმრებულია, მთავარია, ახლა როგორმე დავაღწიოთ თავი ბოლო ადგილს და თავისთავად სახიფათო ზონას.

რაკი აქ მოვედი, მიზნად დავისახე, „სიონს" ადგილი შევუნარჩუნო ლიგაში. რამდენად გამოგვივა, ამას ვნახავთ.

დღესდღეობით მცირე ტრავმები აწუხებთ მეკარე ვოლკოვს, სტოპერ შაკიაშვილს და ახალგაზრდა პერსპექტიულ სვანიძეს. იმედი მაქვს, ისინი ჩვიდმეტისთვის სრულ მზადყოფნაში იქნებიან.

დიდუბეში „ივერიაზე" გუშინწინდელი სათასო შეხვედრისას არჩვაძე ძალიან მშვიდად იყო. მან მითხრა, როდესაც ფეხბურთელები მწვრთნელის დავალებას ზედმიწევნით ასრულებენ, სანერვიულოც არაფერიაო.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ვინ მიგვიყვანს ტაძრამდე?

23 ოქტომბრამდე ათიოდე დღე დარჩა. ათიოდე დღე დარჩა სფფ-ს პრეზიდენტის არჩევნებამდე. 23 ოქტომბერს 238-მა დელეგატმა არჩევანი უნდა გააკეთოს და ის უნდა გვამცნოს, ვინ უჯობთ კანდიდატთაგან.

ეს საჭირბოროტო საკითხია. მეტიც, სასიცოცხლოც კი, ჩვენთვის, ჩვენი ფეხბურთისთვის. კანდიდატი ძველებურად ოთხია — კვლავ ჩივაძე, გოგლიძე, დათუნაშვილი, ჟორდანია შეეცილებიან ერთმანეთს ოლონდ პირველი (23 ივლისის) საარჩევნო ვადის შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, მრავალი რამ გადაფასდა და ალექსანდრე ჩივაძის უპირატესობაც საპნის ბუშტივით გასკდა. ეს რეალურად, თუმცა... საქმეში შეიძლება წინასწარ დადგმული სცენარიც ჩაერიოს, რომელიც, ილია დათუნაშვილის თქმით, უკვე გაშიფრულია და დაინტერესებულმა ხალხმა ზეპირადაც იცის.

საარჩევნო კამპანია კამპანიად, მაგრამ ახლა მავანთა (და ჩვენს) პოზიციაზეც ვთქვათ. საქართველოში როგორღაც ისე მივეჩვიეთ, რომ მხოლოდ მომხდარი ფაქტის ან მოვლენის შემდეგ ვაკეთებთ ანალიზს, ვამბობთ სათქმელს და რახან ქართულ სპორტში (მით უმეტეს, ქართულ ფეხბურთში) კარგი და გასახარი იშვიათად ხდება, მუდამ მორიგი წარუმატებლობის შემდეგ გვიწევს პოზიციისა და ჩვენი აზრის გამოხატვა. იქამდე კი ძირითადად იმით ვართ დაკავებული, თუ ვინ რა თქვა, ან ვინ რას იტყვის, ვის რა უნდა ეთქვა, ან რისი თქმა არ შეუძლია.

ეს კი უფრო მარჩიელობას ჰგავს, ასე ბევრს ვერაფერს მოვიგებთ.

პრესას გაცილებით მეტი შეუძლია და გაცილებით მეტიც მოეთხოვება.

პრესას, პირველ ყოვლისა, საზოგადოებრივი აზრის შექმნა ძალუძს. ობიექტური აზრის შექმნით კი ქართულ მასმედიას ფასდაუდებელი სამსახურის გაწევა შეუძლია კონკრეტულ შემთხვევაში ქართული ფეხბურთისთვის. ობიექტურობაზე იმადაც დავდებთ თავს, რომ მეტად და მეტად გახლავართ დაინტერესებული ქართული ფეხბურთის ბედით. ჩვენეული ფეხბურთის მომავალი ჩვენივე საკეთებლის მომავალთანაა პირდაპირ კავშირში და თუკი ქართული ფეხბურთი არ იარსებებს, არც ჩვენს საკეთებელს ექნება აზრი.

ახლა კი მთავარზე, ანუ იმაზე, თუ რა გვსურს და რატომ, ანაც რა არ გვინდა და რისთვის.

პირველად იმას ვიტყვით, რომ არ გვსურს, ძველებურად გაგრძელდეს. არ გვსურს, კვლავ იგივე ხალხმა მართოს ჩვენი ფეხბურთი, ვინაიდან: „თუ სფფ დღევანდელი შემადგენლობით კიდევ ოთხი წელი დარჩა, ქართულ ფეხბურთს მერე ვერავინ და ვერაფერი უშველის“ (ილია დათუნაშვილი)

უსაფუძვლოდ არაფერი უთქვამს ილია დათუნაშვილს. დღეს, როცა ქართულ ფეხბურთში ყოველივე კორუფციამ და დილეტანტიზმმა მოიცვა, დღეს, როცა სცემენ მსაჯებს, აგინებენ სფფ-ს დელეგატებს (სფფ-საც), ხელფასს ვერ უხდიან ფეხბურთელებს, ლამისაა, პირველი ჯგუფის ყველა მონაწილე დაშლის პირზეა მისული, კატასტროფული ანგარიშებით მარცხდებიან ქართული გუნდები ნებისმიერი რანგისა და დონის მეტოქეებთან, მთლიანად მოკვდა ფეხბურთი ზოგიერთ რეგიონში და ზოგან კი სიკვდილის პირზეა მისული — ყოველივე ამაში ბრალი სწორედ სფფ-ს დღევანდელ ხელმძღვანელობას მიუძღვის.

სფფ-ს დღევანდელი ლიდერი კი ალექსანდრე ჩივაძეა. ყველასგან პატივცემული, ყველგან მიღებული და ჯერაც საყვარელი ალექსანდრე ჩივაძე. კაცი, რომელიც ჯერაც არ გასვრილა ქართული ფეხბურთის კულუარებში.

თუმცა ისევ ილია დათუნაშვილს დავესესხოთ — „ჩივაძე აბსოლუტურად მართვადი პიროვნებაა. თუ მან არჩევნებში გაიმარჯვა, გაძლევთ გარანტიას, მაქსიმუმ ორ თვეში იგი თანამდებობიდან გადადგება, თავისი ნებით და მის ადგილზე სხვას დანიშნავენ. ეს ყველაფერი სცენარშია“.

ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, დათუნაშვილი სიმართლეს ამბობს. სცენარამდე ჩვენ ხელი არ მიგვიწვდება, დადგმულს კი ბევრი რამე ჰგავს.

ალექსანდრე ჩივაძემ დაიწყო საარჩევნო კამპანია. რაიონებში ბურთები და სხვა საჩუქრებიც ჩაიტანა ამომრჩეველთათვის. შანსიც დიდი ჰქონდა და უცებ სხვის სასარგებლოდ უარი განაცხადა კენჭისყრაზე. ეს კი უკვე თამაშს ჰგავდა. ხალხმაც (დელეგატებმაც) მტკივნეულად აღიქვა მომხდარი და ჩივაძის ნაბიჯიც უპრინციპობად მონათლა.

გადის დრო და ჩივაძემ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ფიფა-უეფას ძალდატანებით ოფიციალურად წამოაყენა კანდიდატურა. ფიფა-უეფას მხარდაჭერა, იცოცხლეთ, კარგი რამ გახლავთ, მაგრამ რამაზ გოგლიძემ ჩივაძეზე გაცილებით ადრე გვამცნო ბლატერის და კამპანიის მხარდაჭერის შესახებ და მარტო სიტყვით არა, ბლატერის დეპეშითაც დაგვიდასტურა თავისი ნათქვამის სისწორე.



მერაბ ჟორდანია



რამაზ გოგლიძე



ილია დათუნაშვილი



ალექსანდრე ჩივაძე

ვახტანგ [illegible] ფოტოები

ჩვენ პატივს ვცემთ ალექსანდრე ჩივაძეს, მაგრამ პატივს ვცემთ ილია დათუნაშვილსაც. მისი თქმით, ჩივაძე დადგმულ სცენარში მონაწილეობს. ეს კი ყველასათვის თვალებში ნაცრის შეყრას უდრის.

სფფ-ს მომავალი თავკაცი ყველანაირ ეჭვზე მაღლა უნდა იდგეს.

და ესეც რომ არ იყოს, ჩივაძეს და მის გუნდს მხრებზე აწევთ ის შვიდი ცოდვა-საოცრება, რომელზეც ამასწინანდელ „სარბიელში“ გაუწყებდით.

და თუ (ეჭვიც არ გვეპარება) ეს ცოდვა-საოცრებები უფრო გუნდის ბრალია, ვიდრე ჩივაძისა, სფფ-ს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა პირველმა უნდა აღიმაღლოს ხმა.

სხვანაირად ისიც გაისვრება. ხომ ქართულია — მითხარი, ვინ არის შენი მეგობარიო და...

ისიც სათქმელია, რომ სფფ-ს პროკურატურაში აქვს საქმე. კონტროლის პალატამ და საგადასახადო ინსპექციამ 260 ათასი ლარი გადაუხდელი გადასახადი „ამოუჩინა“ სფფ-ს. თურმე 600-ათასიანი ხელშეკრულების ნაცვლად 200-ათასიანი გაუფორმებიათ „ტელესპორტთან“. არ არის გამორიცხული, ფინანსური გარიგება მომხდარიყოო — ბრძანებს ბატონი ილია დათუნაშვილი და ვინ იცის, მართალსაც ბრძანებს.

პროკურატურასთან აქვს საქმე თბილისის „დინამოსაც“. ამიტომაც ის 28 მილიონი ლარი, რომელსაც „დინამოს“ ედავებიან, ვერაფრად წაადგება მერაბ ჟორდანიას საპრეზიდენტო ამბიციებს.

ასე რომ, პრეზიდენტობის ოთხი მსურველიდან მხოლოდ ორზე — დათუნაშვილზე და გოგლიძეზე იმუშავა დრომ.

ჩვენ თუ გვკითხავთ, დღევანდელ საქართველოში სფფ-ს პრეზიდენტად ყოფილ ფეხბურთელს ისევ მეურნე კაცი სჯობს. მსოფლიო ფეხბურთის ბოლოდროინდელი პრაქტიკაც ამას ადასტურებს — აველანჟიც, ბლატერიც, იუჰანსონიც ჯერ ბიზნესმენებად მოგვევლინენ და მერე მიაღწიეს საფეხბურთო იერარქიის მწვერვალებს. ასეც უნდა იყოს. თუკი თანამედროვე საფეხბურთო მოდის კანონმდებლები თვლიან, რომ ფეხბურთი ბიზნესია და დიდი ბიზნესიც, ჯობს, სათავეში საქმიანი კაცი ედგეს ქართულ ფეხბურთს.

სფფ-ს გარეგნული და კულისური იერსახე ნათლად მიუთითებს, რა მეურნეებიც უძღვებიან ქართულ ფეხბურთს.

ის 28 მილიონიც, რასაც „დინამოს“ ედავებიან, ვერ მიუთითებს ჟორდანიას და კომპანიის სამეურნეო ნიჭზე.

დათუნაშვილს ფეხბურთელების შემდეგ ფეხბურთში არ უმოღვაწია, მაგრამ ძირითადად სამეურნეო დარგში უხდებოდა მუშაობა და ესეც ხომ აქტივში ეთვლება.

რაც შეეხება რამაზ გოგლიძეს, იგი სულ სხვა ფენომენია ქართულ ფეხბურთში და ღირს ამ კანდიდატზე ცალკე ლაპარაკი.

პირველ ყოვლისა, იმას ვიტყვით, რომ სხვებზე შთამბეჭდავად (უკვე) გვეჩვენება მისი შანსები. თუკი გაზეთ „ლელოს“ გამოკითხვასა და მის მომხრეთა პრესაში ჯგუფურ განცხადებებს მოვიშველიებთ, გოგლიძე ბევრისთვის სასურველ კანდიდატადაც შექნილა. არადა, რამაზ გოგლიძე თავიდან, განაცხადა თუ არა არჩევნებში მონაწილეობის შესახებ, მისი საწინააღმდეგო კომპანიაც უმალ აგორდა. იბეჭდებოდა ათასი ბრალდება, ლაპარაკობდნენ ათასგვარ ტყუილ-მართალს და ზოგჯერ იგონებდნენ კიდეც რალაცეებს. ჩვენი აზრით, ესეც ლოგიკურია — საარჩევნო კამპანიას თავისი რამე-რუმეები თან სდევს და სროლითაც ხომ მწიფე ნაყოფს ესვრიან ხოლმე.

მერე რამაზ გოგლიძემ საარჩევნო კამპანიაც პროფესიონალურად წარმართა. რეგიონებშიც იმოგზაურა, დაპირებაც ნორმალური გასცა და თავისი უპირატესობანიც საქმის ცოდნით გადმოგვიშალა. ახლა გამოცდილება? 1985 წლის, თბილისში ფაქტობრივად ჩამოტანილი, ახალგაზრდული მსოფლიოს ჩემპიონატი? — მაგრამ მას მერე კარგა ხანი გავიდა და ვინ იცის, ჩამორჩებოდაო ბატონი რამაზი — არ ილევიან ურწმუნონი. დრო კი საპირისპიროს ამტკიცებს. გოგლიძე არ ჩამორჩენილა (პირიქით, ქართული ფეხბურთი ჩამორჩა მაშინდელს) და ძალიან, ძალიან სერიოზული გეგმებიც დაუსახავს — „დღეს ფეხბურთი უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც დიდი ინდუსტრია, დიდი მრეწველობა, დიდი კომერციული და დიდი პოლიგრაფიული საქმიანობა... ვიყავით მრეწველთა კავშირში და მათგან დიდი მხარდაჭერა ვიგრძენით. ისინი ბევრს გააკეთებენ ამ საქმეში.“

გოგლიძემ კონკურენტებს ისიც შესთავაზა, ერთად დავსხდეთ და ერთად ვიმსჯელოთო. ილია დათუნაშვილიც დაეთანხმა და მოიწონა კოლეგის (არ ვიტყვით კონკურენტის) ინიციატივა, მერე თავის მხრივ ისიც დაუმატა, ამ ხალხთან საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ღმერთო კი მომკალი, როგორ უნდა ვთქვა უარი, ვთქვათ, ალექსანდრე ჩივაძესთან ერთად მუშაობაზეო. ესე იგი, პრეზიდენტობის კანდიდატებიდან ორი მაინც მზადაა, ერთად აკეთონ საკეთებელი. ერთობით კი ბევრი საქმე მისულა კეთილ ბოლომდე.

ჩვენს სუსტ ხმასაც შევაწვდენთ ბატონი რამაზის ინიციატივას — ჯობს მართლაც ერთად დასხდნენ კანდიდატები (კვლავ უარვყოფთ სიტყვას „კონკურენტები“), ერთად აწონ-დაწონონ ყოველივე და იმის ამჯობინონ თავადვე, ვისიც მართლა სჯობს და ვინც უკეთ მოუვლის ყველაფერს. და რადგან არსებობს საარჩევნო კამპანიაში ასეთი ხერხი — ვინმეს სასარგებლოდ თავისი კანდიდატურის მოხსნა, სწორედ საქმის მკეთებელი კაცის სასარგებლოდ მოხსნან და არა სფფ-ს მიერ წინასწარ დადგმული სცენარის მიხედვით, იმ სფფ-სი, ვინც დალუპვის, გადაშენების პირას მიიყვანა ქართული ფეხბურთი.

სფფ-ს და მის მესვეურთა კრიტიკა ჩვენი თვითმიზანი არ გახლავთ. საქმე მოითხოვს, რომ პრესამ აკრიტიკოს სფფ და მისი მესვეურები. არ შეიძლება, არ გვარგებს სხვანაირად. და როცა ვამბობთ, რომ ვთქვათ ეს კანდიდატი გვიჯობს მეორეს, ეს არავისთვის უნდა იყოს საწყენი. ისევე როგორც არავისთვის უნდა იყოს თვითმიზანი სფფ-ს პრეზიდენტობა.

გვითქვამს და ახლაც გავიმეორებთ: პრეზიდენტები მიდიან, რჩება სახელი და ქართული ფეხბურთი. თანამდებობა უნდა გვინდოდეს არა საკუთარი თავისთვის, არამედ იმისთვის, რომ საქმე ვაკეთოთ. ამადაცაა, ვინც უფრო საქმიანად და ღრმა ცოდნით დაგვპირდება, პრეზიდენტადაც იმას ვისურვებთ.

ასეთ რამეს კი ჯერჯერობით ოთხიდან ორი კაცი გვპირდება. მერაბ ჟორდანიას და ალექსანდრე ჩივაძეს პრაქტიკულად არც კი წარუმართავთ საარჩევნო კამპანია და არც დაგვპირებიან რამეს (ეტყობა, დრო ვერ მოიხელთეს საკმაო).

ის კი არა, ჩივაძემ ისეთი რამ განაცხადა, რაც მის კანდიდატურას ეჭვქვეშ აყენებს.

— სანამ საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა არ გამოსწორდება, ქართულ ფეხბურთს არაფერი ეშველება — თქვა პრეზიდენტმა, რითაც ფაქტობრივად ისიც ცხადყო, რომ თავად ქვეყნის ფეხზე წამოდგომამდე ვერაფერს შეცვლის.

აი, დათუნაშვილი და გოგლიძე კი მეტს და სერიოზულად ლაპარაკობენ. ესე იგი, საქმეს ეკიდებიან სერიოზულად (ამომრჩეველს და ქართულ ფეხბურთსაც სხვათა შორის).

ჰოდა, ამომრჩეველმაც ამის მიხედვით, სერიოზულობის და საქმისადმი კეთილსინდისიერად მიდგომის მიხედვით უნდა ამოირჩიოს პრეზიდენტი.

ის კი, ვინც გამოაცოცხლებს ქართულ საფეხბურთო მეურნეობას, რამაზ გოგლიძე თუ ვთქვათ, ალექსანდრე ჩივაძე, ჩვენთვის სულ ერთი უნდა იყოს. ჩვენთვის მთავარი უნდა გახდეს ის, თუ ვის შეუძლია გამოაცოცხლოს ქართული ფეხბურთი — რამაზ გოგლიძეს თუ ალექსანდრე ჩივაძეს. გზა ერთია, ისევე როგორც სიმართლე — ძველებურად არ უნდა გაგრძელდეს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

## ამხანაგური მატჩი

### ჰოლანდია 0:0 განა

ჰოლანდია: ვან დერ სარი (მოენსი 45), რაიციგერი, სტამი (ვან ვონდერენი 55), ფ. დე ბური, კოკუ, ტალანი (როიზერი 45), რ. დე ბური (ზეედორფი 69), დავიდსი, ოვერმარსი (ვან ფოსენი 69), ბერხკამპი, კლუივერტი

განა: კინგსტონი, კუფური, ჯონსონი, გარგო, გიანი, ბაიდუ, აპია, აკუნორი (აჩიმპონგი 88), დუგბარტი, აპინფული (კენედი 82), ოფორი-ქუაიე

— ტაქტიკურად თითქოს ყველაფერი წესრიგში იყო, მაგრამ როდესაც ბურთს ამდენი უაზრო გორების საშუალებას აძლევ, მოვლენები შენსავე საწინააღმდეგოდ ბრუნდება. დღესაც ასე მოხდა — აუცილებლად უნდა მოგვეგო, თუმცა ეს ვერ მოვახერხეთ და შედეგიც სახეზეა — მატჩის შემდეგ აღშფოთებას ვერ მალავდა ჰოლანდიელთა ახალდანიშნული თავკაცი ფრენკ რაიკაარდი.

მართლაც, შეხვედრაში, რომელიც ქალაქ არნემში გაიმართა და მხოლოდ 14 ათასი გულშემატკივარი დაესწრო, „ნარინჯისფრებს" დიდი უპირატესობა ჰქონდათ და რამდენჯერმე შეეძლოთ განელების დამწუხრება. მარტო კლუივერტს მიეცა ორჯერ ანგარიშის გახსნის რეალური შანსი, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ ივარგა — ჯერ კარს ააცილა, ხოლო შემდეგ კინგსტონმა იყოჩაღა. მასპინძელთა მეორე ფორვარდი დენის ბერხკამპი, რომელიც ამჟამად ნამდვილად ვერ იმყოფება სათანადო ფორმაში, ასევე აქტიურობდა, ბევრიც ირბინა, მაგრამ რად გინდა, ბოლო მომენტში ბურთის მოთვინიერება უჭირდა.

მეორე ტაიმში რაიკაარდმა მოედანზე სამი ახალბედა შეუშვა — აზ-67-ის გოლკიპერი ოსკარ მოენსი, ადგილობრივი „ვიტესის" გარემარბი მარტინ როიზერი და ჰოლანდიის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი როტერდამის „ფეიენოორდის" მცველი კის ვან ვონდერენი, თამაშის დასრულებამდე 20 წუთით ადრე კი გამოცდილ ზეედორფსა და ვან ფოსენსაც მიეცათ თავის გამოჩენის საშუალება, მაგრამ ამ ცვლილებებს განსაკუთრებული არაფერი მოჰყოლია.

რაც შეეხებათ განელებს, ისინი ხელებდაკრეფილნი ნამდვილად არ ყოფილან. მეტად აქტიური იყო აფრიკელთა ცენტრალური თავდამსხმელი პეტერ ოფორი-ქუაიე, ვინც ბევრი თავსატეხი გაუჩინა გამოცდილ, ბევრისმნახველ ჰოლანდიელ მცველებს, მაგრამ, მასპინძელთა ფორვარდების მსგავსად, დამაგვირგვინებელ ფაზაში სიზუსტე აკლდა. საერთოდ, ბოლო ხანებში განელთა პროგრესი აშკარაა. გარდა იმისა, რომ მრისხანე მეტოქეს, ჰოლანდიის ნაკრებს ასე თუ ისე ღირსეულად ეთამაშნენ, თვის დასაწყისში კამერუნელებსაც სძლიეს საკმაოდ იოლად 3:1. ფეხბურთის სპეციალისტების თქმით, აფრიკელთა ყველაზე ძლიერი რგოლი დაცვაა. ეს რაიკაარდის შეგირდებთან შეხვედრაშიც გამოჩნდა. სტუმართა მცველები მართლაც მშვენივრად იცავდნენ თავს, ხოლო მათგან ყველაზე გამოცდილმა სამუელ ჯონსონმა დენის ბერხკამპს ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა.

მოკლედ, ამ ამხანაგური მატჩის დახასიათება ასე შეიძლება — მასპინძელთა მთავარი ამოცანა გოლის გატანა და მოგება იყო, მაგრამ ამისთვის ბევრი ოფლი არ დაუღვრიათ და მიზანსაც ვერ მიაღწიეს. ხოლო განელები ყველანაირად ცდილობდნენ საკუთარი კარი მშრალად შეენახათ, რაც მოახერხეს კიდეც და საფინალო სასტვენს ისეთი ზარზეიმი მოაყოლეს, გეგონება, სამი ბურთის სხვაობით მოიგესო.

# რონალდოს თამაში მონატრებია



მილანელ გულშემატკივრებს მეტად მოენატრათ ასეთი რონალდოს ხილვა

მილანელთა, და არამარტო მათი, კერპი რონალდო გამოჯანმრთელდა და სავსებით რეალურია, კვირას, 18 ოქტომბერს, „ლაციოსთან" შეხვედრაში მოედანზე ვიხილოთ.

ბრაზილიელმა ფორვარდმა, რომელსაც ორივე მუხლის მყესები ჰქონდა დაშავებული, სერია A-ს ახლახან დაწყებულ სეზონში ოთხი მატჩიდან მხოლოდ ერთში, 20 სექტემბერს, „პიაჩენცას" წინააღმდეგ ითამაშა და თერთმეტმეტრიანიდან შეხვედრის ერთადერთი გოლიც გაიტანა.

მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ რონალდო საკმაოდ დიდხანს, დაახლოებით ორი თვის განმავლობაში, არდადეგებზე იმყოფებოდა. ამას აღნიშნული ტრავმაც დაემატა და...

— ფეხბურთის თამაში ასე არასდროს მომნატრებია, კარიერაში ამხელა შესვენება ხომ არასდროს მქონია. და აი, როგორც იქნა, მკურნალობის პროცესი მიმთავრდება, ვარჯიშიც დავიწყე და ნელ-ნელა ფორმაშიც შევდივარ. „ინტერი" ძალიან მჭირდება, ისევე როგორც მე ვჭირდები მას, ოღონდ ჯანმრთელი. ამიტომ არ ვჩქარობ, მინდა, ბოლომდე მოვიშუშო ტრავმა და მოედანს სალ-სალამათი დავუბრუნდე. ერთხელ უკვე ვიჩქარე და რაც მოვიგე, ყველამ კარგად ნახა — მას შემდეგ აუტანელ ტკივილებს ვგრძნობდი. ახლა კი ტკივილები საერთოდ გამიქრა. მე ბედნიერი ვარ — ვერ მალავდა ემოციებს 22 წლის ფეხბურთელი.

რონალდოს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე იტალიელ ჟურნალისტებს მილანური კლუბის ფიზიოთერაპევტი კლაუდიო ბორდონიც გაესაუბრა.

— პროგრესი აშკარაა. მეტიც, რონალდო თითქმის ბოლომდე მომჯობინდა და, როგორც ხედავთ, დღეს უკვე თანაგუნდელებთან ერთად სრული დატვირთვით ივარჯიშა. იგი პატარა ბავშვივით ხარობს და ერთი სული აქვს, კვლავ გავიდეს მოედანზე, მაგრამ ჯერჯერობით მაინც სიფრთხილე გვმართებს, ემოციებს არ უნდა ავყვეთ, თორემ სავსებით შესაძლებელია ყველაფერი წყალში ჩაიყაროს. ამ წუთისათვის მისი თამაში მაინც სარისკოდ მიმაჩნია — აღნიშნა ბორდონიმ.

სწორედ მისი მოთხოვნით, „ინტერის" მთავარმა მწვრთნელმა ჯიჯი სიმონიმ შეცვალა გადაწყვეტილება და „ფენომენს" დღეს „კრემონასთან" ამხანაგურ მატჩში აღარ ათამაშებს. თუმცა ეს „ინტერის" ქომაგებს ნაკლებად ანაღვლებთ, მათთვის მთავარია, რომ რონალდო მომავალ ოთხშაბათს იყოს მილანელთა შემადგენლობაში, როდესაც სიმონეს შეგირდები ჩემპიონთა ლიგის გათამაშების მორიგ ტურში მოსკოვის „სპარტაკს" დაუპირისპირდებიან. რუსებს რონალდო და კომპანია შარშანაც შეხვდნენ უეფას თასის ნახევარფინალში და ალბათ გახსოვთ — მაშინ საუკეთესო სწორედ ბრაზილიელი იყო, ვინც თოვლიან მოსკოვში მასპინძელთა მეკარე ფილიმონოვი მასხრად აიგდო.

ასე რომ, მთავარია, რონალდო 21 ოქტომბერს იყოს მწყობრში, თუნდაც ამისთვის „ლაციოსთან" მატჩის გამოტოვება მოუწიოს.

**ინგლისში** „ლესტერ სიტის" მწვრთნელმა მარტინ ონილმა განაცხადა, რომ „ლიდს იუნაიტედში" გადასვლის შესახებ მოლაპარაკებები ძალიან აინტერესებს. „ლიდსი" ონილით მას მერე დაინტერესდა, რაც მისი თავკაცი ჯორჯ გრემი „ტოტენჰემ ჰოტსპურში" გადავიდა. ონილს ზურგს ლესტერის გუნდის თავკაცებთან ზეპირი გარიგება უმაგრებს. ამ გარიგების თანახმად, მას სურვილის გაჩენისთანავე შეუძლია დატოვოს თანამდებობა. „საკუთარი სინდისის წინაშე მართალი ვარ. „ლესტერ სიტიდან" თუ წავედი, ეს საქციელი კონტრაქტის დარღვევის ტოლფასი არ იქნება, თანაც კარგა ხნის განმავლობაში ჩუმად ვიყავი, არ მისარგებლია იმით, რაზეც ზეპირი გარიგების დროს შევთანხმდით" — ამბობს ონილი. „ლიდსს" კი მომავალ კვირაში, 20 ოქტომბერს უეფას თასის პირველ მეთექვსმეტედფინალურ შეხვედრაში „რომა" ელის და თუ მანამდე ონილის საკითხი არ გაირკვა, ფაქტობრივად, უმწვრთნელოდ მოუწევს თამაში, რადგან მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი დევიდ ოლირი დისკვალიფიცირებულია და მხოლოდ ტრიბუნიდან თუ ადევნებს თამაშს თვალს. ოლირი წინა ეტაპზე პორტუგალიურ „მარიტიმუსთან" თამაშის დროს მსაჯთან საქმის გარჩევისთვის გააძევეს და ერთი მატჩით მოედანთან მიახლოება აუკრძალეს.

**შვედი** მარტინ დალინი სეზონის ბოლომდე ინგლისური „ბლექბერნ როვერსიდან" გერმანულ „ჰამბურგში" გადადის. 30 წლის დალინი უკმაყოფილოა პრემიერლიგაში მოღვაწეობით, ვინაიდან გასულ ზაფხულს კევინ დევისის ყიდვის შემდეგ იგი გუნდის ხელმძღვანელებმა სიძლიერით მეოთხე თავდამსხმელად მიიჩნიეს და, შესაბამისად, იშვიათად ათამაშებენ. ამის მიუხედავად „ბლექბერნის" მწვრთნელმა როი ჰოჯსონმა განაცხადა: „მწყინს, რომ მისი გაშვება გვიხდება. მე იგი მაღალი დონის თავდამსხმელად მიმაჩნია და სიამოვნებით დავიტოვებდი გუნდში". დალინი გერმანული ბუნდესლიგისთვის უცხო კაცი არ არის. თავის დროზე იგი მიონხენგლადბახის „ბორუსიაში" გამოდიოდა, სადაც 106 შეხვედრაში 50 გოლი გაიტანა.

**იტალიიდან** მიღებული ცნობის თანახმად, გენუის „სამპდორიას" თავდამსხმელი ვინჩენცო მონტელა მარჯვენა ფეხის კოჭის ოპერაციის შემდეგ სამი თვის განმავლობაში ველარ ითამაშებს. მონტელა 24 წლისაა და ბოლო ორი სეზონის განმავლობაში სერია A-ში 24 გოლი გაიტანა. საოპერაციოდ კი იგი შვეიცარიას მიემგზავრება. იქ ჟენევის ერთ-ერთ კლინიკაში საოპერაციო მაგიდაზე უნდა დაწვეს, რადგან მისი კოჭი ლანცეტის ჩაურევლად ვერაფრით დაამდა. მონტელას გამოკლება „სამპდორიას" გვარიანი სირთულის წინაშე დააყენებს. ოთხი ტურის შემდეგ მეათე პოზიციაზე დამკვიდრებულ გუნდს ხომ თავდამსხმელების მწვავე ნაკლებობა აქვს, რადგან გასულ ზაფხულს შეძენილ, იუგოსლავიელ ზორან იოვიჩიჩსაც ტრავმა აწუხებს.

**ესპანეთში** არის მესამე დივიზიონის კლუბი „სან სებასტიან დე ლოს რეიესი", რომელიც 27 წლის წინ დაარსდა და ამ ხნის განმავლობაში არასდროს მიუღწევია ისეთი წარმატებისთვის, როგორსაც ახლა აღწევს — იგი ქვეყნის თასის გათამაშებაში მესამე ეტაპზე გავიდა. ესპანეთის დედაქალაქის ჩრდილო გარეუბნის ეს პატარა გუნდი გასულ პარასკევს გამართულმა კენჭისყრამ პრიმერა დივიზიონის „ტენერიფეს" დაუპირისპირა და სწორედ აქ იჩინა თავი სერიოზულმა პრობლემამ: „სან სებასტიან დე ლოს რეიესის" პრეზიდენტმა ანხელ ვილენამ არ იცის, საიდან მოიტანოს იმდენი ფული, ორთამაშიან დუელს რომ სჭირდება. საქმე ის არის, რომ ტენერიფე კანარის კუნძულებიდან ერ-ერთია და მართალია ესპანეთს ეკუთვნის, მაგრამ საკმაოდ შორს გახლავთ ქვეყნის ძირითადი ტერიტორიიდან. „ტენერიფეზე გაფრენა იმას ნიშნავს, რომ მე უნდა დავიქირაო თვითმფრინავი, გადავუხადო სოლიდური თანხა პრემიერა დივიზიონის მომსახურე მსაჯებს და ასე შემდეგ. ძალიან მინდა იაფ გამოსავალს მივაგნო, მაგრამ ისე ვატყობ, რომ ეს შეუძლებელია" — განაცხადა ვილენამ. „სან სებასტიან დე ლოს რეისი" მესამე დივიზიონში რეგიონალური მეოთხე დივიზიონიდან გასული სეზონის შედეგებმა აღაზევა, ხოლო მანამდე

## ფეხბურთის რუკასთან



ასე მაღლა არასდროს ყოფილა. ჩრდილომადრიდელი მოთამაშეები გუნდში ხელფასს არც კი იღებენ, მხოლოდ პრემიებს სჯერდებიან. თასის გათამაშების წინა ორ ტურში „მერიდასა" და „ალბასეტესთან" გამარჯვება პრეზიდენტ ვილენას 700 ათასი პესეტა ანუ 5 ათასი დოლარი დაუჯდა. ტენეირფეზე გამგზავრება კი უეჭველად მოითხოვს 1,5 მილიონ პესეტას ანუ 10 ათას დოლარზე მეტს. ვილენას იმედი აქვს, რომ „ტენერიფესთან" საშინაო შეხვედრაში ბილეთების ფასის გაზრდა უშველის.

**რუმინელი** მოთამაშე, ნახევარმცველი დენის სერბანი ესპანეთის პრემიერა დივიზიონის კლუბ „ვალენსიაში" გადავიდა. 22 წლის სერბანი აქამდე ბუქარესტის „სტიაუაში" გამოდიოდა. ბუქარესტის ცნობილმა კლუბმა მისი გაყიდვით სალარო 1,98 მილიონი დოლარით შეავსო. ნახევარმცველი სხვადასხვა ფორმალობების მოგვარებას დეკემბრამდე მოუნდება და მხოლოდ საახალწლოდ შეძლებს ახალი გუნდის შემადგენლობაში მოედანზე გასვლას. როგორც იცით, „ვალენსიაში" უკვე თამაშობენ სერბანის თანამემამულე ძმები ადრიან და საბინ ილიეები, იქვეა გაბრიელ პოპესკუც.

**იტალიის** ჩემპიონის, ტურინის „იუვენტუსის" წინააღმდეგ, ჩემპიონთა ლიგის მესამე ტურის შეხვედრაში ვერ ითამაშებს ბილბაოს „ატლეტიკის" ნახევარმცველი ხავი გონსალესი, რომელმაც ცხვირი გაიტეხა. ხავი გონსალესის ცხვირის ზუსტი ამბავი არავინ იცის. ცნობილია მხოლოდ ის, რომ გონსალესი ორშაბათს, ტრენაჟორებზე ვარჯიშის დროს დაშავდა. კლუბის წარმომადგენლები და თავად მოთამაშე მოკლე სიტყვით შემოიფარგლნენ: „ცხვირი დარბაზში გატყდა", მაგრამ ეჭვია, რომ იქ, დარბაზში რაღაც სხვა ამბავიც მოხდა. „ატლეტიკოს" ექიმი ფრანსისკო ანგულო ამბობს, რომ ფეხბურთელი 10 ან 15 დღეს დაისვენებს.

**იუგოსლავიის** ცნობილ გუნდს „ცრვენა ზვეზდას" უეფამ ბელგრადის ნაცვლად ნეიტრალურ მინდორზე თამაში უბრძანა, მაგრამ მას მაინც აქვს იმედი, რომ მშობლიურ სტადიონზე ასპარეზობის ნებას დართავენ. საუბარია 20 ოქტომბრის შეხვედრაზე —ცრვენა ზვეზდასა" და ფრანგულ „ლიონს" შორის. ეს თამაში უეფას თასის მეთექვსმეტედფინალური გახლავთ. უეფას განკარგულება იუგოსლავიის ავტონომიურ მხარეში, კოსოვოში მიმდინარე სისხლიანი ამბების გამოძახილი გახლავთ და მარტო „ცრვენა ზვეზდას" როდი ეხება. თასების თასზე მოასპარეზე ბელგრადისავე „პარტიზანი" რომის „ლაციოსთან" მერვედფინალის საპასუხო მატჩს 5 ნოემბერს სადმე სხვაგან ჩაატარებს. თუმცა 5 ნოემბრამდე ჯერ დიდი დროა, 20 ოქტომბერი კი კარსაა მომდგარი და ამიტომ „ცრვენა ზვეზდას" საქმის მოგვარება მალე მოეთხოვება. თავიდან კლუბმა მაკედონიის დედაქალაქი სკოპიე აირჩია, მაგრამ უეფამ ისევ და ისევ უსაფრთხოების მოტივით სასტიკი უარი განაცხადა და თავისი ვარიანტები დაასახელა: ვენა და სოფია. საბოლოო სიტყვა „ცრვენა ზვეზდამ" დღეს ცენტრალური ევროპის დროით 12 საათზე ანუ თბილისის დროით 14 საათზე უნდა თქვას. უცხოეთის ქალაქში მასპინძლობა ბელგრადელებს დაახლოებით 300 ათასი დოლარის დაკარგვად დაუჯდებათ. იუგოსლავიის ტელევიზია კი მაინც იმედიანადაა და ამბობს, რომ წყალბურთისა და ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციებმა მათ ქვეყანაში დანიშნული შეხვედრები რომ არ გადაიტანეს და არც გადადეს, სასიკეთოს უნდა ნიშნავდესო.

**ავსტრიული** გუნდი ლასკი ქალაქ ლინციდან, უცნაურ დღეში ჩავარდა. სადღაც გაქრა მისი პრეზიდენტი და ფინანსური გარანტი ვოლფგანგ რიეგერი. გუნდის მწვრთნელმა მაქს ჰაგმაირმა სააგენტო APA-ს განუცხადა: „სანამ დეტალებს არ შევიტყობ, ვერაფერს ვიტყვი. ბუნებრივია, ძალიან გაკვირვებული ვარ. ბოლოს რიეგერს გასულ კვირაში ვესაუბრე". საინტერესოა, რომ რეიგერის გაუჩინარების ამბავი საზოგადოებრიობას მისმა მეუღლემ შეატყობინა. პოლიცია საქმეს იძიებს. საგულისხმო ფაქტი: რეიგერი მას მერე გაუჩინარდა, რაც [illegible] მდებარე მისი ბანკი „რეიგერბანკ AG" გაკოტრდა. ცხადია, რომ რეიგერი ბანკის პრეზიდენტობიდან გადააყენეს.

**ინგლისელი** ბუქმეიქერები კოეფიციენტად 5-4-ს ჩამოდიან და ამბობენ, რომ ეროვნული გუნდის თავკაცი გლენ ჰოდლი მაისამდე ვერ გაჩერდება თანამდებობაზე. რაც შეეხება მის შემცვლელებს: „ბლექბერნის" თავკაცის როი ჰოჯსონის კოეფიციენტი 7-4-ია, „მიდლსბროს" თავკაცის ბრაიან რობსონის 9-4, ხოლო „ლივერპულისა" და „ფულემის" მწვრთნელები ჟერარ ულიე და კევინ კიგანი, „არსენალის" ყოფილ მოთამაშესთან დევიდ პლატთან ერთად 10-1 კოეფიციენტით არიან. 20-1 გახლავთ ჰოდლის წინამორბედის ტერი ვენეიბლზის კოეფიციენტი. საბუქმეიქერო ფირმა „უილიამ ჰილი" ინგლისის ნაკრების ევრო 2000-ზე გამარჯვების ნიძლავსაც დებს: 12-1-ია, რომ ინგლისი კონტინენტის ჩემპიონი გახდება. სხვათა ამბავი ასეა: 4-1 ჰოლანდიის ჩემპიონობის კოეფიციენტი გახლავთ, 6-1 იტალიის, ხოლო 7-1 საფრანგეთის.

**ბრაზილიელი** თავდასხმელი აილტონი სამედიცინო გამოკვლევის შემდეგ გერმანულ „ვერდერში" ჩაირიცხა. აილტონი 25 წლისაა. ადრე იგი მექსიკის გუნდში „ტიგრეს მონტერეიში" გამოდიოდა. „ვერდერი" ბუნდესლიგის დღევანდელ ცხრილში 18 გუნდიდან მე-17-ეა და როგორც ისტორია ცხადყოფს, ასე ცუდად ჩემპიონატი არასდროს დაუწყია.

**ესპანეთის** პოლიციის ანტიკორუფციული განყოფილება მადრიდის „ატლეტიკოს" სტადიონს „ვისენტე კალდერონს" ჩაუჯდა. ქვეყნის ტელევიზიის ცნობით, პოლიციელები იკვლევენ ფინანსურ კავშირს „ატლეტიკოსა" და ქალაქ მარბელას მერიას შორის. კლუბსა და ქალაქს საერთო ისა აქვთ, რომ ხესუს ხილი ხილი ერთის პრეზიდენტია, ხოლო მეორის მერი. მარბელა გართობა-დასვენების ცენტრია და კოსტა დელ სოლზე ანუ მზიურ სანაპიროზე მდებარეობს. ქალაქი გაკოტრების პირასაა. რეგიონალური მმართველობის წინაშე მისი ვალი 220 მილიონი დოლარი გახლავთ და ამიტომაც შეუთვალეს დიდმა ხელისუფლებმა ხილი ხილს ახალი მშენებლობის წამოწყებაზე სასტიკი უარი. „ატლეტიკომ" გამოძიებასთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართა, სადაც მისმა წარმომადგენელმა თქვა: „ქალაქისა და კლუბის კავშირის შესახებ პოლიციელებმა ერთად-ერთი დოკუმენტი იპოვნეს. ეს გახლდათ სპონსორული ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ქალაქი ჩვენი მაისურების შეკერვას კისრულობს".

**ამერიკელი** მცველი დევიდ რეჯისი უეფამ ხუთთამაშიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. მიზეზი: ფრანგული „მეცის" მოთამაშე უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალის საპასუხო შეხვედრაში „ცრვენა ზვეზდას" მოთამაშეს ზურგსუკან დაესხა ბურთის წასართმევად და წითელი ბარათი მიიღო. იმავე მატჩში გააძევეს ბელგრადელი გორან დრულიჩიც. მას სამ თამაშში აეკრძალა მონაწილეობა. კიდევ, „ცრვენა ზვეზდა" 30 ათასი შვეიცარიული ფრანკით ანუ 22540 დოლარით დაისაჯა. ამის მიზეზი ბელგრადელ ქომაგთა ხულიგნობა გახლდათ. ბელგიური „ბრიუგეს" ფეხბურთელს ტიორვენ დე ბრუინს, კვიპროსული „ანორთოსისის" მოთამაშის კლადან ტომიჩის მსგავსად, ოთხი თამაშით აეკრძალა მოედანზე გასვლა. სპლიტის „ჰაიდუკი" კი უახლოეს საშინაო, ევროპულ შეხვედრას ქალაქიდან 200 კილომეტრით შორს ჩაატარებს. ცხადია, ეს სასჯელიც ქომაგების „დამსახურებაა", რომელთაც იტალიურ „ფიორენტინასთან" შეხვედრის დროს ტრიბუნაზე აყალმაყალი ატეხეს.

**არგენტინის** ნაკრების ოდინდელი ფეხბურთელი მიგელ ანხელ ბრინდისი ესპანურ „ესპანიოლს" გაწვრთნის. იგი დაიკავებს თანამდებობას, რომელიც ცოტა ხნის წინ მის თანამემამულეს მარსელო ბიელსას ეპყრო. ბიელსამ, როგორც იცით, არგენტინის ნაკრების მწვრთნელად დაიწყო მუშაობა. ბრინდისი ეროვნულ გუნდში 45-ჯერ ნათამაშევი კაცია, 17 გოლი აქვს გატანილი. მას 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მიუღია მონაწილეობა. იყო „ბოკა ხუნიორსის", „ურაკანის" და ესპანური „ლას პალმასის" ფეხბურთელი, შემდეგ კი მწვრთნელობას მიჰყო ხელი. სამშობლოში ბრინდისი „ინდიპენდიენტეს" და „რასინგს" ედგა სათავეში, უცხოეთში კი გვატემალას ნაკრებს.

# პირველი იტალიელი



*ტურინის შემდეგ იყო მილანი, მერე ბოლონია, სულ ბოლოს კი ისევ მილანი. იტალიური ფეხბურთის პრინცმა ქვეყნის თითქმის ყველა ძლიერ კლუბში ითამაშა, თუმცა ის აღიარება, როგორიც მას ტურინის „იუვენტუსში" ერგო, სხვაგან არსად მოუპოვებია. შავ-თეთრთა შემდეგ რობერტო ბაჯო „მილანში" აღმოჩნდა, მაგრამ იქ მაინცდამაინც არ უმართლებდა. „ბოლონიაში" გადაბარგებულმა გაიბრწყინა, ახლა კი წინ ისევ დიდი გუნდია — მილანის „ინტერი". ნავთობმაგნატის მორატთა საგვარეულოს გუნდი რობერტოზე დიდ იმედებს ამყარებს, 31 წლის ფეხბურთელიც არ ამბობს უარს დიდ მიღწევებზე...*

*ეს ინტერვიუ მსოფლიოს ჩემპიონატის გასრულების შემდეგ შედგა. ცოტა ხნის შემდეგ, რაც რობერტომ „ინტერში" გადასვლის თაობაზე განაცხადა.*

**— მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩილესთან პირველ მატჩში მეტად სარისკო ნაბიჯი გადადგით — პენალტი დაარტყით. როცა ბურთისკენ გაექანეთ, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩი თუ გაგახსენდათ?**

— წამებში ყველაფერმა გამიელვა თვალწინ. ბრაზილიელებთან აცილებული პენალტის შემდეგ ჩილესთან შეგდებული გოლი პირველი თერთმეტმეტრიანი იყო, ნაკრებში რომ გავიტანე. ის დარტყმა როგორ არ მახსოვდა, მაგრამ ამას გაცილებით ნაკლებ მნიშვნელობას ვანიჭებდი, ვიდრე სხვები. ის გაუტანელი გოლი, ისევე როგორც ჩილელებთან შეგდებული პენალტი, ახლა უკვე ისტორიაა, მოგონებებით ცხოვრება კი არასდროს მიყვარდა.

**— ჩეზარე მალდინიმ გუნდში სულ ბოლო მომენტში მიგიწვიათ. ნაკრებში მოხვედრა განაღდებული არ გქონდათ, მაგრამ თქვენსას მაინც მიაღწიეთ. რას ნიშნავდა ეს მსოფლიოს ჩემპიონატი რობერტო ბაჯოსთვის?**

— ჩემთვის საფრანგეთში თამაში უდიდესი გამარჯვება გახლდათ. მწამდა, რომ ნაკრებში დაბრუნება ძალმიძდა. მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის უფლების მოპოვებამ, გარკვეულწილად დამითრგუნა პირველობის გრძნობა. ესეც არ იყოს, გათვითცნობიერებული მქონდა, რომ ჩემსა და დელ პიეროს შორის ალესანდროს ამჯობინებდნენ. უშუალოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე, სიტუაცია ჩემს სასიკეთოდ შეიცვალა, თუმცა ამაში გადამწყვეტი როლი დელ პიეროს ტრავმამ ითამაშა და სხვამ არაფერმა. მთლიანობაში ამ ტურნირმა საოცრად დამტვირთა ემოციებით. საფრანგეთის სტადიონებზე თამაში ჩემთვის ენითაუწერელი სიამოვნება გახლდათ.

**— მსოფლიოს ჩემპიონატის დროს ხმები დაირხა, ძირითადში თამაშის გამო რობერტო ბაჯოს და ალესანდრო დელ პიეროს შორის ურთიერთობა დაიძაბაო...**

— სიცრუეა. ჟურნალისტებს სკანდალები და სენსაციები გიზიდავთ, საამისოდ კი ჭორებს ხანდახან თქვენვე იგონებთ. ჩემსა და ალექსს შორის არაფერი მომხდარა. არც შეიძლება მომხდარიყო, რადგან ორივემ ვიცოდით, რომ ეს მარტო ჩვენ არ გვავნებდა.

**— ჩილესთან მატჩში, პენალტის დარტყმის უფლება რომ მოიპოვეთ, ფუენტესის გაშლილ ხელს ბურთი საგანგებოდ დაუმიზნეთ?**

— არა, არა, რას ამბობთ. ასეთი რამ არც მიფიქრია, უბრალოდ, ბურთის საჯარიმოში შეგდება ვეცადე. მეტი არაფერი.

**— ჩილელებმა გააპროტესტეს, პენალტი არ იყოო. მოგვიანებით მათ ფიფას ექსპრეზიდენტი ჟოაო ავულანჟიც დაეთანხმა. თქვენ როგორ გგონიათ — იყო პენალტი?**

— რა უნდა გითხრათ. ავულანჟს, ისევე, როგორც ყველა ადამიანს, თავისი აზრი გააჩნია, მაგრამ რახან ფიფას ექსპრეზიდენტია, თავისი ნაფიქრალი თავს არ უნდა მოგვახვიოს. საერთოდ, მიმაჩნია, რომ იგი ჩვენს მიმართ უარყოფითადაა განწყობილი. წინა მსოფლიოს პირველობაზე ყველანაირად ცდილობდა, რომ თასი ბრაზილიელებს დარჩენოდათ. დარწმუნებული ვარ, ახლაც არ სურდა ჩვენი ჩემპიონობა.



„იუვენტუსში" რობერტო ბაჯო ალესანდრო დელ პიერომ შეცვალა. ზაფხულში, მსოფლიოს ჩემპიონატზე კი პირიქით მოხდა

**— კრისტიან ვიერიზე რას ფიქრობთ?**

— ის შეუდარებელია. მართალი გითხრათ, არ მეგონა, ასეთი ძლიერი თუ იქნებოდა. კრისტიანმა კარგად გამიგო და არ შევცდები, თუ ვიტყვი, უდავოდ სახიფათო წყვილად ჩამოვყალიბდით. ჩვენს ძლიერ მოქმედებაში დიდი როლი ითამაშა ჩემს და მას შორის ფიზიკურმა განსხვავებამ. მჯერა, ორი ერთნაირი აღნაგობის მოთამაშე ერთმანეთს ისე კარგად ვერ გაუგებდა, როგორც მე და კრისტიანი. ის მართლაც ძლიერია.

**— მსოფლიოს ჩემპიონატამდე მოთამაშეზე უკნიდან თავდასხმები აკრძალეს. გიფიქრიათ ოდესმე ამაზე?**

— მეგონა, მსაჯებს ახალი წესის ათვისება არ გაუჭირდებოდათ, მაგრამ შევცდი. ყველას აინტერესებდა, როგორ მოიქცეოდა არბიტრი პირველი ასეთი დარღვევის დროს. მაგალითად, როცა კამერუნს ვხვდებოდით, ნჯანკამ დი ბიაჯოს ლამის ფეხი მოაგლიჯა. ვიფიქრე, კამერუნელს გააძევებენ-მეთქი, მაგრამ არც არაფერი! იცით, რაშია მთავარი პრობლემა? მსოფლიოს ჩემპიონატზე ფიფა ჩვენს, ან გნებავთ, ჩემპიონობის სხვა რეალურ პრეტენდენტთა მატჩებზე ისეთ მსაჯებს ამწესებს უმაღლეს დონეზე, ევროპაში რომ არ უმსაჯიათ, ეს კი დაუშვებელია. განა შეიძლება აზიელ, ანაც აფრიკელ არბიტრს ძლიერი გუნდების შეხვედრა ანდო, ევროპაში გამოწრთობილი არბიტრი კი განზე დატოვო? ასე არ უნდა ხდებოდეს.

**— ჩილესთან და ავსტრიასთან შეგდებული გოლების წყალობით პირველი იტალიელი მოთამაშე გახდით, მსოფლიოს სამ სხვადასხვა ჩემპიონატზე რომ გამოუჩენია თავი. ეს რაიმეს თუ ნიშნავს თქვენთვის?**

— მეამაყება. სამივე ტურნირის ჯამში (იტალია — 1990, აშშ — 1994, საფრანგეთი — 1998) ცხრა გოლი გავიტანე. მეეჭვება, მეოთხე მსოფლიოს ჩემპიონატზე კვლავ ვიასპარეზო. ახლა მიზნად ლუიჯი რივას რეკორდის დამხობას ვისახავ. მას ნაკრებში 35 გოლი აქვს შეგდებული, მე კი ჯერჯერობით 26.

**— ნუთუ მსოფლიოს ჩემპიონატები თქვენთვის დასრულდა?**

— ალბათ, კი. ტურნირზე სამჯერ ვითამაშე და სამჯერვე პენალტებში დავმარცხდით. სხვისი რა გითხრათ და ეს ჩემთვის ტრაგედიაა. მსოფლიოს ჩემპიონატის გარეშეც მშვენივრად ვიცხოვრებ.

**— რას გრძნობდით საფრანგეთთან მარცხის შემდეგ?**

— იმ ღამით არ მეძინა. არ მიტირია, მაგრამ არც არაფერი მაკლდა. მოწყენილი ვიყავი.

**— გამოითქვა აზრი — მეოთხედფინალში ძირითადში რომ გეთამაშათ, იტალია მოიგებდა...**

— ერთხელ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ — ყველას აქვს აზრის გამოთქმის უფლება. იქნებ ზოგი ასეც ფიქრობდეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ვიღაცა იმასაც იტყოდა, დელ პიერო რომ არ შეეცვალათ, გადამწყვეტ გოლს გაიტანდაო. მაშინ ალესანდრო გმირი გახდებოდა. განა ასე არ დამემართა ამერიკაში? მაშინ თავიდან არაფერი გამომდიოდა, თუმცა ნიგერიასთან შეგდებული გოლის მერე ყველაფერი გამოსწორდა. დელ პიეროს რაც შეეხება, მართალია, ეს არ იყო მისი საუკეთესო მსოფლიოს ჩემპიონატი, მაგრამ ჯერა, იგი გაიბრწყინებს. დელ პიერო ნამდვილი ტალანტია.

**— მაგრამ დელ პიერომ ხომ ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც ვერ ივარგა...**

— რაც უნდა კარგი იყო, ყველაფერს ვერ მოიგებ. ყველა შეხვედრას უმაღლეს დონეზე ვერ ჩაატარებ.

**— გიფიქრიათ ოდესმე, რომ დელ პიეროსთან ერთად უკეთ ითამაშებდით, ვიდრე მარტო?**

— რა თქმა უნდა, ამაზე მიფიქრია, მაგრამ ჩეზარე მალდინი სხვანაირად თვლიდა. მის ტაქტიკურ მონახაზში ჩვენთვის ერთი ადგილი იყო გათვლილი.

**— საფრანგეთთან გაფუჭებული პენალტის შემდეგ დი ბიაჯოს თუ უთხარით რამე?**

— შემეცოდა. რაც მან მაშინ განიცადა, ის მე ოთხი წლის წინ შემემთხვა. მე ვუთხარი ლუიჯის, რომ უნდა ეამაყა, რადგან ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ საკუთარ თავში კიდევ გამონახა ძალა პენალტის დასარტყმელად.

**— ცოტა არ იყოს, უცნაურია, თქვენი შესაძლებლობების მოთამაშე სათადარიგოთა შორის რომ ზის.**

— ჩემთვის ეს სავსებით მისაღებია. ეს დამოკიდებულია გუნდის ტაქტიკაზე, თუმცა მიუხედავად ამისა, თავს მუდამ შთავაგონებდი, რომ ძირითადის მოთამაშე ვიყავი.

**— იტალიამ ბოლოს ცუდად ითამაშა. რატომ?**

— მე ფეხბურთელი ვარ და არა კრიტიკოსი. მატჩების გარჩევა და ტაქტიკის მოწონება-დაწუნება ჩემი საქმე არ არის. საფრანგეთთან მარცხით ეს მსოფლიოს ჩემპიონატი ჩემთვის დასრულდა. ფინალის დროს არგენტინაში გახლდით. რადიოში ვუსმენდი შეხვედრის რეპორტაჟს და როცა ზიდანმა მეორე გოლი გაიტანა, იქაურობას გავეცალე. ფეხბურთისგან დასვენება მეწადა. მარცხის მიზეზი, ალბათ, ბიჭების ფეხბურთით გადაღლა გახლდათ.

**— რონალდოზე რას იტყვით?**

— ამბობენ, რომ რონალდომ ეს მსოფლიოს ჩემპიონატი „ჩააგდო". განა შეიძლება ასეთი რამ თქვა 22 წლის ბიჭზე, რომელმაც ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ყველაფერი მოიგო და რომელსაც ამ ხნის განმავლობაში არ დაუსვენია? ის ძალიან დიდ ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდის, მისგან ყველა სასწაულს ელის. ის კი ავიწყდებათ, რომ რონალდოც ისეთივე ადამიანია, როგორც ყველა. რონალდო ჯერაც ბავშვია ფეხბურთში. მისი რეალური შესაძლებლობები მაშინ გამოჩნდება, როცა იგი დალვინდება.

**— წაიყვანთ რონალდოს მომავალ წელს სანადიროდ არგენტინაში?**

— ეჭვი არ შეგეპაროთ! რა თქმა უნდა!

**— რონალდო და ბაჯო. ეს ოცნების გუნდია?**

— გაზეთებსა და ჟურნალებში კი, მაგრამ ჩვენ ეს მინდორზე უნდა დავამტკიცოთ. მოლოდინი შედეგებით უნდა გავამართლოთ.

**— გაგიადვილდებათ მასთან თამაში?**

— ვერ გეტყვით. ჯერ ხეირიანად არც ვიცნობ, ცოტა უნდა შევთამაშდეთ. ისე კი, არა მგონია, მასთან თამაში რთული იყოს.

**— წლეულს პენალტებს თქვენ დაარტყამთ თუ რონალდო?**

— შარშან ის ურტყამდა და ახლა რატომ უნდა შეიცვალოს რამე?

**— ბაჯო და ჯორკაეფი. შეძლებენ ისინი მხარდამხარ თამაშს?**

— რაც ფეხბურთს ვთამაშობ, სულ ასეთ პრობლემებს ვაწყდებოდი. თავიდან დელ პიერო იყო, მერე სავიჩევიჩი, ახლა ჯორკაეფი. მოდით, წინასწარ ნურაფერს ვიტყვით. ნურც იმას, რომ ბაჯოს „ინტერში" მისვლით იური ძირითადში ადგილს დაკარგავს. სხვა თუ არაფერი, ბოლო ორი სეზონის მანძილზე იგი „ინტერის" სული და გულია, მე კი ერთ თვეში ვერაფერს მოვახერხებ. დრო ყველაფერს გვიჩვენებს. ისე კი პრობლემები არ უნდა გვქონდეს.

**— რის გაკეთება შეუძლია რობერტო ბაჯოს „ინტერისთვის"?**

— მას ძალუძს გუნდი უფრო აგრესიული გახადოს. მე გოლების შესაქმნელად მოვედი.

**— მოდით, წარსულზე ვისაუბროთ...**

— წარსული განვლილია. ახლა მასთან რა საქმე გვაქვს?

**— მაშინ მხოლოდ მილანზე...**

— კარგით.

**— ის, რომ „მილანმა" გაგყიდათ, კვლავ გულს გეთანაღრებათ?**

— არა. მაშინ კლუბის ხელმძღვანელებმა ასე ამჯობინეს. ეს მათი აზრი იყო.

**— იანვარში, „ბოლონიაში" ყოფნისას, ყველა ელოდა, რომ „იუვენტუსის" წინააღმდეგ ითამაშებდით, მაგრამ თქვენ საწვრთნელი ბაზა დატოვეთ. რატომ?**

— შეხვედრამდე ექვსი დღის განმავლობაში მწვრთნელი მეუბნებოდა, რომ მე ძირითადში ვითამაშებდი, მაგრამ მატჩის დღეს აღმოჩნდა, რომ სათადარიგოთა შორის ვიყავი. ამან ამაღელვა და „ბოლონიას" ბაზა დავტოვე, თუმცა მოგვიანებით გუნდს დავუბრუნდი. ამ შემთხვევის გამო ულივიერისთან ურთიერთობა (კლუბის მწვრთნელია) არ გამრთულებია.

**— „ინტერს" ჩემპიონატი 1989 წლის შემდეგ არ მოუგია. თქვენ ჩემპიონთა ლიგაში არ გაგიმარჯვიათ...**

— მესმის, რისი თქმაც გსურთ. სწორედ ამიტომ ვარ აქ. ყველაფერს გავაკეთებ წარმატების მისაღწევად.

**— ასე რომ, სეზონის ბოლოს „ინტერის" დუბლს უნდა ველოდოთ?**

— რატომაც არა.

**— რას გრძნობთ, როცა 32 წლის ასაკში ასეთ კლუბში გადადიხართ?**

— რას ამბობთ. ჯერ მხოლოდ 31 წლის და ექვსი თვის ვარ! ეს ჩემთვის საკუთარ თავთან გამარჯვებას ნიშნავს. როცა „ბოლონიაში" გადავედი, მეუბნებოდნენ, რომ კარიერის დასასრულებლად შესანიშნავი გუნდი ავირჩიე. იმ ჩემპიონატში 22 გოლი გავიტანე და მსოფლიოს ჩემპიონატზე გავემგზავრე. მერე „ინტერმაც" გადამიბირა. მე რომ ძლიერად არ მეთამაშა, აქ არ მოვხვდებოდი. კარიერასაც „ინტერში" დავასრულებ. ეს უკვე გადაწყვეტილი მაქვს.

**— „ინტერში" გადასვლა სამი წლის წინაც შეგეძლოთ, მაგრამ მაშინ „მილანში" წახვედით...**

— როცა არჩევანს აკეთებ, დარწმუნებული ხარ, რომ სწორად იქცევი.

**— გასულ იანვარსაც შეგეძლოთ „ინტერში" გადასვლა...**

— მაშინ „ბოლონიას" და კლუბის 25 ათას ქომაგს ვერ ვუღალატებდი.

**— ხალხი მუდამ თქვენს მხარესაა. მათ თქვენ მოსწონხართ. რატომ?**

— ხალხმა იცის ჩემი კარიერის შესახებ და ამიტომაც მგულშემატკივრობენ. ეს ძალიან მახარებს.

**— პორტუგალიელმა პაულო სოუზამ წერილი მოგწერათ, რომ თქვენთან თამაშის სურვილი კლავს...**

— პაულო ძლიერი ფეხბურთელია. მასთან ერთად 1995 წელს „იუვენტუსში" სკუდეტო მოვიგე. ვეცდებით, მაშინდელი მიღწევა ახლაც გავიმეოროთ.

**— „ინტერის" თამაშები თუ ნახეთ?**

— მხოლოდ „კაიზერსლაუტერნთან" და ისიც ზერელედ. პირლო და ვენტოლა მომეწონა.

**— თქვენ ახალ კლუბში ხართ, იტალიის ნაკრებს კი ახალი მწვრთნელი — დინო ძოფი ჰყავს. როგორ ფიქრობთ, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ითამაშებთ?**

— კონტინენტის პირველობაზე არასდროს მიასპარეზია. ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობა მართლაც ძალიან მინდა.

**— ჩეზარე მალდინიმ თქვა, რომ თანამდებობიდან გათავისუფლების მიზეზი ვერ გაუგია. თქვენ რას იტყვით?**

— თუ მან არ იცის, მე საიდან უნდა ვიცოდე?

**— და ბოლოს, „ინტერის" გულშემატკივრებს რას ჰპირდებით?**

— შრომასა და დაუზარელ ვარჯიშს. დანარჩენს გუნდის შედეგები წარმოაჩენს.

**„უორლდ სოკერი"**
**1998 წლის სექტემბერი**
**თარგმნა ლაშა გოდუაძემ**

## ფეხბურთი

გაგაცნობთ სააგენტო „როიტერის" მიერ შედგენილ ევროპული კლუბების მორიგ რეიტინგს. მასში კვლავ იტალიური გუნდები ლიდერობენ, ხოლო პირველ საფეხურზე ცვლილება მოხდა და „მილანი" იტალიის ჩემპიონატში ჯერჯერობით უდანაკარგოდ მიმავალმა „ფიორენტინამ" შეცვალა. მეორე კვლავ მიუნხენის „ბაიერნია". მესამე-მეოთხე ადგილებზე კი ორი მილანური კლუბი იმყოფება — „ინტერი" და „მილანი". შეგახსენებთ, რომ ამ რეიტინგში საკუთარ ჩემპიონატში ნაჩვენები შედეგებისთვის მინიჭებული ქულების გარდა კლუბებს დამატებით ეწერებათ ქულები ევროტურნირებსა და ეროვნული თასის გათამაშებაში მიღწეული წარმატებებისთვის.

### საუკეთესო 20 გუნდი

| | | |
|---|---|---|
| 1. ფიორენტინა | იტალია | 108.61 |
| 2. ბაიერნი | გერმანია | 103.07 |
| 3. ინტერი | იტალია | 96.57 |
| 4. მილანი | იტალია | 89.66 |
| 5. სარაგოსა | ესპანეთი | 88.84 |
| 6. მიუნხენ 1860 | გერმანია | 87.68 |
| 7. ბორდო | საფრანგეთი | 86.49 |
| 8. მარსელი | საფრანგეთი | 83.35 |
| 9. ბარი | იტალია | 83.03 |
| 10. იუვენტუსი | იტალია | 83.03 |
| 11. რომა | იტალია | 80.94 |
| 12. ასტონ ვილა | ინგლისი | 80.84 |
| 13. უდინეზე | იტალია | 80.44 |
| 14. რაპიდი | რუმინეთი | 79.22 |
| 15. შახტიორი | უკრაინა | 79.15 |
| 16. დინამო | რუმინეთი | 78.46 |
| 17. პარტიზანი | იუგოსლავია | 77.35 |
| 18. ლაციო | იტალია | 77.12 |
| 19. პორტუ | პორტუგალია | 77.11 |
| 20. მადრიდის რეალი | ესპანეთი | 77.00 |

### რეიტინგში ბოლო ხუთ ადგილზე მყოფი გუნდი

| | | |
|---|---|---|
| 370. პირეოსის ეთნიკოსი | საბერძნეთი | 16.68 |
| 371. ტიუმენი | რუსეთი | 10.32 |
| 372. კერულეტი | უნგრეთი | 9.30 |
| 373. საუთჰემპტონი | ინგლისი | 7.49 |
| 374. კოპენჰაგენი | დანია | 6.97 |

### ზედიზედ მოგებული მატჩები

| | | |
|---|---|---|
| ცსკა | რუსეთი | 9 |
| პარტიზანი | იუგოსლავია | 9 |
| ლეხი | პოლონეთი | 7 |
| შახტიორი | უკრაინა | 7 |
| რუსენბორგი | ნორვეგია | 6 |
| ვისლა | პოლონეთი | 6 |

### სეზონის რეკორდი

| | | |
|---|---|---|
| ცსკა | რუსეთი | 9 |
| პარტიზანი | იუგოსლავია | 9 |

### წაუგებელი მატჩები

| | | |
|---|---|---|
| აიკ | შვედეთი | 15 |
| ცსკა | უკრაინა | 11 |
| ოლბორგი | დანია | 10 |
| ვისლა | პოლონეთი | 10 |

### სეზონის რეკორდი

| | | |
|---|---|---|
| მიოლდე | ნორვეგია | 21 |

### ზედიზედ წაგებული მატჩები

| | | |
|---|---|---|
| კოპენჰაგენი | დანია | 5 |
| სკა | უკრაინა | 5 |
| ტიუმენი | რუსეთი | 5 |
| ნორჩიოპინგი | შვედეთი | 4 |
| შტაირი | ავსტრია | 4 |

### სეზონის რეკორდი

| | | |
|---|---|---|
| ტიუმენი | რუსეთი | 18 |

### ბოლო გამარჯვების შემდეგ ჩატარებული მატჩების რაოდენობა

| | | |
|---|---|---|
| პრიკარპატიე | უკრაინა | 12 |
| იანგ ბოისი | შვეიცარია | 12 |
| კოპენჰაგენი | დანია | 10 |
| ბანიაში | უნგრეთი | 10 |

### სეზონის რეკორდი

| | | |
|---|---|---|
| ტიუმენი | რუსეთი | 19 |

### ბომბარდირები წამყვანი ქვეყნების ჩემპიონატებში

| | | |
|---|---|---|
| სილვან ვილტორდი | ბორდო | 8 |
| იოჰენ იანსენი | ვესტერლო | 7 |
| სალიფ კეიტა | კორტრაიკი | 7 |
| ოლაფ მარშალი | კაიზერსლაუტერნი | 7 |

### ჩემპიონატებში გოლების საშუალო მაჩვენებელი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ნორვეგია | 3.71 | 13. ჩეხეთი | 2.77 |
| 2. დანია | 3.18 | 14. ავსტრია | 2.67 |
| 3. იუგოსლავია | 3.17 | 15. უკრაინა | 2.65 |
| 4. რუმინეთი | 3.10 | 16. შვედეთი | 2.65 |
| 5. უნგრეთი | 3.07 | 17. საფრანგეთი | 2.54 |
| 6. ბელგია | 3.04 | 18. რუსეთი | 2.51 |
| 7. გერმანია | 3.03 | 19. პორტუგალია | 2.46 |
| 8. საბერძნეთი | 2.96 | 20. ინგლისი | 2.24 |
| 9. პოლონეთი | 2.93 | 21. ესპანეთი | 2.20 |
| 10. შვეიცარია | 2.88 | 22. იტალია | 2.17 |
| 11. ჰოლანდია | 2.86 | 23. შოტლანდია | 1.98 |
| 12. თურქეთი | 2.86 | | |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**გერმანიის ჩემპიონატი.** ბუნდესლიგა. VIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 16 ოქტომბერი | | | |
| კაიზერსლაუტერნი — ვოლფსბურგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,5 |
| მიუნხენ 1860 — ბოხუმი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,3 |
| 17 ოქტომბერი | | | |
| ვერდერი — ფრაიბურგი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| აინტრახტი — ლევერკუზენი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| ჰამბურგი — დუისბურგი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| შალკე — ბაიერნი | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| შტუტგარტი — ჰერტა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| მიონხენგლადბახი — ნიურნბერგი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 18 ოქტომბერი | | | |
| დორტმუნდი — ჰანზა | 1,6 | 3,0 | 5,6 |

**გერმანიის ჩემპიონატი.** II ბუნდესლიგა. X ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 16 ოქტომბერი | | | |
| ჰანოვერი — ობერჰაუზენი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| კარლსრუე — კიკერსი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ვატენშაიდი — ბერლინი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 18 ოქტომბერი | | | |
| ფიურტი — გიუტერსლო | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| მაინცი — ზანქტ პაული | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| არმინია — ურდინგენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ულმი — კოტბუსი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 2,8 | 2,6 |
| უნტერჰახინგი — ფორტუნა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 19 ოქტომბერი | | | |
| კიოლნი — დიუსელდორფი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

**ინგლისის ჩემპიონატი.** პრემიერლიგა. IX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 17 ოქტომბერი | | | |
| არსენალი — საუთჰემპტონი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| ჩელსი — ჩარლტონი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ევერტონი — ლივერპული | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| მანჩესტერი — უიმბლდონი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,0 | 3,1 |
| მიდლსბრო — ბლექბერნი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ნიუკასლი — დერბი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ნოტინგემი — ლიდსი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ვესტ ჰემი — ასტონ ვილა | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 18 ოქტომბერი | | | |
| ქოვენთრი — შეფილდ უენსდეი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 19 ოქტომბერი | | | |
| ლესტერი — ტოტენჰემი | 2,3 | 2,9 | 2,8 |

**ინგლისის ჩემპიონატი.** I დივიზიონი. XIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 17 ოქტომბერი | | | |
| ბირმინგემი — ქრიუ | 1,4 | 4,0 | 5,6 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ბოლტონი — ოქსფორდი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ბერი — სტოკპორტი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| კრისტალ პალასი — ნორვიჩი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| გრიმსბი — ბრედფორდი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ჰადერსფილდი — ქუინზ პარკი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 0:1 | 2,1 | 3,0 | 2,2 |
| იფსვიჩი — სვინდონი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| პორტველი — ბრისტოლი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| პორტსმუთი — ვულვერჰემპტონი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| შეფილდ იუნაიტედი — ბარნსლი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ტრანმერი — უოტფორდი | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| 18 ოქტომბერი | | | |
| ვესტ ბრომვიჩი — სანდერლენდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

**საფრანგეთის ჩემპიონატი.** IX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 16 ოქტომბერი | | | |
| ლიონი — პსჟ | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ბორდო — ნანტი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| სტრასბური — მარსელი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 17 ოქტომბერი | | | |
| სოშო — მეცი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| მონაკო — მონპელიე | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| ლანსი — ოსერი | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| ლორიანი — ლე ავრი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ნანსი — რენი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| 18 ოქტომბერი | | | |
| ტულუზი — ბასტია | 2,0 | 2,8 | 3,5 |

**იტალიის ჩემპიონატი.** სერია A. V ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 17 ოქტომბერი | | | |
| ემპოლი — ბოლონია | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| პარმა — სალერნიტანა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,0 | 3,1 |
| რომა — ფიორენტინა | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 18 ოქტომბერი | | | |
| პერუჯა — ვენეცია | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| პიაჩენცა — სამპდორია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ვიჩენცა — იუვენტუსი | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| ბარი — უდინეზე | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| კალიარი — მილანი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| ინტერი — ლაციო | 1,7 | 2,9 | 5,0 |

**იტალიის ჩემპიონატი.** სერია B. VII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 17 ოქტომბერი | | | |
| ტორინო — ჯენოა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 18 ოქტომბერი | | | |
| ატალანტა — ჩეზენა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| კიევო — ტერნანა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| კოზენცა — ვერონა | 2,5 | 2,7 | 2,7 |
| ლეჩე — ბრეშა | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| მონცა — ფ. ანდრია | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ნაპოლი — ტრევიზო | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| პესკარა — ლუკეზე | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| რავენა — რეჯანა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| რეჯინა — კრემონეზე | 2,0 | 2,8 | 3,5 |

**ესპანეთის ჩემპიონატი.** I დივიზიონი. VI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 17 ოქტომბერი | | | |
| ატლეტიკო — ტენერიფე | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ვილიარეალი — სოსიედადი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ბარსელონა — სალამანკა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ბილბაო — ვალენსია | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ბეტისი — სელტა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| სარაგოსა — რეალი | 3,8 | 2,8 | 1,9 |
| 18 ოქტომბერი | | | |
| მალიორკა — ალავესი | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| დეპორტივო — ოვიედო | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ვალიადოლიდი — ესპანიოლი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| რასინგი — ესტრემადურა | 1,6 | 3,0 | 5,6 |

**ესპანეთის ჩემპიონატი.** II დივიზიონი. VIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 17-18 ოქტომბერი | | | |
| ლეგანესი — მალაგა | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| ბადახოსი — მერიდა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ოსასუნა — რეკრეატივო | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ერკულესი — ორენსე | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ბარსელონა B — სევილია | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| ალბასეტე — კომპოსტელა | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ტოლედო — ნუმანსია | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ეიბარი — ლეიდა | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სპორტინგი — ლოგრონიესი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ლას პალმასი — რაიო ვალეკანო | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| მალიორკა B — ატლეტიკო B | 1,8 | 2,8 | 4,4 |

**პორტუგალიის ჩემპიონატი.** VII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 16 ოქტომბერი | | | |
| სეტუბალი — გიმარაეში | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| 17 ოქტომბერი | | | |
| სპორტინგი — ბეირა მარი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| ბენფიკა — ალვერკა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 18 ოქტომბერი | | | |
| აკადემიკა — ფარენსე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| პორტუ — ბოავიშტა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ბრაგა — ლეირია | 2,1 | 2,7 | 3,4 |
| კამპომაიორენსე — სალგეირუში | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| შავეში — მარიტიმუ | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 19 ოქტომბერი | | | |
| ამადორა — რიუ ავე | 1,7 | 2,9 | 5,0 |

**რუსეთის ჩემპიონატი.** XXVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 17 ოქტომბერი | | | |
| როსტსელმაში — ჟემჩუჟინა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| დინამო — ალანია | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| ლოკომოტივი — ურალანი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ზენიტი — კრილია სოვეტოვი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 2,9 | 3,2 |
| ჩერნომორეცი — ბალტიკა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| როტორი — სპარტაკი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ტორპედო — ცსკა | 5,0 | 3,2 | 1,6 |

**ჰოლანდიის ჩემპიონატი.** IX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 16 ოქტომბერი | | | |
| ალკმაარი — ჰერენვენი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 17 ოქტომბერი | | | |
| ფეიენოორდი — როდა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| ვიტესი — ტილბურგი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ბრედა — მაასტრიხტი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| სიტარდი — სპარტა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| კამბური — ვალვაიკი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 18 ოქტომბერი | | | |
| გრააფსხაპი — უტრეხტი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ნაიმეგენი — ეინდჰოვენი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| აიაქსი — ტვენტე | 1,5 | 3,3 | 6,0 |

**თურქეთის ჩემპიონატი.** VIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 16 ოქტომბერი | | | |
| ქოჯაელი — ანთალია | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 17 ოქტომბერი | | | |
| გენჩლერბირლიგი — ტრაბზონი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| ისთანბული — ანკარა | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| სამსუნი — ქარაბუქი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ადანა — გალათასარაი | 8,0 | 3,8 | 1,3 |
| 18 ოქტომბერი | | | |
| ერზურუმი — ბეშიქთაში | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| ალთაი — დარდანელი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ბურსა — გაზიანთეფი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ფენერბაჰჩე — საქარია | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |

**პოლონეთის ჩემპიონატი.** XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 16-18 ოქტომბერი | | | |
| ვიძევი — სტომილი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ლეხი — ზაგლებე | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| რაძიონკოვი — პოლონია | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ამიცა — ოდრა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| კატოვიცე — პოგონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ლეგია — გურნიკი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ბელხატოვი — ლკს | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ვისლა — რუხი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

**შოტლანდიის ჩემპიონატი.** X ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 17 ოქტომბერი | | | |
| აბერდინი — დანდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| დანდი იუნაიტედი — კილმარნოკი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| დანფერმლაინი — სელტიკი | 5,6 | 3,4 | 1,5 |
| რეინჯერსი — ჰარტსი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 2,9 | 2,5 |
| სენტ ჯონსტონი — მოზერველი | 1,7 | 2,9 | 5,0 |

**ავსტრიის ჩემპიონატი.** XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 17 ოქტომბერი | | | |
| რაპიდი — გრაცერი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| შტაირი — აუსტრია | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| შტურმი — რიდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| ტიროლი — ლუსტენაუ | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ლინცერი — ზალცბურგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |

**შვეიცარიის ჩემპიონატი.** XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 17 ოქტომბერი | | | |
| ციურიხი — ბაზელი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ლუგანო — გრასჰოპერი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ლუცერნი — სერვეტი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| 18 ოქტომბერი | | | |
| არაუ — ქსამაქსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| სიონი — სენტ გალენი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| იანგ ბოისი — ლოზანა | 2,5 | 2,9 | 2,5 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

## ქართველები საბჭოთა ნაკრებში



# გურამ ცხოვრებოვი

*დღევანდელ „სარბიელში“ რამაზ შენგელიაზე ვაპირებდით დაწერას. წერილიც მზად გვქონდა და ფოტოებიც შესაფერი მოვიძიეთ. მერე ის იყო გურამ ცხოვრებოვის გარდაცვალების ამბავიც გავიგეთ. ჰოდა, ჩვენი გამოსათხოვარიც ეს იყოს.*

7

ეს ამბავი თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში მოხდა. ყოველ საღამოს შუქის მომლოდინე მეზობლებმა პოლიტიკა-ხელოვნებაზე სჯა-ბაასით გული იჯერეს და მერე ფეხბურთს მიწვდნენ.

ქართველ ფეხბურთის გულშემატკივარს ერთი კითხვა აწვალებდა მუდამ — საქართველოს ყველა დროის სიმბოლური ნაკრები. იმ ძველ უბანშიც ამ თავსატეხზე დაიწყეს დავა — აბა ვინ ვის სჯობს, ვინ უფრო ძლიერიაო. ჰოდა, ატყდა, მაგრამ რა ატყდა კამათი...

რაზე დაობთ? — იკითხა ერთმა დაგვიანებით მოსულმა ავტორიტეტმა და როცა საქმის ვითარება გაიგო — ჯაყო არ გამოტოვოთ, თუ გინდათ მეტოქის გარემარბმა ფეხი ვერ გაანძრიოსო...

ჯაყო — გურამ ცხოვრებოვი...

გურამ ცხოვრებოვი „ოქროს გუნდის“ საიმედო მცველი 1938 წელს ცხინვალში დაიბადა. ფეხბურთის თამაში 17 წლისამ ადგილობრივ გუნდში დაიწყო ორ წელიწადში კი თბილისის „დინამოში“ მიიღეს, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ფეხი ვერ მოიკიდა და გურამმა ქუთაისის „ტორპედოში“ წასვლა გადაწყვიტა. და ცხოვრებოვიც ათამაშდა, ათამაშდა მთელი ძალით — სულ რამდენიმე სეზონში გუნდთან ერთად „ა“ კლასში გამოსვლის უფლება მოიპოვა. მას უკვე გაცილებით ძლიერ მეტოქეებთან მოუწევდა პაექრობა — ჩისლენკოსთან, ბაზილევიჩთან, ურინთან, რედკინთან, მეტრეველთან, რომლებსაც ძლიერ სასტარტო სიჩქარესთან ერთად გამორჩეული ტექნიკა და იდიალური საფეხბურთო აზროვნება ჰქონდათ. მაგრამ გურამი მათ არაფრით ჩამორჩებოდა, იგი თამაშობდა გულით, მთელ ძალღონეს დებდა თამაშში და მისი ფრთიდან მოწინააღმდეგე თითქმის ვერ გადიოდა. ქუთაისლებმა უძლიერესთა მარაქაში ფეხი მოიკიდეს, ბევრი სახელოვანი გუნდი გაამწარეს, ბევრთანაც ღირსეულ ბრძოლაში დათმეს პაექრობა. ცხოვრებოვს თავისი გამორჩეული ადგილი ეკავა გუნდში. იგი საიმედოობით გამოირჩეოდა.

1964 წელს გურამი უკვე მეორედ მიიწვიეს თბილისის „დინამოში“. ამ სეზონში გუნდი აღნიშნავდა სსრკ უმაღლეს ლიგაში ბრძოლის მეოთხედ საუკუნეს, „ა“ კლასში შესვლიდან 25 წლის განმავლობაში უტევდა ქვეყნის ჩემპიონის მწვერვალს. უტევდა მთელი თავისი სამხრეთული ტემპერამენტით, მთელი თავისი მდიდარი ტექნიკური თუ ტაქტიკური არსენალით, მაგრამ უშედეგოდ. თუმცაღა რამდენჯერმე ოქროს მედლები ჯიბიდან ამოაცალა უფროსმა ძმამ. თაობები თაობებს ცვლიდა, ჩემპიონობა კი ისევე სანატრელი გვქონდა, როგორც პირველ ჩემპიონატში.

გურამმა „დინამოშიც“ იპოვა თავისი ადგილი და სისხლს უშრობდა მოწინააღმდეგეს. მას ერთი დავალება ჰქონდა მუდამ, არ გაეჭაჭანებინა თავდამსხმელი მის ფლანგზე. გურამის თამაში მის თანაგუნდელებს კატა-თაგვობანას აგონებდა. გაუშვებდა ჯაყო მოწინააღმდეგეს, დაეწეოდა და მაშინ გაანეიტრალებდა, როდესაც მეტოქეს ეგონა, საშვიდობოს ვარ გასულიო.

პირველ ოთხ ტურში ქულათა მაქსიმუმი დააგროვა „დინამომ“ და რაც მთავარია, არცერთი ბურთი გაუშვია. ამის მერე გუნდში ახალი მწვრთნელი მივიდა, რომელიც იძულებული გახდა ტრავმების გამო გადანაცვლებები მოეხდინა.

მწვრთნელი ძიებაშია, ცხოვრებოვი კი გუნდში ახალი კაცია, მას შეცდომის დაშვების უფლება არ აქვს, თორემ სათადარიგო სკამს ვერ მოშორდება. მან ეს მშვენივრად იცის. იგი გაავთრებით ებრძვის სახელოვან მოწინააღმდეგეებს. უშიშარი ფიზიკურადაც კარგად მომზადებულია.

ყველგან ერთადერთი კითხვა ისმის:

გავხდებით ჩემპიონები? — და პასუხიც:

უნდა გავხდეთ!

რაიმე ხომ არ გვაკლია?

— არაფერი, ყველაფერი გვაქვს — იამანიძის თავგანწირვა, მესხის და მეტრეველის ნიჭიერება, ბარქაიას აზროვნება, კოტრიკაძის შეუპოვრობა, სიჭინავების და ზეინკლიშვილის გამოცდილება...

ჯაყოს კაცზე თამაში, სიდინჯე, აუღელვებლობა მარცხენა ფრთას საიმედოდ კეტავს. დადგა ბოლო, გადამწყვეტი მატჩის დღე მოსკოვური „ტორპედოს“ წინააღმდეგ. „დინამო“ ახლოსაა იმ სანუკვარ მიზანთან რასაც თაობები ელოდნენ...

და აჰა დაიწყო!

დაიწყო, უპირველეს ყოვლისა, ნერვების, ფსიქიკის, ნებისყოფის გამოცდა. „ტორპედო“ უტევს. დაცვაში ჩვენები ციბრუტივით ტრიალებენ. გურამი შეუდარებელია და თუ პირველ ტაიმში გოლი არ გასულა, მისი დიდი დამსახურებაცაა. შემდეგ რაც მოხდა, ყველამ კარგად იცის. „დინამომ“ მოიგო. და მერე — საპატიო წრე, დაუცხრომელი მქუხარე ტაში, ზღვა ყვავილები, სიხარულის ცრემლები და „დინამო“! „დინამო“! ხმის ჩახლეჩამდე... აჰა, მარადიული „ოქროს გუნდის“ სახელიც...

ვოვა ელოშვილმა ორიოდ სიტყვით ასე დაახასიათა ჯაყო: — იგი ძალიან საიმედო მარცხენა მცველი იყო. და რაც მთავარია, დიდთან და პატარასთან ერთნაირი შემართებით თამაშობდა. ფიზიკურად ძლიერს მშვენივრად შეეძლო პერსონალური მეურვეობაო.

იგი შეიყვანეს „33 საუკეთესოთა“ შორის, რაც მისი ნიჭის, ტალანტის, საიმედობის აღიარება იყო: მომდევნო სეზონებში გურამმა ყველა თამაშში მიიღო მო-

# ჯაყო



მეგობრები და თანაგუნდელები: შოთა იამანიძე და გურამ ცხოვრებოვი

ნაწილეობა და ერთ-ერთი გამოკვეთილი ფიგურა იყო „დინამოს“ შემადგენლობაში. 1966 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გუნდი ბრწყინვალე ფორმაში მყოფმა გურამმა და შოთა იამანიძემ დატოვეს. თითქოს აქ უნდა დაგვესრულებინა ცხოვრებოვზე წერა, მაგრამ იმ ხანებში „დინამოში“ მივიდა გამოცდილი სპეციალისტი სოლოვიოვი. მას ეხმარებოდნენ ჩოხელი და ბარქაია. მათ მიზნად დაისახეს დაებრუნებინათ გუნდში გამოცდილი ფეხბურთელები. როგორც კი ეს ამბავი იამანიძემ გაიგო, ცხინვალს გაემგზავრა გურამის სანახავად და რაკი თავად ვერ ნახა, ასეთი ბარათი დაუტოვა:

„ჩემო გურამ!

ძალიან ბევრზე მსურს გელაპარაკო, მაგრამ იმედი მაქვს რომ მალე პირადად გნახავ და მაშინ მოგიყვები ყველაფერს. ახლა ერთი თხოვნა მაქვს. მინდა გუნდში დავბრუნდე შენთან ერთად. რაც შეიძლება მოკლე დროში, ხვალვე ჩამოდი და გთხოვ რომ 26-ში ბოლო საკონტროლო თამაშში მიიღო მონაწილეობა. ამას გთხოვ მე და ამას გთხოვს ახალი მწვრთნელი სოლოვიოვი, პირველი, რაც მან თქვა, ეს ის იყო, რომ გურამი და შოთა თუ გუნდში არ დაბრუნდებიან, მე ვერ ვიმუშავებო. ახლა რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩემო გურამ, შენს სახლში ვწერ ამ წერილს დედაშენის და მამაშენის თანდასწრებით. მივილებ ჩვენი ძმობის დასტურად შენს ხვალ თბილისში ჩამოსვლას და დინამოში თამაშის დაწყებას.

შენი ძმა შოთა იამანიძე 20.03.67“

გურამიც მივიდა უკვე მესამედ „დინამოში“ და ათამაშდა. მან, აღიდგინა სპორტული ფორმა, თუმცა ძლიერ ნერვიულობდა სეზონის დასაწყისში. ვინ იცის, მოუტანდა თუ არა სარგებლობას გუნდს, გაუწევდა თუ არა კონკურენციას მომავალ ნიჭიერ თაობას. იგი კვლავ დაცვის ჭეშმარიტი ლიდერი, მისი სული და გულია, მის თამაშს უფრო მეტი დარბაისლობა შეემატა, მაგრამ არ მოკლებია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი აზარტი, რომელიც წლების მანძილზე გასდევდა მის თამაშს. სწორედ 1967 წელი იყო მისი ტალანტის აღიარების წელი.

ჯაყომ მიაღწია იმ პერიოდისთვის ყოველი მოქმედი სპორტსმენის სანუკვარ ოცნებას. პირველად მოიზომა საბჭოთა კავშირის მაისური XIX ოლიმპიური თამაშების შესარჩევ მატჩში პოლონელების წინააღმდეგ.

შეხვედრის დასაწყისი კარგს არაფერს უქადდა საბჭოელებს. მასპინძლების ინიციატივა აშკარა იყო. მათი თავდამსხმელები კარგა ხნით დასახლდნენ სტუმრების საჯარიმო მისადგომებთან, თუმცა მის შიგნით შესვლა ვერ მოახერხეს. ჯერ ცენტრიდან მოსინჯეს, ხურცილავა ლომივით დახვდა მოწინააღმდეგეს. შემდეგ ცხოვრებოვის ფრთაზე სცადეს წარმატების მიღწევა, მაგრამ გურამი რის გურამი იქნებოდა, თუ თავის ფრთაზე ვინმეს გააჭაჭანებდა. დებიუტი იღბლიანი გამოდგა. თამაშის შემდეგ გურამმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. ერთ კვირაში განმეორებითი თამაშში ჯაყო გაორმაგებული ენერგიით, უფრო მეტი გაავთრებით იცავდა საჯარიმოს მისადგომებს. იგი კვლავ მოწოდების სიმაღლეზეა.

ასეთი დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ ცხოვრებოვი „დინამოში“ იცავს გუნდის ღირსებას. მან არ იცის რა არის დაღლა. მთლიანად იხარჯება და თითქმის გამოფიტული ახერხებს ძალების აღდგენას. კვლავ შემართებით იბრძვის.

ახლა იგი სსრკ ნაკრების ღირსებას იცავს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის თამაშებში. მოწინააღმდეგე ფინეთის ნაკრებია. შეხვედრა საბჭოელებმა მოიგეს. მაგრამ ის, რომ მოწინააღმდეგეს დაავიწყეს შეტევაზე ფიქრიც კი, გურამის უდიდესი დამსახურებაა. პოპულარული ფრანგული ყოველკვირეული ჟურნალის „ფრანს ფუტბოლის“ კლასიფიკაციით საბჭოთა ნაკრები ევროპაში საუკეთესო გუნდად იქნა მიჩნეული. და არ დაგვავიწყდეს რომ გურამი ნაკრების ძირითადი მცველია. იგი ცდას და მონდომებას არ აკლებს. მას ყოველ თამაშზე იწვევენ და ისიც თამაშობს, თამაშობს ძლიერად, ზუსტად, საიმედოდ, სამხრეთელებისთვის დამახასიათებელი აზარტით. სეზონის ბოლოს ბრინჯაოს მედლით მკერდდამშვენებულს, „33 საუკეთესოთა“ შორისაც ასახელებენ.

„ოქროს გუნდი“ იშლებოდა. დაამთავრეს საფეხბურთო კარიერა ბარქაიამ, ბორის სიჭინავამ, დათუნაშვილმა, იამანიძემ, გუნდში თაობათა ცვლა მტკივნეულად მიმდინარეობდა. „დინამო“ დაბლა ეშვებოდა, ძველები ორმაგად დატვირთულნი იყვნენ — თან თამაშობდნენ ძველებურად, თან ასწავლიდნენ მომავალ თაობას.

დადგა 1970 წელი. სათასო გუნდად მონათლული თბილისის „დინამო“ კვლავ ფინალშია. მის ოცნებას, გამხდარიყო თასის მფლობელი, ასრულება არ ეწერა. „დინამომ“ თამაში მოსკოვის „დინამოსთან“ 1:2 დათმო. მატჩის მსვლელობის დროს ცხოვრებოვი შეცვალა შოთა ხინჩაგაშვილმა — „დინამოს“ ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე საიმედო მცველმა. ის ერთადერთი გოლიც შოთამ გაიტანა. ესტაფეტა გადაცემულია საიმედო ხელში. ცხოვრებოვს კი უკვე მშვიდად შეუძლია წავიდეს ფეხბურთიდან...

გურამმა თბილისის „დინამოში“ 6 წელი ითამაშა. ჩაატარა 151 თამაში, გაიტანა 4 გოლი. სსრკ ნაკრებში ჩაატარა 8 მატჩი და ყველაში უმაღლესი შეფასება მიიღო.

და მაინც, როგორი ფეხბურთელი იყო გურამ ცხოვრებოვი? — სწრაფი, ფიზიკურად ძლიერი, ფეხბურთში კარგად ჩახედული, ხისტი, იგი გამოირჩეოდა საიმედო მოქმედებით. ყველა თამაშს ერთნაირი შემართებით ატარებდა. ნაკლიც ჰქონდა — შეტევაში არ ერთვებოდა, შემოქმედი არ იყო, მაგრამ რაც ევალებოდა იმ პერიოდის მცველს, ასრულებდა ზუსტად და ფრიადზე. კაცზე თამაშის უბადლო ოსტატის ეშინოდათ მოწინააღმდეგეებს, იცოდნენ, გურამს ადვილად ვერ გაექცეოდნენ. „დინამოს“ აღზევების ხანაში იყო მარცხენა ფრთის შეუვალი ციხე-სიმაგრე.

დიდხანს, ძალიან დიდხანს იკამათეს უბნელებმა. ბედზე შუქიც გვიანობამდე არ მოვიდა, ვერც ნაკრები შეადგინეს, გვიანობამდე თუმცა მარცხენა მცველად ყველამ „ოქროს გუნდის“ მეხუთე ნომერი გურამ ცხოვრებოვი აღიარა.

**გია ჯვარშეიშვილი**


Ayety TV

მრავალარხიანი საკაბელო ტელევიზია

სპორტის (ფეხბურთის) მოყვარულებს სთავაზობს სიახლეს მხოლოდ

ESPN-ის საშუალებით შესაძლებელია იტალიის, ინგლისის, ჰოლანდიის და სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის ლიგის, NBA-ს პროფ. ლიგის კრივის ქრესტომატიული მატჩების, „indi“ კატეგორიის ავტორბოლის ტრანსლაციის თვალყურის დევნა.

news sky პრემიერლიგის სრული მიმოხილვა (ყოველდღე) უახლესი სპორტული მიღწევები, კურიოზული სიტუაციები.

ახალი ფასები
ახალი პაკეტები
ახალი არხები

Ayety TV-სგან

ეს იქნება საუკეთესო საჩუქარი თქვენი ოჯახისთვის

93-47-33 92-12-66





3 ფაქტორი
თუ რატომ უნდა ისწავლოთ ინგლისური

① მალე XXI საუკუნე დადგება
② ინგლისურის და კომპიუტერის ცოდნის გარეშე XXI საუკუნეში არა გესაქმებათ
③ ნათქვამია, სწავლა სიბერემდეაო

3 მიზეზი
თუ რატომ უნდა ისწავლოთ ინგლისური ინგლისში

① ინგლისი ინგლისურის სამშობლოა
② ინგლისური სასწავლებლების დიპლომებს მთელს მსოფლიოში ცნობენ და აფასებენ
③ ყოველდღე დაახლოებით 1800 ადამიანი ჩადის ინგლისში ინგლისურის შესასწავლად

ისწავლეთ
ინგლისური ინგლისში!

① ნებისმიერი დონის სწავლება დაწყებული ელემენტარულიდან დამთავრებული პროფესიონალურით
② ცხოვრება ინგლისურ ოჯახებში ან სტუდენტურ სასტუმროებში
③ მრავალფეროვანი კულტურული პროგრამა
④ მისაღები ფასები

რუსთაველის №17. ტ: 98 37 10

ვასწავლი იტალიურს
3-4 თვეში ტელ: 32-08-74

იყიდება
თეთრი. გამჭვირვალე ორგანული მინა.
3 და 4 მილიმეტრიანი. ზომები: 80x120სმ და 120x170სმ
ფასი შეთანხმებით
ტელეფონი: 95-22-56 38-60-88(საღამოს საათებში)

361. **უშანგი ოქროპირიძე.** თბილისი. ფერმერი. 41 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. თემურ მახარაძე, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. დავით ყიფიანი, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. ბორის პაიჭაძე
გუნდი: რამაზ ურუშაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

362. **ილია ბუზარიაშვილი.** თბილისი. არქიტექტორი. 37 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. სლავა მეტრეველი, 3. მიხეილ მესხი, 4. დავით ყიფიანი, 5. რამაზ შენგელია
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გიორგი ქინქლაძე, ალექსანდრე ჩივაძე, კახი ცხადაძე, გოჩა მაჩაიძე, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, თენგიზ სულაქველიძე, სლავა მეტრეველი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

363. **ნოდარ ბორგანელი.** თბილისი. პოლიციელი. 50 წლის. მწვრთნელი: 1. გავრილ კაჩალინი, 2. მიხეილ იაკუშინი, 3. სერგო კოტრიკაძე
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. გიორგი სიჭინავა, 4. ილია დათუნაშვილი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გოჩა მაჩაიძე, ფირუზ კანთელაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, გიორგი სიჭინავა, მანუჩარ მაჩაიძე, ვახტანგ ქორიძე, სლავა მეტრეველი, ზაურ კალოევი, მიხეილ მესხი

364. **ზურაბ ჭელიძე.** თბილისი. მშენებელ-ინჟინერი. 49 წლის. მწვრთნელი: 1. გავრილ კაჩალინი, 2. თემურ მახარაძე, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. ალექსანდრე ჩივაძე, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. ბორის პაიჭაძე, 5. მიხეილ მესხი
გუნდი: რამაზ ურუშაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, ვახტანგ ჭელიძე, მურთაზ ხურცილავა, ვახტანგ ქორიძე, მანუჩარ მაჩაიძე, გოჩა მაჩაიძე, რამაზ შენგელია, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

365. **ზაურ ჩიხლაძე.** თბილისი. მძღოლი. 58 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. თემურ მახარაძე, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. ბორის პაიჭაძე, 3. ვლადიმერ გუცაევი, 4. დავით ყიფიანი, 5. მურთაზ ხურცილავა
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, ჯემალ ზეინკლიშვილი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, თენგიზ სულაქველიძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

366. **ალექსანდრე ჭელიძე.** თბილისი. ეკონომისტი. 43 წლის. მწვრთნელი: 1. გავრილ კაჩალინი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. თემურ მახარაძე
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. ალექსანდრე ჩივაძე, 3. ვლადიმერ გუცაევი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: დავით გოგია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, ვახტანგ ჭელიძე, გოჩა მაჩაიძე, მანუჩარ მაჩაიძე, ვიტალი დარასელია, ვლადიმერ გუცაევი, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი

367. **ამირან ხელაძე.** ბათუმი. მშენებელ-ინჟინერი. 56 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. გავრილ კაჩალინი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. რამაზ შენგელია
გუნდი: ვლადიმერ მარლანია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, გიორგი ქინქლაძე, გიორგი სიჭინავა, რამაზ შენგელია, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

368. **ვალერი ტატუაშვილი.** რუსთავი. სტუდენტი. 20 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. სლავა მეტრეველი, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

369. **ბეჟან ჭეიშვილი.** ქუთაისი. ეკონომისტი. 60 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. გივი ნოდია
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ბორის პაიჭაძე, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

370. **სოსო ცერიაშვილი.** ხაშური. „მაკონელ დოუველის" წევრი. 38 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ნოდარ ახლკაცი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. ავთანდილ ღოღობერიძე, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: ოთარ გაბელია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, გიორგი სიჭინავა, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია

371. **გიორგი ქორიძე.** ბათუმი. საქონელმცოდნე. 52 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. გავრილ კაჩალინი
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. ალექსანდრე ჩივაძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. მიხეილ მესხი
გუნდი: ანზორ კავაზაშვილი, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

372. **ზურაბ დუმბაძე.** ბათუმი. მოსწავლე. 14 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მურთაზ ხურცილავა, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. მიხეილ მესხი
გუნდი: ვლადიმერ მარლანია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

373. **გირო არხოშაშვილი.** ქარელი. ისტორიკოსი. 57 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. დავით ყიფიანი, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, გივი ჩოხელი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, შოთა იამანიძე, მანუჩარ მაჩაიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

374. **გიორგი ხაბაზიშვილი.** თბილისი. ინჟინერი. 50 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. სლავა მეტრეველი, 5. შოთა იამანიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გივი ჩოხელი, შოთა იამანიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

375. **ანზორ ნიკოლეიშვილი.** ბათუმი. პოლიციელი. 49 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. სლავა მეტრეველი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, გიორგი სიჭინავა, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი

376. **პაატა ნიკოლეიშვილი.** ბათუმი. ინჟინერ-ეკონომისტი. 23 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. ბორის პაიჭაძე, 2. მიხეილ მესხი, 3. ვიტალი დარასელია, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ვიტალი დარასელია, დავით ყიფიანი, გიორგი სიჭინავა, ბორის პაიჭაძე, რამაზ შენგელია, მიხეილ მესხი

377. **დავით ქათამაძე.** ბათუმი. სტუდენტი. 18 წლის. მწვრთნელი: 1. ვლადიმერ გუცაევი, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. სლავა მეტრეველი, 5. ვიტალი დარასელია
გუნდი: დავით გვარამაძე, გელა შეყილაძე, მურთაზ შელია, კახი კალაძე, ლევან კობიაშვილი, გოჩა ჯამარაული, გიორგი ნემსაძე, გიორგი ქინქლაძე, თემურ ქეცბაია, მიხეილ ფოცხვერია, ალექსანდრე იაშვილი

378. **გიორგი ბერიძე.** ბათუმი. ინჟინერი. 58 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. ბორის პაიჭაძე, 3. ავთანდილ ღოღობერიძე, 4. ვიტალი დარასელია, 5. თენგიზ სულაქველიძე
გუნდი: ვლადიმერ მარლანია, რევაზ ძოძუაშვილი, შოთა შავგულიძე, ალექსანდრე ჩივაძე, იბრაჰიმ სარჯველაძე, დავით ყიფიანი, ვიტალი დარასელია, თენგიზ სულაქველიძე, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

379. **ლევან ჟიაშრელი.** თბილისი. სტუდენტი. 19 წლის. მწვრთნელი: 1. თემურ მახარაძე, 2. შალვა კაკაბაძე, 3. ვლადიმერ ელოშვილი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. ილია დათუნაშვილი, 4. მურთაზ ხურცილავა, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ედუარდ თორაძე, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, გიორგი სიჭინავა, შოთა იამანიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, დავით გოდერძიშვილი, მიხეილ მესხი

380. **მირიან ლომსაძე.** თბილისი. ინჟინერ-ტექნოლოგი. 46 წლის. მწვრთნელი: 1. თემურ მახარაძე, 2. ნოდარ ახალკაცი, 3. მიხეილ იაკუშინი
ფეხბურთელი: 1. მიხეილ მესხი, 2. სლავა მეტრეველი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. ბორის პაიჭაძე, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გურამ ცხოვრებოვი, შოთა იამანიძე, გიორგი სიჭინავა, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი

381. **ნუკრი სურამელი.** გორი. მძღოლი. 39 წლის. მწვრთნელი: 1. გავრილ კაჩალინი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. ვლადიმერ გუცაევი, 3. სლავა მეტრეველი, 4. მიხეილ მესხი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: დავით გოგია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გოჩა მაჩაიძე, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, კახი ასათიანი, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

382. **სოსო ასკილაშვილი.** ცხინვალი. მძღოლი. 40 წლის. მწვრთნელი: 1. გავრილ კაჩალინი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. ვლადიმერ გუცაევი, 3. სლავა მეტრეველი, 4. მიხეილ მესხი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: დავით გოგია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გოჩა მაჩაიძე, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, კახი ასათიანი, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

383. **გია მახნიაშვილი.** ცხინვალი. ინჟინერ-მშენებელი. 38 წლის. მწვრთნელი: 1. გავრილ კაჩალინი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. ნოდარ ახალკაცი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. ვლადიმერ გუცაევი, 3. სლავა მეტრეველი, 4. მიხეილ მესხი, 5. დავით ყიფიანი
გუნდი: დავით გოგია, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გოჩა მაჩაიძე, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, კახი ასათიანი, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

384. **გიზერ ბაქრაძე.** თბილისი. ფინანსისტი. 38 წლის. მწვრთნელი: 1. თემურ მახარაძე, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. ანატოლი ნორაკიძე
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. ალექსანდრე ჩივაძე, 3. ბორის პაიჭაძე, 4. ავთანდილ ღოღობერიძე, 5. შოთა იამანიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, ვახტანგ ჭელიძე, გოჩა მაჩაიძე, შოთა იამანიძე, მანუჩარ მაჩაიძე, ავთანდილ ღოღობერიძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი

385. **სოსო გოგოლაური.** თბილისი. სტუდენტი. 18 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. გივი ნოდია
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. ბორის პაიჭაძე, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: დავით გოგია, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, თამაზ კოსტავა, შოთა იამანიძე, გიორგი სიჭინავა, მანუჩარ მაჩაიძე, ვიტალი დარასელია, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

386. **ბესიკ მანაგაძე.** თბილისი. ტექნიკოსი. 42 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. დავით ყიფიანი, 3. მურთაზ ხურცილავა, 4. სლავა მეტრეველი, 5. მიხეილ მესხი
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

387. **ზურა ლეჟიანიძე.** თბილისი. ქიმიკოსი. 40 წლის. მწვრთნელი: 1. ანდრო ჟორდანია, 2. რევაზ ძოძუაშვილი, 3. გივი ნოდია
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. გივი ჩოხელი, 3. რევაზ ძოძუაშვილი, 4. მიხეილ მესხი, 5. ბორის პაიჭაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა, თამაზ კოსტავა, შოთა იამანიძე, გიორგი სიჭინავა, მანუჩარ მაჩაიძე, ვიტალი დარასელია, ბორის პაიჭაძე, დავით ყიფიანი, მიხეილ მესხი

388. **ნოდარ გორდეზიანი.** თბილისი. ექიმი. 62 წლის. მწვრთნელი: 1. ანატოლი ნორაკიძე, 2. თემურ მახარაძე, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. ბორის პაიჭაძე, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ვახტანგ ჭელიძე, მურთაზ ხურცილავა, შოთა ხინჩაგაშვილი, ვიტალი დარასელია, მანუჩარ მაჩაიძე, ბორის პაიჭაძე, სლავა მეტრეველი, ათანდილ ღოღობერიძე, მიხეილ მესხი

389. **იასონ რაჭველიშვილი.** თბილისი. იურისტი. 62 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანდრო ჟორდანია, 3. რევაზ ძოძუაშვილი
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. ბორის პაიჭაძე, 3. მიხეილ მესხი, 4. შოთა იამანიძე, 5. ავთანდილ ღოღობერიძე
გუნდი: ვლადიმერ მარლანია, რევაზ ძოძუაშვილი, სერგო კუტივაძე, ალექსანდრე ჩივაძე, შოთა ხინჩაგაშვილი, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, მანუჩარ მაჩაიძე, ბორის პაიჭაძე, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე

390. **გაბრიელ ნინიძე.** თბილისი. მეტყევე-ინჟინერი. 43 წლის. მწვრთნელი: 1. ნოდარ ახალკაცი, 2. ანატოლი ნორაკიძე, 3. ანდრო ჟორდანია
ფეხბურთელი: 1. მანუჩარ მაჩაიძე, 2. დავით ყიფიანი, 3. მიხეილ მესხი, 4. სლავა მეტრეველი, 5. ბორის პაიჭაძე
გუნდი: სერგო კოტრიკაძე, რევაზ ძოძუაშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა, გივი ჩოხელი, ავთანდილ ღოღობერიძე, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, სლავა მეტრეველი, ბორის პაიჭაძე, მიხეილ მესხი

# საქართველოს ყველა დროის საუკეთესო

## ფეხბურთელი, მწვრთნელი, სიმბოლური ნაკრები

# სარბიელის მკითხველთა აზრით

ჩვენში ფეხბურთს გასული საუკუნის მიწურულიდან ანუ აგერ უკვე ერთი საუკუნეა თამაშობენ. ამ ხნის მანძილზე ბევრ დიდოსტატს უგორებია ტყავის ბურთი ფოთსა და თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში, სოხუმსა და ლანჩხუთში, ზუგდიდსა და გორში... ქართულ ფეხბურთს ბევრი ვარსკვლავი ჰყოლია.

„სარბიელის" გამოკითხვის მიზანია, ყველა თაობის გულშემატკივართა აზრთა შეჯამების საფუძველზე საახალწლოდ ქართულ ფეხბურთში რჩეულთაგან გამორჩეულები გამოავლინოს!

„სარბიელის" გამოკითხვაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა. ამისთვის უნდა შეავსოთ და გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტები (ან „სარბიელში" მოცემული ანკეტის ანალოგიურად შევსებული ჩვეულებრივი თეთრი ფურცელი: რვეულის, თაბახისა...) საფოსტო კონვერტში ჩადებული გამოგვიგზავნოთ რედაქციაში. გთხოვთ, ანკეტის შევსებისას მიუთითოთ სახელი, გვარი, სადაურობა (სად ცხოვრობთ), ასაკი, პროფესია. ყოველივე ეს „სარბიელში" დაიბეჭდება, თითოეულ მკითხველს საშუალება ექნება საკუთარი ვერსიაც იხილოს გაზეთში და საერთო სურათსაც უშუალოდ ადევნოს თვალი.

საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად უნდა დასახელდეს ხუთი კანდიდატი, რომელთაც ადგილების მიხედვით შესაბამისად 5, 4, 3, 2 და 1 ქულა დაერიცხებათ. საუკეთესო ქულების საერთო ჯამით გამოვლინდება.

იგივე პრინციპით დასახელდება № 1 მწვრთნელიც. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოკითხვის თითოეული მონაწილე მხოლოდ სამ კანდიდატს ასახელებს (ქულებიც შესაბამისად 3, 2 და 1 იქნება).

ნაკრების შესადგენად კი ყველა ანკეტაში 11 ფეხბურთელი უნდა დასახელდეს 1+4+3+3 პირობითი სქემით. სიმბოლური გუნდის საბოლოო ვარიანტი ფეხბურთელთა მიერ მიღებული ხმების რაოდენობით განისაზღვრება.

**„სარბიელის" რედაქციის მისამართი: თბილისი 77, ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.**

**საფოსტო მისამართი: თბილისი 79, საფოსტო ყუთი 208.**

✂ - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - - -

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი**

1 ______
2 ______
3 ______
4 ______
5 ______

**საქართველოს ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელი**

1 ______
2 ______
3 ______

**საქართველოს ყველა დროის სიმბოლური ნაკრები**

1 ______
2 ______
3 ______
4 ______
5 ______
6 ______
7 ______
8 ______
9 ______
10 ______
11 ______

სახელი - - - - - - - - - - - - -
გვარი - - - - - - - - - - - - -
ასაკი - - - - - - - - - - - - -
პროფესია - - - - - - - - - - - - -
მისამართი - - - - - - - - - - - - -

# ოფიციალურად: 99 გაუქმებული

NBA-ში გამოცხადებულმა ლოკაუტმა და იქ შექმნილმა გაურკვეველმა სიტუაციამ ბევრს წაუხდინა შთაბეჭდილება, ერთ დროს ამ მართლაც საათივით აწყობილ და ყველასთვის სანიმუშო ლიგაზე. გაუგებარ ვითარებას, რომელიც აგერ უკვე სამნახევარი თვეა გრძელდება, დაპირისპირებულ მხარეთა მორიგმა შეხვედრამ მოჰფინა ნათელი. იგი გუშინწინ, 13 ოქტომბერს გაიმართა ნიუ იორკის ცენტრში, მანჰეტენის ერთ-ერთ სასტუმროში. ამ შეკრებას წინ უსწრებდა 8 ოქტომბრის ანალოგიური ყრილობა, სადაც რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებას ადგილი არ ჰქონია.

სამშაბათის სამსაათნახევრიანი სჯა-ბაასის შემდეგ ლიგამ, როგორც იქნა, მიიღო ოფიციალური დადგენილება, რომელიც 1998-99 წლების სეზონის პირველი ორი კვირის (3-16 ნოემბერი) თამაშების გაუქმებას ითვალისწინებს. ამგვარად, კალათბურთის ეროვნული ასოციაცია, ბეისბოლისა და ჰოკეის ლიგები ველარ იტრაბახებს, 51-მა სეზონმა ისე განვლო, არც ერთი მატჩი არ გამოგვიტოვებიაო. ზედიზედ ჩატარებული 35001 თამაშის შემდეგ ლიგა გააუქმებს 99 შეხვედრას, რომლებიც სწორედ იმ ორი კვირის განმავლობაში უნდა გამართულიყო.

სანამ ლიგის ხელმძღვანელები ამას გადაწყვეტდნენ, შეხვედრის მონაწილეებმა კარგა ხანს იმსჯელეს თავისუფალ აგენტებზე. აქ საგანგებოდაა აღსანიშნავი ლარი ბერდის შემთხვევა. „ინდიანა პეისერზის" მწვრთნელმა თავისივე გუნდის კონტრაქტდამთავრებულ კალათბურთელებს უფრო სარფიანი ხელშეკრულებები გაუფორმა, ვიდრე სხვა გუნდებიდან გადასულ თავისუფალ აგენტებს და სწორედ ეს იქცა მოთამაშეებსა და კლუბების მფლობელებს შორის საგანგებო განსჯის თემად. მოთამაშეთა კავშირმა ლიგას შესთავაზა — კლუბთან საკონტრაქტო ვადაგასულ მოთამაშეს უფლება მიეცეს, თავის გუნდთან იმაზე ძვირი კონტრაქტი გააფორმოს, ვიდრე დაშვებულიაო. კლუბის მესვეურები, რა თქმა უნდა, ყაბულს არ არიან — წესი წესია და თავისუფალი აგენტის სადაურობას რა მნიშვნელობა აქვსო. ამ საკითხზე სჯა-ბაასს და თავისუფალ აგენტთა ზემოთ თქმულ მოთხოვნას NBA-ს ვარსკვლავთა უზარმაზარი ხელფასები დაედო საფუძვლად, თუნდაც მაიკლ ჯორდანის 33 მილიონიანი (ერთწლიანი), მინესოტელი კევინ გარნეტის 126 მილიონიანი (ექვსწლიანი) თუ სხვათა კონტრაქტები. გასაგებია, რომ თუ კლუბის ცალკეული მოთამაშეები ამხელა ფულს იღებენ, ლიგის მიერ ერთობლივი ხელფასების მკაცრად დადგენილი „ჭერი" სხვა მოთამაშეებს საშუალებას არ აძლევს, მოითხოვონ იმდენი, რამდენიც მათ სურთ. მათი სურვილები კლუბთა მფლობელებს რომ მაინცდამაინც გულზე არ ეხატებათ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. მრავალი ათეული თავისუფალი აგენტის, აგრეთვე სხვა მოთამაშეების მოთხოვნა, ძველი ხელფასები შეენარჩუნებინათ, კლუბების მეპატრონეებმა ვერ დააკმაყოფილეს. „მოთამაშეები გუნდების მფლობელებს არჩევანს არ უტოვებენ. ძნელია დაეთანხმო იმას, რასაც ისინი მათ სთავაზობენ" — თქვა NBA-ს კომისარმა დევიდ შტერნმა, ხოლო კითხვაზე, თუ რატომ გააუქმა ლიგამ პირველი ორი კვირის თამაშები, მან უპასუხა, ჩემი მოვალეობა მატჩების ჩატარებაა და არა მათი გაუქმებაო.

ამგვარად, სეზონი შეფერხდა და ლიგამ ამას ვერაფერი მოუხერხა, განსხვავებით 1995 წლისაგან, როცა NBA-ს შემოსავლის 48 პროცენტიდან მოთამაშეთა ხელფასები 51,8 პროცენტამდე გაზარდა. ახლა კალათბურთელთა შემოსავალი ლიგის შემოსავლის 57 %-ს შეადგენს და არა 51,8-ს. რა მოხდება შემდგომ, ძნელი სათქმელია. ამჟამად მოთამაშეებიცა და კლუბების მფლობელებიც ელიან სასამართლოს, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს მოთამაშეთათვის ხელფასების გაცემა-არგაცემის საკითხი ლოკაუტის დროს.

**ირაკლი ფირაშვილი**

## ლოკაუტის ქრონიკა

**1998 წლის 22 ივნისი**
კლუბების მფლობელთა და მოთამაშეთა ნახევარსაათიანი შეხვედრა იმით დასრულდა, რომ მოთამაშეებმა უარი თქვეს ნებისმიერ შემოთავაზებულ წინადადებაზე, რომლებიც მათი ხელფასების შემცირებას ეხებოდა.

**30 ივნისი**
ლიგამ გამოაცხადა, რომ მეორე დღეს ლოკაუტი დაიწყებოდა.

**1 ივლისი**
გუნდების მფლობელებმა მოთამაშეებს ლიგის ისტორიაში მესამე ლოკაუტი მოახვიეს თავს.

**6 აგვისტო**
მოთამაშეებთან შეხვედრისას გუნდების მფლობელებმა დემონსტრაციულად დატოვეს ოთახი.

**26 აგვისტო-9 სექტემბერი**
მოსამართლე ჯონ ფიერიკმა გაარჩია საქმე ლოკაუტის დროს ხელფასების გაცემის თაობაზე. გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.

**24 სექტემბერი**
ლიგამ გააუქმა 24 საჩვენებელი თამაში და საწვრთნელი ბანაკები.

**5 ოქტომბერი**
ლიგამ გააუქმა დარჩენილი საჩვენებელი თამაშები.

**8 ოქტომბერი**
მხარეები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ ამაოდ.

**13 ოქტომბერი**
ლიგამ ორი კვირით შეკვეცა 1998-99 წლების სეზონი და გააუქმა 99 თამაში.

საპორტას თასი. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. 13-14 ოქტომბერი

საპორტის თასი
მაზოვშანკა — სპარტაკი

## ვაშაკიძე რუსების დავას გადაყვა

ირაკლი ვაშაკიძის მონაგარი პოლონური „მაზოვშანკას" წინააღმდეგ საკმაოდ სოლიდური იყო: 27 წუთში 14 ქულა, 3 მოხსნა და 3 ჩაჭრა. მატჩის ვაშაკიძისეული კომენტარი კი შემდეგია:

„პირველი ტაიმის ბოლომდე 7-8 ქულიან უპირატესობას ვინარჩუნებდით. ბოლო წუთზე ავირიეთ და შესვენებაზეც ორქულიანი დეფიციტით წავედით. მეორე ტაიმში მდგომარეობა გამოვასწორეთ, კვლავ დავწინაურდით, მაგრამ მერე რუსმა მოთამაშეებმა და მწვრთნელმა იჩხუბეს. მოთამაშეებმა არ დაუჯერეს და მწვრთნელის დავალებას არ ასრულებდნენ. დამთავრებამდე 50 წამით ადრე 4 ქულას ვიგებდით, მაგრამ კონფლიქტმა აქაც იჩინა თავი და საბოლოოდ 14 ქულით წავაგეთ.

ამ მატჩშიც, ისევე როგორც ადრე, დაგვეტყო ძლიერი ცენტრის არყოლა. ახლა ამ ამპლუაში კონდრატოვი თამაშობს, რომელსაც უჭირს, იმიტომ რომ ნომინალურად თავდამსხმელია. ცსკა-სგან გვინდოდა ცენტრ ბაშმინოვის ყიდვა, მაგრამ იგი თურქეთში წასულა".

საპორტას თასი
სლოვაკოფარმა — მლეკარნა

## ბერძენიშვილის იმედი ლოვრიჩის მენეჯერია

დავით ბერძენიშვილს, სამწუხაროდ, არც ამჯერად უთამაშია საპორტის თასის მატჩი. გუშინ მან ეს გვითხრა:

„ჩემი მდგომარეობა არ შეცვლილა. მწვრთნელი ევროტურნირებზე კვლავ არ მათამაშებს, ეროვნულ ჩემპიონატში კი ვასპარეზობ. ბოლო ტურში გუნდს 17 ქულა მოვუტანე.

კლუბის პრეზიდენტს ვკითხე, ევროპაზე რატომ არ მათამაშებთ-მეთქი. მან მწვრთნელთან გამაგზავნა. მწვრთნელს რომ დავეკითხე — პრეზიდენტზე მიმითითა: სადავო საკითხებს ეგ წყვეტსო. ახლა იმედი მომეცა: ხორვატ ცენტრს ლოვრიჩს მენეჯერი ჩამოუვიდა და სხვა გუნში უნდა რომ გადაიყვანოს. ამით მე თამაშის საშუალება მომეცემა. ვფიქრობ, საპორტის თასის ჯგუფური ეტაპის მეორე წრეში მათამაშებენ. ისე, საბუთები კარგა ხნის გაკეთებულია, მხოლოდ ბეჭდის დარტყმაღა აკლია."

### A ჯგუფი

ეშტრელა (პორტუგალია) — სონი (იტალია) 78:77; პოლზელა (სლოვენია) — ატლეტასი (ლიტვა) 73:88; ჩერნო მორე (ბულგარეთი) — კალევი (ესტონეთი) 80:92

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კალევი | 4 | 3 | 1 | 328:287 | 7 |
| ეშტრელა | 4 | 3 | 1 | 309:308 | 7 |
| სონი | 4 | 2 | 2 | 306:270 | 6 |
| პოლზელა | 4 | 2 | 2 | 282:301 | 6 |
| ატლეტასი | 4 | 1 | 3 | 283:308 | 5 |
| ჩერნო მორე | 4 | 1 | 3 | 295:329 | 5 |

V ტური. 20.10: პოლზელა — ჩერნო მორე, ატლეტასი — ეშტრელა. 21.10: კალევი — სონი

VI ტური. 17.10: კალევი — ეშტრელა

### B ჯგუფი

სპლიტი (ხორვატია) — ტელეკომი (თურქეთი) 68:77; მზტ (მაკედონია) — შოლე (საფრანგეთი) 71:86

სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) — მლეკარნა (ჩეხეთი) 82:68

სლოვაკოფარმა: კუზნეცოვი (19), ლოვრიჩი (8), ლუკიანეცი (8), მიჩუდა, რისტანოვიჩი (13), სირტაუტასი (6), საბო (8), ზადრავეცი (20)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შოლე | 4 | 3 | 1 | 332:276 | 7 |
| ტელეკომი | 4 | 3 | 1 | 305:288 | 7 |
| სპლიტი | 4 | 2 | 2 | 323:306 | 6 |
| სლოვაკოფარმა | 4 | 2 | 2 | 287:290 | 6 |
| მზტ | 4 | 1 | 3 | 305:320 | 5 |
| მლეკარნა | 4 | 1 | 3 | 290:362 | 5 |

V ტური. 20.10: შოლე — მლეკარნა, სპლიტი — სლოვაკოფარმა, ტელეკომი — მზტ

### C ჯგუფი

ჰაპოელი (ეილატი, ისრაელი) — პამესა (ესპანეთი) 80:86; ცეპტერი (პოლონეთი) — ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) 68:70; ბროცენი (ლატვია) — სენტ პიოლტენი (ავსტრია) 61:65

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პამესა | 4 | 4 | 0 | 336:279 | 8 |
| ცეპტერი | 4 | 2 | 2 | 293:279 | 6 |
| ჰაპოელი | 4 | 2 | 2 | 327:321 | 6 |
| ბუდუჩნოსტი | 4 | 2 | 2 | 300:310 | 6 |
| სენტ პიოლტენი | 4 | 1 | 3 | 257:296 | 5 |
| ბროცენი | 4 | 1 | 3 | 295:323 | 5 |

V ტური. 20.10: პამესა — ცეპტერი, ჰაპოელი — ბროცენი, სენტ პიოლტენი — ბუდუჩნოსტი

### D ჯგუფი

ზაგრები (ხორვატია) — აეკ (საბერძნეთი) 62:79; პივოვარნა (სლოვენია) — პარტიზანი (იუგოსლავია) 71:86; ტოპო (ფინეთი) — ატომერომუ (უნგრეთი) 90:72

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 4 | 4 | 0 | 292:254 | 8 |
| პარტიზანი | 4 | 3 | 1 | 316:291 | 7 |
| პივოვარნა | 4 | 3 | 1 | 327:316 | 7 |
| ზაგრები | 4 | 1 | 3 | 268:293 | 5 |
| ტოპო | 4 | 1 | 3 | 298:303 | 5 |
| ატომერომუ | 4 | 0 | 4 | 289:332 | 4 |

V ტური. 20.10: აეკ — პივოვარნა, პარტიზანი — ტოპო, ზაგრები — ატომერომუ

### E ჯგუფი

ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) — თოფაში (თურქეთი) 76:74; შარლერუა (ბელგია) — სტატიბა (ლიტვა) 55:63; კიორმენდი (უნგრეთი) — ბოსნა (ბოსნია) 76:69

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჰაპოელი | 4 | 4 | 0 | 297:266 | 8 |
| თოფაში | 4 | 2 | 2 | 301:281 | 6 |
| კიორმენდი | 4 | 2 | 2 | 315:312 | 6 |
| სტატიბა | 4 | 2 | 2 | 300:312 | 6 |
| შარლერუა | 4 | 2 | 2 | 259:269 | 6 |
| ბოსნა | 4 | 0 | 4 | 241:273 | 4 |

V ტური. 20.10: ჰაპოელი — კიორმენდი, თოფაში — შარლერუა, სტატიბა — ბოსნა

### F ჯგუფი

ტრიერი (გერმანია) — არისი (საბერძნეთი) 65:85; ანტვერპენი (ბელგია) — ლიმოჟი (საფრანგეთი) 79:76; პლანია (შვედეთი) — შიროკი (ბოსნია) 86:65

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ანტვერპენი | 4 | 4 | 0 | 311:289 | 8 |
| ლიმოჟი | 4 | 3 | 1 | 276:252 | 7 |
| არისი | 4 | 3 | 1 | 321:235 | 7 |
| პლანია | 4 | 1 | 3 | 270:295 | 5 |
| ტრიერი | 4 | 1 | 3 | 272:311 | 5 |
| შიროკი | 4 | 0 | 4 | 262:330 | 4 |

V ტური. 20.10: არისი — ანტვერპენი, ლიმოჟი — შიროკი, ტრიერი — პლანია

### G ჯგუფი

ულმი (გერმანია) — ხუვენტუდი (ესპანეთი) 79:75; აპოელი (კვიპროსი) — ვენტსპილსი (ლატვია) 73:66

მაზოვშანკა (პოლონეთი) — სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) 88:74

სპარტაკი: ასტახოვი (17), ასტანინი (11), დიომინი (1), ფილიპოვი (1), კონდრატოვი (19), ვაშაკიძე (14), ვედიშევი (11)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ულმი | 4 | 4 | 0 | 337:301 | 8 |
| ხუვენტუდი | 4 | 3 | 1 | 335:299 | 7 |
| მაზოვშანკა | 4 | 2 | 2 | 318:309 | 6 |
| ვენტსპილსი | 4 | 1 | 3 | 307:329 | 5 |
| სპარტაკი | 4 | 1 | 3 | 304:332 | 5 |
| აპოელი | 4 | 1 | 3 | 274:305 | 5 |

V ტური. 20.10: ულმი — აპოელი, ხუვენტუდი —მაზოვშანკა, სპარტაკი — ვენტსპილსი

### H ჯგუფი

ოვარენშე (პორტუგალია) — ბენეტონი (იტალია) 71:78; ბიპა მოდა (უკრაინა) — უნიქსი (რუსეთი) 79:82; შტალბაუ (ავსტრია) — ჰანს ფერკერკი (ჰოლანდია) 60:57

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 4 | 4 | 0 | 318:245 | 8 |
| უნიქსი | 4 | 3 | 1 | 299:272 | 7 |
| ბიპა მოდა | 4 | 2 | 2 | 296:296 | 6 |
| ოვარენშე | 4 | 2 | 2 | 275:277 | 6 |
| შტალბაუ | 4 | 1 | 3 | 273:309 | 5 |
| ჰანს ფერკერკი | 4 | 0 | 4 | 218:280 | 4 |

V ტური. 20.10: ბენეტონი — ბიპა მოდა, ოვარენშე — შტალბაუ, უნიქსი — ჰანს ფერკერკი



სპლიტი — ტელეკომი: ხორვატი დამირ ტვრდიჩი თურქთა ამერიკელი ტრევორ ვილსონისთვის (12) ბურთის წართმევას ცდილობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავიწყოთ შარშანდელი ფინალით

13 ოქტომბერი

**ვაშინგტონი — დეტროიტი 2:3 (0:1 1:2 1:0)**

**შაიბები: 0:1 მაკარტი 6'49 (0:1); 1:1 ბონდრა 25'50 (1); 1:2 შენაჰანი 27'36 (1); 1:3 ბრაუნი 29'03 (1); 2:3 ბერუბი 47'16 (1)**

ჰოკეის ქომაგები მოუთმენლად ელოდნენ შარშანდელი ჩემპიონისა და ფინალისტის შეხვედრას, მით უფრო, რომ ამ სეზონში ისინი ერთმანეთს მეტად აღარ დაუპირისპირდებიან (ახალი განრიგის თანახმად სხვადასხვა კონფერენციის გუნდები წლეულს მხოლოდ ერთხელ შეხვდებიან). უნდა ითქვას, რომ მატჩმა სრულად გაამართლა მაყურებლის იმედი.

ვინც ამ კლუბების საპლეიოფო პაექრობას ადევნებდა თვალს, კარგად ემახსოვრება, რომ დეტროიტი პირველივე პერიოდში ეუფლებოდა გადამწყვეტ უპირატესობას.

სტუმრებმა ამჯერადაც მოიგეს სასტარტო ოცწუთეული, მაგრამ ეს იღბლის წყალობა უფრო იყო: მასპინძელთა მრავალრიცხოვან შეტევებს „წითელფრთიანთა" მეკარე კრის ოსგუდი მარჯვედ იგერიებდა, დეტროიტელებმა კი, თავის მხრივ, ერთადერთი კურიოზული სახიფათო მომენტით იხეირეს — კარს უკან მდგომმა მაკარტიმ ისე მოულოდნელად დაარტყა ბორტიდან ასხლეტილი შაიბა, რომ ოლაფ კოლციგიც კი დააბნია. მეორე მესამედში დეტროიტელებმა მართლაც ჩემპიონის საკადრისი, უმაღლესი კლასის ჰოკეი აჩვენეს და ჩინებული გოლებიც გაიტანეს. უთუოდ გამოსარჩევია ფიოდოროვის საუცხოო პასი, რომლითაც მან ბრაუნი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. ვაშინგტონელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ღირსეულად შეებრძოლნენ მეტოქეს, მაგრამ დარჩენილ დროში მხოლოდ ანგარიშის შემცირება მოახერხეს. ამგვარად, დეტროიტმა წლევანდელ ჩემპიონატში პირველად გაიმარჯვა, დედაქალაქელებმა კი, რომლებსაც „წითელფრთიანებისთვის" 1994 წლის 10 იანვრის მერე (+0-10-1) არ მოუგიათ, ვერც ამჯერად გატეხეს ნავსი



დეტროიტელთა მეკარე კრის ოსგუდი ვაშინგტონელებს მაგრად დაუხვდა

**მონრეალი — ანაჰაიმი 1:0**

**0:0 1:0 0:0**

**1:0 მალახოვი 30'28 (2)**

მონრეალელთა მეკარემ ჟოსლენ ტიბომ საუცხოო თამაშით (30 მოგერიება და მე-7 შატაუტი) გააქარწყლა საგამოფენო მატჩებში თავისი უსუსური ასპარეზობა.

**დალასი — ჩიკაგო 3:1**

**1:1 1:0 1:0**

**0:1 კილგერი 12'53 (1); 1:1 ვერბიკი 18'17 (2); 2:1 მოდანო 20'44 (2); მატვიჩუკი 59'59 (1)**

დალასელებმა, როგორც ჩვევიათ, მეტად საიმედოდ ითამაშეს („ვარსკვლავთა" მეკარე ბელფორს მხოლოდ 13 დარტყმის მოგერიება მოუხდა), მაგრამ მხოლოდ მატჩის ბოლოსწინა წამზე ამოისუნთქეს შვებით, როდესაც ცარიელი კარი დალაშქრეს. ბრეტ ჰალმა მორიგი პასი მიითვალა.

**ნეშვილი — კაროლინა 3:2**

**3:2 0:0 0:0**

**1:0 ბრიუნეტი 5'12 (1); 2:0 ლამბერი 11'46 (1); 3:0 დენიო 12'18 (1); 3:1 ძელინა 12'43 (1); 3:2 პრიმო 17'32 (1)**

13 ოქტომბერი ნეშვილის ნჰლურ ისტორიაში პირველი გამარჯვების დღედ შევა. ღირსსახსოვარი პირველი გოლის ავტორი კი ექსვაშინგტონელი ფორვარდი ენდრიუ ბრიუნეტი გახდა.

**ედმონტონი — ტორონტო 2:3**

**0:0 1:2 1:1**

**0:1 სუნდინი 24'21 (1); 0:2 ვოლკი 37'46 (1); 1:2 მიურეი 38'39 (1); 2:2 გერენი 48'54 (1); 2:3 სუნდინი 51'17 (2)**

მიუხედავად იმისა, რომ სეზონის წინ ედმონტონიდან ტორონტოში გადასულ კერტის ჯოზეფს მაყურებელი არაკეთილმოსურნეთ შეხვდა, მან ჩინებულად ითამაშა (28 მოგერიება) და მათს სუნდინთან ერთად მატჩის ბედი გადაწყვიტა.

### ჩრდილო-აღმოსავლეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონრეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:1 | 4 |
| ოტავა | 2 | 2 | 0 | 0 | 8:4 | 4 |
| ტორონტო | 2 | 2 | 0 | 0 | 5:3 | 4 |
| ბოსტონი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:3 | 3 |
| ბუფალო | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 2 |

### ატლანტა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 |
| პიტსბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:3 | 2 |
| ნიუ ჯერსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| აილენდერსი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:7 | 0 |
| რეინჯერსი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:12 | 0 |

### სამხრეთ-აღმოსავლეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფლორიდა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 |
| ვაშინგტონი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 2 |
| კაროლინა | 2 | 0 | 1 | 1 | 6:7 | 1 |
| ტამპა | 2 | 0 | 1 | 1 | 5:8 | 1 |

### ცენტრი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ლუისი | 2 | 1 | 1 | 0 | 7:5 | 3 |
| დეტროიტი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 2 |
| ნეშვილი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 2 |
| ჩიკაგო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 2 |

### ჩრდილო-დასავლეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კალგარი | 2 | 1 | 1 | 0 | 8:6 | 3 |
| ვანკუვერი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 2 |
| ედმონტონი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:5 | 0 |
| კოლორადო | 2 | 0 | 0 | 2 | 3:7 | 0 |

### წყნარი ოკეანე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 4 |
| ლოს ანჯელესი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 2 |
| სან ხოსე | 2 | 0 | 1 | 1 | 6:8 | 1 |
| ფინიქსი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |
| ანაჰაიმი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |

ბომბარდირები: ფლერი (კალგარი) 6 (3+3), მაკინისი (სენტ ლუისი) 5 (3+2), რექი (მონრეალი) 5 (0+5), პერო (ლოს ანჯელესი) 4 (3+1), კოზლოვი (ფლორიდა) და მოდანო (დალასი) 4 (2+2), ლეკლერი (ფილადელფია) 4 (1+3), ტარჯონი (სენტ ლუისი) 4 (0+4)

**სამველ ღარიბიანი**

# პიტსბურგი გაკოტრდა!

## ლემიემ პინგვინები დააქცია



ჯარომირ იაგრი უჯამაგიროდ დარჩა

გუშინ შეერთებულ შტატებთან სენსაციური ცნობა მოვიდა. „პიტსბურგ პინგვინსის" მფლობელმა როჯერ მარინომ კლუბის გაკოტრების შესახებ გამოაცხადა. ამის მიზეზი ბოლო ორი სეზონის განმავლობაში განცდილი ფინანსური ზარალია, რაც 40 მილიონი დოლარის ტოლფასია, აგრეთვე დიდი რაოდენობით ვალი, რომელსაც გუნდმა სხვადასხვა ორგანიზაციებსა და პიროვნებებს, მათ შორის, მარიო ლემიესაც უნდა გაუსტუმროს. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ დღეიდან ვერც ერთი „პინგვინი" ხელფასს ვერ მიიღებს, თუმცა კლუბი ჩემპიონატს არ ეთიშება. ბოლოს დავძენთ, რომ პიტსბურგის ისტორიაში ეს მეორედ მოხდა — პირველად იგი 23 წლის წინ დარჩა მშრალზე.

* * *

ოქტომბრის ბოლოს გაირკვევა, გააგრძელებს თუ არა დეტროიტის თავკაცი სკოტი ბოუმენი კლუბთში საქმიანობას. შეგახსენებთ, რომ 64 წლის მწვრთნელი მუხლის ოპერაციის შემდეგ სარეაბილიტაციო კურსს გადის. მისი განცხადებით, ბევრი რამ პასკევს დაგეგმილი სამედიცინო გამოკვლევის შედეგზე იქნება დამოკიდებული. ლიგის ერთ-ერთმა ყველაზე ტიტულოვანმა სპეციალისტმა დიდი მადლობა უთხრა „წითელფრთიანთა" მესვეურებს მის მიმართ გამოჩენილი მოთმინებისა და დიდსულოვნებისთვის.

* * *

კალგარის და სან ხოსეს ჰოკეისტებს, ლიგის მესვეურებისგან განსხვავებით, კმაყოფილება არ გამოუხატავთ თავიანთი იაპონური ვოიაჟის გამო. კალგარის ლიდერ ტეო ფლერის თქმით, ხანგრძლივი ფრენა და სააკლიმატიზაციო პრობლემები ჰოკეისტებს კალაპოტიდან აგდებს. ისიც თქვა, იაპონიაში ძლიერ გუნდებს არ გზავნიან და მაინცდამაინც სუსტებს ურთულებენ ისედაც არასახარბიელო მდგომარეობასო, თუმც მას შემდეგ, რაც ფორვარდმა ორ თამაშში 6(3+3) ქულა შეიმატა და ჰეთ თრიქსაც გამოჰკრა ხელი, ხოლო მისმა გუნდმა სამი ქულა მიითვალა, ფლერი ერთობ გამხნევდა და იაპონელ მაყურებელს ქების სიტყვები უძღვნა.

* * *

ედმონტონმა, როგორც იქნა, მიაღწია შეთანხმებას თავის ერთ-ერთ ყველაზე შედეგიან ფორვარდ რაიან სმიტთან. თავისუფალმა აგენტმა, რომელმაც ბოლო სეზონში 33 (20+13) ქულა დააგროვა, 1996-97 სეზონში კი 39 გოლი გაიტანა, ერთწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. კონტრაქტის ფინანსური დეტალები ჯერჯერობით უცნობია. ახლა „მენავთობეებს" მთავარი პლეიმეიკერი დუგ უეიტილა ეურჩებათ. ფორვარდი წელიწადში 4 მილიონ დოლარს ითხოვს.

* * *

რამდენიმე ჰოკეისტმა ჩემპიონატის პირველივე დღეებში მიაღწია საიუბილეო ზღვარს. მონრეალელმა შეინ კორსონმა 550-ე გოლი გაიტანა, ფილადელფიელმა ჯონ ლეკლერმა — 450-ე, ხოლო მისმა თანაკლუბელმა რობ ბრინდამორმა — 250-ე. აღსანიშნავია, რომ ლეკლერმა, რომელსაც საიუბილეო მაჩვენებელს 2 ქულა აკლდა, ანაჰაიმთან მატჩში გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და 4 (1+3) ქულა დააგროვა.

* * *

დეტროიტის მცველმა ნიკლას ლიდსტრიომმა უარყო ჭორები იმის თაობაზე, თითქოს მისი განცხადება — შვედეთში ვბრუნდებიო — რეკლამასა და სამომავლოდ (ზაფხულში ლიდსტრიომი თავისუფალი აგენტი ხდება) უფრო სარფიანი კონტრაქტის დაბევებას ისახავს მიზნად. „მე ჩემი აგენტისთვის არ დამიბარებია, კლუბის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკება დაეწყო, რადგან სამშობლოში ვაპირებ დაბრუნებას" — დასძინა ჰოკეისტმა.



# ბორისმა პიტს გაუგო



პიტ სამპრასი

საჩოგბურთო სეზონი დასასრულს უახლოვდება და მისი ფინიში, ბოლო წლებისგან განსხვავებით, ქალებს და კაცებს შორის პირველობისთვის უშეღავათო ბრძოლას გვპირდება.

შარშან პიტ სამპრასმა მეორე ადგილზე გასულ პატრიკ რაფტერს 1000-ზე მეტი ქულით აჯობა და კლასიფიკაციაში ზედიზედ მეხუთედ იპირველა წლის ბოლოს, რითაც ჯიმი კონორსის რეკორდი გაიმეორა. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, ამერიკელს პირველობას ვერავინ შეეცილებოდა, მაგრამ გაზაფხულზე მანამდე მხოლოდ თიხნარზე თამაშით გამორჩეულმა მარსელო რიოსმა თავი გაიგიჟა, ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ფინალში ასპარეზობას ზედიზედ ორი მერსედეს ზე-ცხრის ტიტული მიუმატა და პიტი დროებით მეორე ადგილზე დააქვეითა.

ჩილელის ტრავმებმა და ფორმიდან ამოვარდნამ, მერე კი სამპრასის უიმბლდონზე გალაღებამ ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა, მაგრამ ზაფხულში უკვე ბევრისგან ნაადრევად ჩამოწერილი რაფტერის ხანა დადგა. ავსტრალიელმა ორი თვის მანძილზე ოთხი ტურნირის მოგება მოასწრო, ყველაფერი აშშ-ის ღია პირველობაზე ზედიზედ მეორე ტრიუმფით დაავეირგვინა და ამ მონაკვეთში თავად მსოფლიოს პირველი ჩოგნის დამარცხებაც მოახერხა, თანაც ორჯერ.

ამჟამად კლასიფიკაციაში სამპრასი პირველ ადგილზეა და რაფტერს 450 ქულით უსწრებს, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ შარშან ოქტომბერ-ნოემბერში მითვლილი ქულები ჯერ კიდევ არ ჩამოცლია. სინამდვილეში კი, წლეულს მოპოვებულებით, პიტი ავსტრალიელსაც ჩამორჩება და მარსელო რიოსსაც.

„თუ პირველობის შენარჩუნება მინდა, მეტ ტურნირებზე უნდა ვითამაშო" — განაცხადა ამერიკელმა და გასულ კვირაში შვეიცარიის სადარბაზო ღია პირველობისთვის ევროპას დაგეგმილზე გაცილებით ადრე ეწვია, მაგრამ იქ პირველივე წრეში უეინ ფერერასთან დამარცხდა.

სამპრასი წესით შინ უნდა გამგზავრებულიყო, რაკიღა ამ კვირაში მიმდინარე ვენის ტურნირის ორგანიზატორებს ყველა „უაილდ-ქარდი" (საგანგებო მიწვევა) უკვე დაერიგებინათ, მაგრამ აქ პიტს ორმაგად გაუმართლა — მისმა მთავარმა კონკურენტმა, იქვე მოასპარეზე რაფტერმაც პირველივე წრეში წააგო, მერე კი დახმარების ხელი მეგობარს ბორის ბეკერმა გაუწოდა და უპრეცედენტო რამ ჩაიდინა: თავისი უაილდ-ქარდი ამერიკელს გადაულოცა, მას ჩემზე მეტად სჭირდებაო.

„ბორისმა იცოდა, რომ ჩემთვის თამაში გაცილებით მნიშვნელოვანი იყო, რისთვისაც ძალიან მადლიერი ვარ. არა მგონია, მის გარდა რომელიმე ჩოგბურთელისთვის მეთხოვა, შენი ადგილი დამითმეთქი — სამპრასს სიხარული არ დაუმალავს, თუმცა აქვე ისიც აღნიშნა, ძველებურად საკუთარ ძალებში დარწმუნებული აღარა ვარო — წლის დასაწყისიდან მოყოლებული ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც გასავათებულად ვგრძნობ თავს. ტურზე გატარებულ წლებს თავისი მიაქვს, ახლა ძალების აღსადგენად სულ უფრო მეტი დრო მჭირდება".

სამპრასის გასაჭირი უყურადღებოდ არც სხვებს დარჩენიათ და თუ წლის დასაწყისში მისთვის პირველობის ჩამორთმევის ამბიციებზე პირდაპირ განცხადებას რიოსის გარდა ყველა ერიდებოდა, მოგვიანებით რაფტერსა და როლან გაროსის ჩემპიონ კარლოს მოიასაც აღარ დაუმალავთ, კბილებს ჩვენც ვილესავთო.

სეზონის დამთავრებამდე სულ ხუთი კვირაღა რჩება და როგორც ეტყობა, გამარჯვებულის ბედი ATP ტურის მსოფლიოს ჩემპიონატზე გადაწყდება 24 - 29 ნოემბერს, როცა ერთმანეთს რვა საუკეთესო შეეჭიდება.

ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე დიდი შანსი მაინც პიტ სამპრასს აქვს. დარბაზის სწრაფ საფარზე, რომელიც ბევრი რამით ბალახს წააგავს, ამერიკელი ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში. თანაც წინა წლებში მსგავს კორტებზე მისი მთავარი კონკურენტები — ბორის ბეკერი, გორან ივანიშევიჩი, რიჩარდ კრაიჩეკი და გრეგ რუზეცკი ფორმაში ვერ არიან.

პატრიკ რაფტერი ხალიჩაზე თამაშის დიდოსტატი რომ ვერაა, ბაზელში დანიელ ვაცეკთან წაგებულმა მატჩმაც დაადასტურა. უახლოესი კვირეების ფავორიტებიდან თავისუფლად შეიძლება კარლოს მოიას ჩამოწერა, აი, მარსელო რიოსს კი გვერდს ვერც ამჯერად ავუვლით. დიდი სლემის თასის მოგებით და იქ ერთ-ერთი უძლიერესი მოწოდების პატრონის მარკ ფილიპუსისის დამარცხებით ჩილელმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დღეები, როდესაც იგი მარტოოდენ თიხნარის ოსტატად ითვლებოდა, წარსულს ჩაბარდა და ამჟამად სამხრეთამერიკელი ყველა საფარზე ანგარიშგასაწევ ძალად უნდა ჩაითვალოს (რა თქმა უნდა, „ძროხების საკვების" გარდა).

კაცებისგან განსხვავებით, ქალებს შორის პირველობას მხოლოდ ორნი ეცილებიან ერთმანეთს — მსოფლიოს აწ უკვე ყოფილი პირველი ჩოგანი მარტინა ჰინგისი და მისი ტახტიდან ჩამომგდები ლინდსი დევენპორტი.

„დანამდვილებით გეტყვით, რომ არასოდეს ვფიქრებდი, თუ პირველი გავხდებოდი, მაგრამ ჩემი ამოცანა ამჯერად ამ ადგილის შენარჩუნებაა" — განაცხადა ლინდსიმ ამ დღეებში და, მისდა გასახარად, ეს ამოცანა თავად ჰინგისმა შეუმსუბუქა: 18 წლის შვეიცარიელმა გასულ კვირაში კოჭის ტრავმა მიიღო, თანაც დაღლა მოიმიზეზა და თქვა, სეზონის ბოლომდე მხოლოდ ორ ტურნირზე ვიასპარეზებ, ფილადელფიასა და ნიუ-იორკშიო.

მარტინამ ამას ისიც დაუმატა, მეორედ დარჩენას დიდხანს არ ვაპირებ და ჩემი ადგილის დაბრუნებას შევეცდებიო, მაგრამ გვიან, თუმცა საფუძვლიანად დალევინებულ დევენპორტს მიღწეულის შესანარჩუნებლად ნიჭიც გააჩნია და ძალაც (ეს უკანასკნელი ჭარბადაც).

სავსებით შესაძლებელია, პირველობის ბედი აქაც მსოფლიოს ჩემპიონატმა გადაწყვიტოს, რომელიც ნიუ იორკის მედისონ სკვერ გარდენში 16-22 ნოემბერს გაიმართება.

*ქვემოთ გთავაზობთ სიას, რომელიც დღეისათვის კლასიფიკაციას კი არა, სეზონში დაგროვებულ ქულებს ასახავს.*

| კაცები | | ქალები | |
|---|---|---|---|
| 1. პატრიკ რაფტერი* | 3260 | 1. ლინდსი დევენპორტი* | 4788 |
| 2. მარსელო რიოსი* | 3173 | 2. მარტინა ჰინგისი* | 4703 |
| 3. პიტ სამპრასი* | 2881 | 3. იანა ნოვოტნა* | 3679 |
| 4. კარლოს მოია* | 2819 | 4. არანჩა სანჩეს ვიკარიო* | 3362 |
| 5. ანდრე აგასი | 2681 | 5. ვინუს უილიამსი* | 2851 |
| 6. ალექს კორეტხა | 2584 | 6. მონიკა სელეში* | 2656 |
| 7. ტიმ ჰენმანი | 2376 | 7. კონჩიტა მარტინესი* | 2209 |
| 8. კაროლ კუჩერა | 2288 | 8. პატი შნიდერი* | 2098 |
| 9. პეტერ კორდა | 1070 | 9. ანა კურნიკოვა* | 1917 |
| 10. რიჩარდ კრაიჩეკი | 2022 | 10. სანდრინ ტესტიუ | 1770 |
| 11. გორან ივანიშევიჩი | 1850 | 11. დომინიკ ვანრუსტი | 1663 |
| 12. ალბერტ კოსტა | 1823 | 12. მარი პირსი | 1556 |
| 13. ევგენი კაფელნიკოვი | 1750 | 13. ნატალი ტოზია | 1521 |
| 14. იან სიმერინკი | 1641 | 14. ნატაშა ზვერევა | 1464 |
| 15. სედრიკ პიოლინი | 1640 | 15. ამანდა კუტცერი | 1462 |
| 16. მარკ ფილიპუსისი | 1610 | 16. სერენა უილიამსი | 1301 |

*ვარსკვლავით აღნიშნულია ის ჩოგბურთელები, რომლებმაც უკვე მოიპოვეს მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლება*

# პატარა ბრივი დავიბრიყვეთ

**ბრივი 2 16:22 საქართველო**

ფრანგულ ტურნეს მეორე მატჩში ქართველი „ბორჯღალოსნები" „ბრივის" ახალგაზრდულ გუნდს დაუპირისპირდნენ.

საწყისი ათი წუთი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, რაც ორ გატანილ ჯარიმაში გამოიხატა — 6:0. ტაიმის შუაწელისთვის თამაში გათანაბრდა და მაჩიტიძემაც სამჯერ უშეცდომოდ შეასრულა საჯარიმოები, თუმც ტაიმის ბოლომდე მასპინძლებმა კვლავ საჯარიმოთი მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება.

მეორე ტაიმში გურამ მოდებაძემ ექვსი ახალი მობურთალი შეუშვა მოედანზე. აღსანიშნავია უფროსი „ბეყეს" — ნუგზარ ძაგნიძის დაბრუნება ქვეყნის უპირველეს გუნდში. სწორედ მისი შეტევის მერე დაიდო სტუმართა ერთადერთი ლელო, რამდენიმე წუთში კი თავად ნუგზარმა შემატა სამი ქულა ნაკრებს არეკნით.

მეორე ნახევარი კი ჩვენებისა იყო. ზემოთ ნახსენები ლელო ასევე შეცვლაზე შესული ზაზა ლეჟავას ანგარიშზეა. მაჩიტიძემაც ზუსტად გარდასახა. ძაგნიძისა და ლეჟავას გარდა მეორე ტაიმში ნაკრების შემადგენლობაში ჯაველიძე, შველიძე, პარწიკანაშვილი და აბაშიძე გამოჩნდნენ. სწორედ ამ უკანასკნელმა დაუსვა არეკნით წერტილი შეხვედრას, მაგრამ მანამდე მასპინძლებმა ორი საჯარიმო გაიტანეს.

**საქართველო: ჩიქავა, გიორგაძე, ნიკოლაენკო, მჭედლიშვილი, ზედგენიძე, ა. კობახიძე. ქ. კობახიძე, ურუშაძე, გიორხელიძე, ანდღულაძე, ტეფნაძე, ჭიმშელაძე, ხამაშურიძე, ალანია, მაჩიტიძე**

კი ბატონო, ვილაპარკოთ, ამას როგორ დაგზარდებით, მაგრამ... გაზეთში დაბეჭდვა ნაადრევი არ იყოს, თუ რამეს გავაკეთებ, იქნებ მაშინ ჯობდეს, რაც უნდა იყოს, ნაკრებია, საფრანგეთია, ირლანდიაა, მსოფლიოს თასზე გასასვლელი ტურნირია, მე კი კარგა ხანია, არ მითამაშია...

და ეს მითხრა კაცმა, რომელიც ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა ქართულ რაგბიში.

# ნუგზარ ძაგნიძემ დაიწყო

ნუგზარ ძაგნიძე იმ ლეგენდარული ქუთაისის „მშენებლის" ყოჩი, პირველი დამრტყმელი და აღიარებული ბომბარდირი იყო, რომელმაც ორჯერ საკავშირო თასი მოიპოვა, თითოჯერ სსრკ ჩემპიონატის ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები და, რაც მთავარია, იმ დროს, 1987-89 წლებში მართლა სასწაულს შეგვასწრო — ზედიზედ სამჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. რატომ გვეთქმის ქუთაისელთა მაშინდელ წარმატებებზე სასწაული, ახლმა თუ არა, ძველმა გულშემატკივრებმა იციან კარგად: რუსის ხელში იყო ყველაფერი და თავის ჯობნას იოლად დაგანებებდა?! ქუთაისელებმა კი იმით იძალეს, რომ ნიჭით და ჟინით ალემატნენ რუსებსაც, სხვებსაც და აკი ომის ტოლ-სწორი თამაშით წაგლიჯეს მათ თასიც და ჩემპიონობაც. უმთავრესი კი ეს გახლდათ: იყვნენ ნუგზარ ძაგნიძე და მისებრნი — მართლა ჯიგრიანი და მართლა ნიჭიერი ბიჭები, რომლებმაც, რომ იტყვიან, კბილებით და ძვალთამტვრევით გაიტანეს თავისი.

ნუგზარ ძაგნიძე ახლა საფრანგეთშია საქართველოს ნაკრებთან ერთად და უკვე დაიწყო იმ „რამის კეთება", იქ გამგზავრებამდე რომ ეთუმცავებოდა, ასე რომ, ჩვენი მაშინდელი მცირე ნაუბრის მკითხველისთვის გასაცნობად გზა ხსნილი მაქვს.

— რაგბიში დაბრუნება სერიოზულად გადავწყვიტე. ქუთაისის „აიაში" ორი მატჩი კი ვითამაშე, მაგრამ გუნდი ექვსეულს მიღმა დარჩა და მისთვისაც დასრულდა ფაქტობრივად ჩემპიონატი და ჩემთვისაც, რადგან სხვა გუნდში გადასვლის უფლებას არ მაძლევენ. ნაკრების ხელმძღვანელობა მენდო, მიმიწვია და ახლა ნდობის გამართლება და აქ ღირსეული თამაშია ჩემი უმთავრესი მიზანი.

**— ერთი ხანობა რაგბის საქმით ხნით ჩამოშორდით, თანაც ალბათ თქვენი ახლანდელი ასაკიც გასათვალისწინებელია — 32 წელი...**

— ყველაფერში საფრანგეთის ტურნე გაგვარკვევს, იქ გამოჩნდება, ვარ თუ არა სანაკრებო.

**— ურაგბოდ რომ იყავით, მაშინ რას საქმიანობდით?**

— რუსეთში ვცხოვრობდი, ვბიზნესმენობდი, ასე ვთქვათ. რაგბთან კავშირი იმითლა მქონდა, რომ მოსკოვში მონინოსა და ფილის არც ერთ თამაშს არ ვაცდენდი. ეს იყო და ეს.

**— ურაგბოდ მაინც ვერ გაძელით და დაბრუნდით, აგერ, ნაკრებშიც მიგიწვიეს. როგორ აფასებთ ჩვენი ნაკრების შანსებს მსოფლიო თასის ირლანდიური შესარჩევი ტურნირის წინ?**

— ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი ნამდვილად გვაქვს, რადგან რუმინელების დამარცხება რეალური ამოცანაა. ღმერთმა ქნას, ირლანდიასაც ვძლიოთ და თავი ქუდში დავიგულოთ, მაგრამ შესაძლო უფრო რუმინეთთან გამარჯვებაა.

**— თქვენი და გია რაფავას დაბრუნებით ნაკრებს ძალაც ემატება და შანსიც უდიდდება...**

— გია რაფავასნაირი მეორეხაზელი ჩვენს რაგბიში აქამდე არ ყოფილა. ორივე თუ ფორმაში ვიქნებით, ნაკრებს მართლაც ძალიან გამოვადგებით. ჩემთვის მთავარი ფორმის აღდგენაა, თორემ ჟინიც ძველებური მომდევს და ჩემი ასაკის სპორტსმენისთვის არც გამოცდილებაა სანატრელი.

**ირაკლი თავაძე**



ნუგზარ ძაგნიძის სიზუსტე მართლაც შეუდარებელი იყო

## საქართველოს ჩემპიონატი

# დათვი რომ მოგერევა...

**ასკ 11:22 დათვები**

**ასკ: ლ — იაშვილი; ს — აბუსერიძე; ა — ძამიაშვილი**

**დათვები: 4 ლ — აბაშიძე; ფხაკაძე; ჩუბინიძე; შარვაშიძე; 1 გ — ჩუბინიძე**

ამ მეტოქეების გუშინდელ თამაშს სატურნირო ცხრილში მეტი სიცხადის შეტანა შეეძლო. საპლეიოფო ოთხეული კი გამოიკვეთა, მაგრამ ამათთვის ადგილებს მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს. საქმე ისაა, რომ მეოთხე ადგილზე გასვლა და ნახევარფინალში „ყოჩებთან" შეხვედრა არავის სურს. თანაც ნახევარფინალი ერთმატჩიანია და იგი უკეთეს ადგილზე მყოფი გუნდის მინდორზე ჩატარდება. ამიტომ მეორე ადგილზე გასული გუნდიც იღებს ფაქტობრივ უპირატესობას შინაური კედლების სახით. გუშინდელ მატჩში მოგებულს სწორედ ამ სანუკვარ ადგილზე გადანაცვლება შეეძლო, უფრო კი ბათუმელები იხეირებდნენ ხელსაყრელი კალენდარის წყალობით. ერთი სიტყვით, მნიშვნელოვანი მატჩი იყო და ორივე მეტოქე საგულდაგულოდ მოემზადა, ეს კი უფრო „დათვებზე" ითქმოდა, რომლებიც დედაქალაქს საკუთარი ტელეოპარეტორითაც კი ეწვივნენ, გუნდის ხელმძღვანელობას კი მობილური ტელეფონებით ლამის პირდაპირი რეპორტაჟის გადაცემა მოუხდა ბათუმში. აი, არმიელებმა კი თანამსაჯთა ალმებიც ვერ მოიმარაგეს მატჩისთვის და ფორმებიც სხვადასხვა ეცვათ. რაც შეეხება პროგნოზებს, ამაზე ორივე გუნდის თავკაცები თავს იკავებდნენ.

პრინციპულობამ თამაშს სანახაობრივი მხარე წაუხდინა. ორივე მხარე ძალზე ემოციურად აღიქვამდა მეტოქის შემოტევას და, მართალია, არც თავად ივიწყებდნენ იერიშს, მაგრამ ისე ჩანდა, სიფრთხილე უფრო ულირდათ.

სტუმართა თავიდანვე აშკარა უპირატესობას მე-13 წუთზე აბაშიძის ლელო მოჰყვა. არმიელებმა ამის შემდეგლა წამოიწყეს იერიში და აბუსერიძის ზუსტად შესრულებული საჯარიმოც მიითვალეს. ამას მიჰყვა ლევან შარვაშიძის მიერ საკუთარი ნახევრიდან წამოწყებული ჩინებული სოლო-რეიდი, რომელიც მასპინძლებმა საკუთარ სალელოე მოედანთან აუტში მოგერიებითლა აღკვეთეს, თუმცა რაც გინდა — აუტი მაინც ფხაკაძის ლელოთი დამთავრდა. ამის შემდეგ თამაში გათანაბრდა, არმიელთა შეტევებსაც სიმძაფრე მიემატა და იაშვილმა ლელოც გაიტანა. დამხვდურთა სასახელოდ ერთიც უნდა ითქვას — ისინი არ დაუბნევია მძიმე დასაწყისს და ჩვეულად, ჟინიანად განაგრძეს თამაში. ტაიმიც გააფთრებულ შეტევებში გაილია, თუმც ანგარიში აღარ შეცვლილა — 8:10.

მეორე ტაიმიც ორმხრივი მწვავე იერიშებით დაიწყო და ძამიაშვილმა არეკნით მასპინძლები იმ დღეს პირველად და უკანასკნელად დააწინაურა. ამან „დათვები", ეტყობა, ძალიან გააბრაზა და მათაც მძლავრად შეუტიეს, რამდენიმე უშედეგო ცდის მერე კი ჩუბინიძემ, მანამდე რომ ერთი საჯარიმო და სამი გარდასახვა აცილა, ლელოთი გაახარა თავისიანები. ამას შარვაშიძემაც მიაყოლა ლელო, რომელიც, როგორც იქნა, გარდასახა ჩუბინიძემ და ბათუმელთა გამარჯვებაც დააფიქსირა — 22:11.

ამ მოგებამ „დათვები" მეორე ადგილზე აანაცვლა, რადგან გუშინ „ექსპრესმა" წააგო. ისინი, ალბათ, აღარც დათმობენ ამ საფეხურს, რადგან დარჩენილი ხუთი მატჩიდან ოთხს შინ მართავენ, მათ შორის უმთავრეს კონკურენტებთან — „ექსპრესთან" და ამავე არმიელებთან. გუშინდელი გამარჯვებით მათ ისიც დაამტკიცეს, ჩემპიონატის წინ სახელდახელოდ შექმნილი გუნდი მზრუნველი პატრონის ხელში უპრეტენზიო ბელიდან დათვად რომ ქცეულა.

**ირაკლი თავაძე**



ბადრი კეთილაძის ფოტო

ბათუმელთა მეორე ლელო თამაზ „ნიკო" ფხაკაძის ანგარიშზეა

# ექსპრესმა გზა გაიძნელა

**ყოჩები 24:21 ექსპრესი**

**ყოჩები: 3 ლ — პეტრიაშვილი (2), მხეიძე. 3 გ და 1 ს — ხეხელაშვილი**

**ექსპრესი: 2 ლ — ასათიანი, სარიშვილი. 1 გ და 3 ს — კვინიხიძე**

მატჩის დრო ამოიწურა, მაგრამ მსაჯმა კიდევ რამდენიმე წუთი დაამატა. ანგარიში ამ დროისთვის თანაბარი იყო — 21:21.



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

„ექსპრესი" აუტებს ხშირად კი იგებდა, მაგრამ...

შეხვედრა სტუმრებმა მეტად აქტიურად დაიწყეს და უკვე მე-6 წუთისთვის ანგარიში 6:0 იყო. ორჯერვე კვინიხიძემ გამოიყენა საჯარიმო. პირველი შედეგიანი შეტევა მასპინძლებმა მე-13 წუთზე განახორციელეს და იგი პეტრიაშვილის ლელოთი დაგვირგვინდა. ხეხელაშვილმაც ზუსტად გარდასახა. ეს იყო მცირე მონაკვეთი, როცა ჩემპიონი უპირატესობას ფლობდა, დანარჩენი დრო „ექსპრესის" შეტევებში გაილია.

მასპინძელთა ლელოდან ორ წუთში მეტოქემ სახიფათოდ შეუტია, მაგრამ ბოლო მომენტში ვერ ივარგა, თუმცა ერთ წუთში ასათიანმა მაინც მოახერხა ლელოს გატანა. კვინიხიძემ ამ შემთხვევაში ზუსტად ვერ გარდასახა — ძელს გაარტყა. ჩემპიონს ტაიმის განმავლობაში კიდევ მიეცა ანგარიშის შემცირების შესაძლებლობა, მაგრამ ხეხელაშვილმა საჯარიმო ვერ გამოიყენა, სამაგიეროდ, კვინიხიძემ იყოჩაღა ტაიმის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე და კიდევ სამი ქულით დააწინაურა თანაგუნდელები.

მეორე ტაიმის საწყისი 20 წუთი მკვეთრად განსხვავდებოდა პირველი ტაიმისგან — ჩემპიონი სრულ უპირატესობას დაეუფლა და შვიდი ქულითაც დაწინაურდა. ჯერ იყო და პეტრიაშვილმა გაიტანა ლელო, შემდგომ კი მხეიძემ. ხეხელაშვილმა კი ორჯერვე ზუსტად გარდასახა. მატჩის დამთავრებამდე ათი წუთით დარე სარიშვილისა (ლელო) და კვინიხიძის (გარდასახვა) ძალისხმევით სტუმრებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. შეხვედრისთვის განკუთვნილი დროც ამ ანგარიშით ამოიწურა, მსაჯის მიერ წამატებულ დროში კი რა მოხდა, ზემოთ მოგახსენეთ.

სწორედ არბიტრის მიერ დამატებული დროის ბოლო წუთზე მოუტანა თანაგუნდელებს გამარჯვების სამი ქულა ხეხელაშვილმა ჯარიმით, არადა, მანამდე უნდა დანიშნულიყო — ექსპრესელ ჩხენკელს ეთამაშნენ უხეშად. თუმცა მსაჯმა სხვაგვარად განსაჯა.

ამ გუნდების ურთიერთშეხვედრები ყოველთვის დიდი დაძაბულობით გამოირჩევა. გუშინდელ მატჩს ინტრიგას ისიც მატებდა, რომ დამარცხების შემთხვევაში ბენდიაშვილის შეგირდებს მეორედან მესამე ადგილზე დაქვეითება ემუქრებოდათ (თუ „დათვები" გაიმარჯვებდნენ), რითაც ერთმატჩიან ნახევარფინალში მასპინძლობის უფლებას კარგავდნენ. მართალია, ნახევარფინალამდე ჯერ კიდევ ადრეა, მაგრამ ბათუმელთა საკმაოდ ძლიერ გუნდთან შეხვედრებში დადებითი ბალანსის მიღწევა ძალიან გაუძნელდებათ.

**პაატა თოთაძე**

### სატურნირო ვითარება 15 ოქტომბრისთვის

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 19 | 18 | 1 | 0 | 818:195 | 116:18 | 37 |
| დათვები | 19 | 12 | 1 | 6 | 520:187 | 72:19 | 25 |
| ექსპრესი | 19 | 12 | 0 | 7 | 563:248 | 83:29 | 24 |
| ასკ | 19 | 11 | 0 | 8 | 409:331 | 60:46 | 22 |
| გუმარი | 19 | 10 | 0 | 9 | 403:302 | 59:41 | 19 |
| დინამო | 19 | 3 | 0 | 16 | 105:775 | 7:121 | 6 |


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:**
ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:**
ავთანდილ გურასაშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:**
სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია.**
**ქართული ფეხბურთის განყოფილება:**
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
**ინფორმაციის განყოფილება:**
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29.